ბერს თვითონ კაცი ქმნის და ეს ბერი კაცს

ახალი ოქტომბერი

№4 სექტემბერი 2023

„პორტი, რომელიც არ აშენდა“

ინტერვიუ შტეფან ტოლცთან

ფადი ასლი

„გატაცებულია!“

ედუარდ მარიკაშვილი

ამერიკული სანქციები, ანუ ამღერებული სასამართლო კლანი

მიხეილ ანთაძე

აგვისტოს თეთრი ცხელება

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№4, სექტემბერი, 2023
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის ქუჩა № 20
0108, თბილისი, საქართველო

ნომერზე მუშაობდნენ:
ზაზა ბიბილაშვილი
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
ლაშა გაბელია
ქეთი ქურდოვანიძე
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე
გია ჯაფარიძე
ნინო კალანდაძე

სარჩევი

3 მთავარი რედაქტორის სვეტი
ზაზა ბიბილაშვილი
სად ვიყავით და სად ვართ, ანუ ვაი ჭკუისაგან

8 ინტერვიუ
„პორტი, რომელიც არ აშენდა“
ინტერვიუ შტეფან ტოლცთან

14 საღი აზრი
ედუარდ მარიკაშვილი
ამერიკული სანქციები, ანუ ამღერებული სასამართლო კლანი

17 უახლესი ისტორია
ფადი ასლი
„გატაცებულია!“

22 მეხსიერება და იდენტობა
ქეთი ქურდოვანიძე
დროის მიღმა და დროის კვალდაკვალ

26 რუსეთი და ქართული ეკონომიკა
ნანუკა ბრეგაძე, აიდან იუსუფი
რუსული ხორბალი და ფქვილი - ახალი თავსატეხი საქართველოსთვის

34 პირველი რესპუბლიკა
დავით ხვადაგიანი
„მოსკოვის ოქრო“ საქართველოს წინააღმდეგ

43 ხელოვნება
ხათუნა ხაბულიანი
ლია ბაგრატიონის ასემიური პალიმფსესტი

46 აკადემია
თინათინ ქავთარაძე
ტყუილის საფასური, ანუ რას ვასწავლით მოსწავლეებს სკოლაში?

48 ლიტერატურა
მიხეილ ანთაძე
აგვისტოს თეთრი ცხელება

50 სტუდენტური სივრცე
თაკო ზექალაშვილი
ჟენევის წარუმატებელი მოლაპარაკებების შენარჩუნების მიზეზები



53 სპორტი
ლევან სებისკვერაძე
სპორტსმენების ბედი ოლიგარქიულ ქვეყანაში

56 მედეა იმერლიშვილის მხატვრობა

ზაზა ბიბილაშვილი

სად ვიყავით და სად ვართ, ანუ ვაი ჭკუისაგან

ისე მოხდა, რომ ბოლო წლებში ჩვენს არსებობას, დიდწილად, შიში განსაზღვრავს. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ამ უძველეს, ამაყ, ღირსებისა და სამართლიანობის განცდით მოტივირებულ ერს შიშით მართავენ. თან ისე, რომ ეს ნალოლიავები ღირსებაცა და სიამაყეც სადღაც - საყოფაცხოვრებო საზრუნავებსა და მორალს მიღმა წუხილში ჩაკარგულა.

ზოგს ომის ეშინია, ზოგს - სამსახურის დაკარგვის, ზოგს - პოლიტიკური ცვლილების („ახლა შეიძლება, ცუდად ხარ, მაგრამ მე რომ არ ვიყო, უარესად იქნები!“), ყველას ერთად - სტიქიის (თუ რომელიმე მაღალჩინოსნის ოჯახის წევრი არ ხარ - ამ შემთხვევაში, მთელი სახელმწიფო შენზე მუშაობს). ამასთან, ნებისმიერი სტიქია სიცოცხლისთვის საშიში გახდა: ვერავინ დაგიცავს, არავინ გადაგარჩენს, რაც მოხდა, მოხდაო, იტყვიან, აბა, მაშინ სად იყავიო, წამოგაძახებენ და გააგრძელებენ დიდ, არა - უკიდეგანო - კორუფციაში ლივლივს.

შიში ადამიანურია, რეალური საფრთხის წინაშე - ლეგიტიმურიც, მაგრამ, როდესაც შიშს ხელოვნურად აღვივებენ ან საფრთხის წყარო თავად შიშის გამღვივებელია,

2008 წელი, რუსეთ-საქართველოს ომი

მაშინ შიში უკვე მასების კონტროლის ბერკეტია, ბერკეტი, რომელიც ადამიანურ და მოქალაქეობრივ გადაგვარებაზე გადის - როცა გაიძულებენ, ღირსებაც, თავმოყვარეობაც, სამართლიანობისა და თავისუფლების წყურვილიც გვერდზე გადადო და ყველანაირი დამცირება აიტანო, წარმოსახვითი მტრისა თუ მოგონილი საფრთხობელას შიშით...

შიში ადამიანურია, რეალური საფრთხის წინაშე - ლეგიტიმურიც, მაგრამ როდესაც შიშს ხელოვნურად აღვივებენ ან საფრთხის წყარო თავად შიშის გამღვივებელია, მაშინ შიში უკვე მასების კონტროლის ბერკეტია, ბერკეტი, რომელიც ადამიანურ და მოქალაქეობრივ გადაგვარებაზე გადის - როცა გაიძულებენ, ღირსებაც, თავმოყვარეობაც, სამართლიანობისა და თავისუფლების წყურვილიც გვერდზე გადადო და ყველანაირი დამცირება აიტანო, წარმოსახვითი მტრისა თუ მოგონილი საფრთხობელას შიშით...

ნიადაგიც ნოყიერი აქვს მტერს: რაც უფრო მოხუცია ერი, რაც უფრო მეტი უნახავს და გამოუცდია, მით უფრო ეშინია, მით უფრო ფრთხილობს... ლეგიტიმური სიფრთხილიდან პროზაულ კონფორმიზმამდე, კონფორმიზმიდან კოლაბორაციონიზმამდე კი, ხშირად, ერთი ნაბიჯია.

სწორედ ასე, ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ქრესტომათიული მეთოდებით, აკონტროლებენ ჩვენს ქვეყანას. ადრე დავწერდი, მართავენ-მეთქი, მაგრამ ჩემი მეგობარი მუდამ მისწორებს - „მართვა“ სხვაა, დღეს საქართველოს კი არ მართავენ, აკონტროლებენო. და მართალიცაა.

პუტინისტური პროპაგანდის ეპოქაში „დაყავი და იბატონე“ „შეაშინე და აკონტროლემ“ ჩაანაცვლა: იყუჩე, თორემ ვიღაც მოვა, დაგიჭერს და მოგკლავს ან გაგაუპატიურებს (მერე რა, რომ „26 ათასი საჯიშე გაუპატიურებული ვაჟკაცის“ თემა ერთ-ერთ ყველაზე კომიკურ პროპაგანდისტულ რუსულ მითად იქცა)... „დაგმე დასავლეთი, რამეთუ დასავლეთს ომი და სისხლისღვრა სურს“ (მერე რა, რომ ნატო და ევროკავშირი სწორედ საპირისპიროს - მშვიდობასა და კეთილდღეობას ნიშნავს? ესენი ხომ საბჭოთა პროპაგანდის მემკვიდრეები არიან, დასავლურ „იმპერიალიზმსა“ და „მილიტარიზმს“ რომ ებრძოდნენ ათწლეულობით). ლოგიკურია, რომ ეს ხალხი რუსული ურდოთი კი არა (მათ რომ უმაგრებს ზურგს), მითიური „გლობალური ომის პარტიითა“ და იმ „რამდენიმე ოჯახით“ გვაშინებს, რომლებიც თითქოს ამერიკას და შვეიცარიულ ბანკებს მართავენ...

2023 წელი,
შოვის ტრაგედია

ამაზე უფრო პრიმიტიულს ვერაფერს მოიფიქრებდა რუსი პროპაგანდისტი და მისი ქართველი გამხმოვანებელი. მაგრამ მუშაობს.

ამასობაში ქვეყნის პრემიერი - აი, ის, ოლიგარქი რომ ხან „რაც გინდათ, ის დაუძახეთს“ ეძახის და ხან „ბიჭს, რომელსაც ორჯერ გამეორება არ სჭირდება“ - საკუთარ შვილს ამერიკაში ჩარტერული რეისით აცილებს, მთავრობა კი ხალხს ეუბნება, თვითმფრინავი პრემიერის უმუშევარმა, პენსიონერმა მამამ დაიქირავაო. ჯერ გვძარცვავენ, მერე - დაგვცინიან.

პრემიერის ცოლის დაბადების დღეზე მისულ პრემიერის ცოლის დაქალებს სახელმწიფო დაცვისა და პროტოკოლის ბიჭები ემსახურებიან - კარს უღებენ, მანქანები სადგომზე გადაჰყავთ, ჟურნალისტებს იგერიებენ... მხოლოდ ის, რაც თვალში გეცემათ - ტანისამოსი, მაჯის საათები, სამკაულები - ეჭვისთვის ადგილს არ ტოვებს: არანაირი ხელფასი ამას არ ეყოფა. აქ კორუფცია საძებარიც არაა. კორუფცია აშკარა და ხილულია. სიხარბისა და ცინიზმის დონე - აქამდე ჯერუნახავი („პრემიერია, რომელიღაცა ქარხნის მუშა კი არა?!“)...

1992 წელი,
აფხაზეთის ომის დასაწყისი

ყოველი წვიმა ახალი შიშია - რაჭაში ხომ არ მოხდება რამე?! თუ ისევ ვერეს ხეობა? იქნებ ამჯერად ვაშლიჯვრის ახალ გზას მოვერიდოთ? რიკოთი ხომ არ ჩამოინგრევა მორიგად? გურიაში მძინარე ბავშვები ჩამარხა სტიქიამ. შუახევჰესის კაშხალი ჟონავს. აქეთ რაჭის ახალი გზა ჩაიქცა, იქით - ოზურგეთი-ჩოხატაურის დამაკავშირებელი მონაკვეთი...

თუ წვიმა ან ღვარცოფი არაა, შეიძლება ხანძარი გაჩნდეს და არქივი დაიწვას (ცალკე საკითხია, როგორ შეიძლება ასეთი საგანძური ასე იყოს მიგდებული, მაგრამ ესეც ხომ ჩვენს ისტორიასთან, ჩვენს მეხსიერებასთან, ჩვენს იდენტობასთან იმავე უკეთური ძალის ბრძოლის ნაწილია)...

სტიქიას თუ გადაურჩი, შეიძლება პოლიციამ დაგიჭიროს პარლამენტის წინ სუფთა ფურცლით დგომისთვის (როგორც ამ ნომრის ერთ-ერთი ავტორი) ან თელავის თეატრის წინ უკრაინის მიმართ სოლიდარობის გამოხატვისთვის (როგორც თქვენი მონა-მორჩილი)...

ლამის ყოველი მეორე კვირა გლოვაა... გლოვიდან გლოვამდე ხალხი გაქცევაზე ფიქრობს, რადგან წესიერი, კანონმორჩილი ადამიანები ამ ქვეყანაში თავიანთ მომავალს ვეღარ ხედავენ.

თხუთმეტიოდე წლის წინ წინა ხელისუფლების პირობებში ერთმა დეპუტატმა საჯარო გამოსვლისას ეთნიკურად შეურაცხმყოფელი გამოთქმა გამოიყენა და მას საპარლამენტო უმრავლესობის რიგები დაატოვებინეს. 15 წლის თავზე, ქსენოფობიური განცხადებები ხელისუფლებისა და მისი სატელიტი პოლიტიკური თუ მედიაჯგუფების რუტინული სასაუბრო ენის ნაწილია.

15 წლის წინ ვხალისობდით, რომ მაშინდელი ხელისუფლება, ხშირად, დაუმთავრებელ ობიექტებს ხსნიდა ზარ-ზეიმით. ბოლო 11 წელია, შევეჩვიეთ, რომ ხელისუფლება დაპირებებს „ხსნის“. დიახ - დაპირებებს! დახატავენ რაღაც უტოპიურს დიდ ბანერზე, მიიყვანენ ტელევიზიებს, გამართავენ ბრიფინგს და ბანერზე დახატულს მიღწევად ყიდიან („2030 წელს საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე იქნება 10 ათასი

დოლარი!“)... ასე, მაგალითად, ივანიშვილმა იპოდრომი ოთხჯერ გადასცა ქალაქს. ოთხჯერ გვახდევინეს მადლობები ოლიგარქის „უპრეცედენტო ქველმოქმედების“ გამო. იგივე იყო მის ხელში გავერანებული „ლაგუნა ვერეს“ შემთხვევაში, რომელიც ასევე რამდენჯერმე „განაახლა“ და „გადასცა ქალაქს“ - ყოველ ჯერზე, ვირტუალურ-კამპანიურად. ბოლოს ერთიცა და მეორეც დიდ ფულზე გაყიდა. თავად იხეირა, თბილისი კი რეკრეაციული ზონების ნაცვლად ბეტონის მორიგ სიმახინჯეს მიიღებს, რაც კიდევ უფრო დიდ ჯოჯოხეთად აქცევს აქ ცხოვრებასა და გადაადგილებას.

15 წლის წინ ვხალისობდით, რომ მაშინდელი ხელისუფლება, ხშირად, დაუმთავრებელ ობიექტებს ხსნიდა ზარ-ზეიმით. ბოლო 11 წელია, შევეჩვიეთ, რომ ხელისუფლება დაპირებებს „ხსნის“. დიახ - დაპირებებს! დახატავენ რაღაც უტოპიურს დიდ ბანერზე, მიიყვანენ ტელევიზიებს, გამართავენ ბრიფინგს და ბანერზე დახატულს მიღწევად ყიდიან

ადრე, რაღაც უბედურება რომ მოხდებოდა, თვეების განმავლობაში იქცეოდა ხოლმე სალაპარაკო თემად. ახლა ყოველ უბედურებას ახალი უბედურება ფარავს რამდენიმე დღეში. ან მეორე დღეს. ზოგჯერ იმავე საღამოსაც კი.

ევროპისა და ამერიკის ორგანიზებულ ლანძღვას ვინ წარმოიდგენდა? ხომ შეგვაჩვიეს? პირველები ვიყავით ევროკავშირის კართან. იმდენი ქნა ჩვენმა „პრო-დასავლურმა“ მთავრობამ, რომ ბოლოში გადაგვისროლეს. უკრაინას და მოლდოვას ვინღა ჩივის, ბოსნიასა და ჰერცეგოვინასაც კი ჩამოვრჩით.

თქვენ გგონიათ, ეს ყოველივე შემთხვევითობაა? არამც და არამც. შეგნებული, თანმიმდევრული, მიზანმიმართული პოლიტიკაა, რომლის ამოცანა სტანდარტის დაწევა, კარგის გაძევება, დარჩენილის სასოწარკვეთაა. პოლიტიკა, რომლის ცენტრშიც დიდი კორუფცია და კიდევ უფრო მასშტაბური მორალური დეგრადაციაა.

გახსოვთ, რა თქვა პუტინმა 2008 წლის ომის მერე? - რაც ვერ გააკეთეს რუსულმა ტანკებმა, იმას გააკეთებს ქართველი ხალხიო.

გავაკეთეთ კიდეც. თან ისე, რომ დღემდეგ არ ვიაზრებთ მიზეზშედეგობრივ კავშირს ჩვენს არჩევანსა და იმ რეალობას შორის, რომლის მძევლებადაც ვქცეულვართ. დიახ - ჩვენი წვლილია იმაში, რომ დღეს - პირველად საქართველოს ისტორიაში - გვყავს პოლიტიკური სისტემის გარყვნისთვის სანქცირებული მოსამართლეები და რუსულ უშიშროებასთან კავშირებისთვის სანქცირებული ყოფილი გენერალური პროკურორი, რომელმაც კამერების წინ სცემა აუდიტის სამსახურის ყოფილ უფროსს, თავისი სახლის სარდაფში დაბა მოქმედი მინისტრი და რომელიც სრული ხელშეუხებლობის გარანტიით სარგებლობს. ჩვენი წვლილია იმაში, რომ დღემდე გვყავს სანქცირებული პროკურორის მიერ დაჭერილი პატიმრები, რომლებიც სანქცირებულმა სასამართლომ გაასამართლა.

ადრე, რაღაც უბედურება რომ მოხდებოდა, თვეების განმავლობაში იქცეოდა ხოლმე სალაპარაკო თემად. ახლა ყოველ უბედურებას ახალი უბედურება ფარავს რამდენიმე დღეში. ან მეორე დღეს. ზოგჯერ იმავე საღამოსაც კი.

რამდენი რამ მოხდა მხოლოდ ამ ზაფხულში:

• შოვის ტრაგედია - როცა გვეუბნებოდნენ, რომ ვერტმფრენები არ ჰყავთ, მაგრამ, რომც ჰყოლოდათ, მაინც არაფერი შეიცვლებოდა, ან რომ ვერმტფრენი მანქანა არაა, მიხვიდე და იყიდო (ივანიშვილს რომ დასჭირვებოდა, ამას ეტყოდნენ?). გვეუბნებიან, რომ, რაც მოხდა, მოხდა. დავივიწყოთ და განვაგრძოთ უღიმღამო რუტინა.

• ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაცია, რომელიც ერთი მხარის დაწერილს და მეორე მხარისთვის ხელმოსაწერად დადებულ დოკუმენტს ჰგავს, რომელშიც საქართველოს სახისა და ღირსების შესანარჩუნებელი ერთი ფორმულირებაც კი არ ჩაუწერიათ (ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩინელების მოზღვავებით გვაშინებდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი მილიარდნახევრიან ქვეყანას ცალმხრივად გაუუქმეს სავიზო რეჟიმი, ეროვნული ინტერესებისა და საღი აზრის საწინააღმდეგოდ).



2023 წელი, ღარიბაშვილი ჩინეთში

• 2008 წლის ომის მე-15 წლისთავმა იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ საოკუპაციო რეჟიმებისა და თბილისის ხელისუფლების წარმომადგენლები ერთი და იმავე სიტყვებითა და იდენტური მესიჯებით საუბრობდნენ და ბრაზისა თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობის ვექტორს საქართველოს წინა ხელისუფლებისკენ მიმართავდნენ.

• პრიგოჟინის ამბოხზე და პუტინის მიერ მის ტერორისტულ მკვლელობაზე აღარაფერი ვთქვათ - რუსული პოლიტიკური სიველურის მორიგ სერიაში ჩვენთვის საინტერესო და ნიშანდობლივი მხოლოდ ის იყო, თუ როგორ გულით ქომაგობდა ივანიშვილის რეჟიმი პუტინს.

ამასობაში, 1992-1993 წელს აფხაზეთში წარმოებული რუსეთ-საქართველოს ომის 30-ე წლისთავიც მოვიდა. აფხაზეთის თემას ჟურნალის შემდეგი ნომერი დაეთმობა. მანამდე კი გავიხსენოთ - შევადაროთ - და ვიკითხოთ:

სად ვიყავით და სად ვართ? აქ როგორ აღმოვჩნდით? და რა არის ჩვენი პირადი წვლილი ამ ტრაგიკულ, მაგრამ, იმედია, არა საბედისწერო პროცესში?

ვიფიქროთ არა წარსულის კონტექსტში, არამედ მომავალის პერსპექტივით:

ეგებ, ერთხელ მაინც ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე.

სად ვიყავით და სად ვართ? აქ როგორ აღმოვჩნდით? და რა არის ჩვენი პირადი წვლილი ამ ტრაგიკულ, მაგრამ, იმედია, არა საბედისწერო პროცესში? ვიფიქროთ არა წარსულის კონტექსტში, არამედ მომავალის პერსპექტივით: ეგებ, ერთხელ მაინც ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე.



„პორტი, რომელიც არ აშენდა“
ინტერვიუ შტეფან ტოლცთან

„ახალი ივერია“ ესაუბრა გერმანელ რეჟისორსა და დოკუმენტალისტს, შტეფან ტოლცს, რომლის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „პორტი, რომელიც არ აშენდა“ ქართველმა მაყურებელმა თბილისის 23-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში იხილა. ინტერვიუ ჩაიწერა ქართულ ენაზე. ტექსტი რედაქტირებულია ჩვენ მიერ.

- დიდი მადლობა, ინტერვიუზე რომ დაგვთანხმდით! მოდი, სულ თავიდან დავიწყოთ: როგორ მოხვდით საქართველოში?

15 წლის ვიყავი, როცა ერთი წლით ამერიკაში წავედი სასწავლებლად. მას შემდეგ უამრავ ქვეყანაში ვიყავი, ბევრს ვმოგზაურობდი, ძალიან მომწონდა ახალი ქვეყნების, ახალი ადამიანების და მათი ცხოვრების განსხვავებული წესების გაცნობა. ალბათ ამანაც განაპირობა ჩემი არჩევანი. მიუნხენის კინოსკოლაში სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე.

კინოსკოლაში მყავდა კოლეგა, რომელმაც სტიპენდია მიიღო მოსკოვში სასწავლებლად. მეც გამიჩნდა ინტერესი, ცოტა ხნით მეცხოვრა ამ დიდ „წითელ მსოფლიოში“, რომელიც რუკის მარჯვენა მხარეს იყო გამოსახული. გამიჩნდა ინტერესი, გამეგო, რა ხდებოდა ამ ბოროტების იმპერიაში, როგორი იყო ის, თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იქნებოდა ეს საბჭოთა კავშირის თუ აღმოსავლეთის ბლოკის რომელიმე ქვეყანა.

გავიარე რუსული ენის კურსი და ერთწლიანი სტიპენდიაც მოვიპოვე. თითქმის გადაწყვეტილი მქონდა მოსკოვის კინოს საკავშირო ინსტიტუტში წასვლა, როცა შევხვდი ჩემს ლექტორს, რომელიც კარგად იცნობდა საბჭოთა კინოს. ვუამბე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. მან მკითხა: მინდოდა კინოს შესწავლა თუ მსურდა კინოს გადაღება. ვუპასუხე, კინოს გადაღება მინდა-მეთქი. მან მიპასუხა: მაშინ რა გინდა მოსკოვში, მათ მხოლოდ ვალუტა აინტერესებთ, თუ ფილმის გადაღება გინდა, საქართველოში წადიო.

ასე მოვხვდი თბილისში. 1990 წელი იყო. ზვიად გამსახურდია იყო პრეზიდენტი. იმ დროს საერთოდ არაფერი ვიცოდი საქართველოს შესახებ, მხოლოდ ის, რომ თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა დიუსელდორფში. მივედი თეატრალურ ინსტიტუტში რუსულენოვანი სექტორის ცხრილის გასაგებად. გოგი დოლიძე იყო კინოფაკულტეტის დეკანი. მან ინგლისურად მიპასუხა: “My dear friend, we don’t have any lessons in Russian, but you’re going to have a very good time in Georgia“.

მართლაც დაუვიწყარია ეს დრო. პირველი დასავლელი სტუდენტი ვიყავი თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაკულტეტზე. ეს პერიოდი ჩემთვის დიდი მონაპოვარია, რადგან აქ გაიზარდა ჩემი ე.წ. „კინოს სული“, ჩემი „კინოენა“. აქ ვისწავლე იმის კეთება, რაც მიყვარს, კინოს შექმნა, ყველაფერი, რაც კინოს ეხება და ყველაზე მთავარი – რატომაა ასე მნიშვნელოვანი, რას დაუტოვებს ადამიანი მომავალ თაობებს ამ სფეროში. ეს ყველაფერი მე გავითავისე რეზო გაბრიაძესთან ურთიერთობით. ხშირად მქონდა მის ოჯახში სტუმრად ყოფნის ბედნიერება. ვსვამდით ჩაის და ბევრს ვსაუბრობდით კინოზე. ჩემი პროფესორი დოკუმენტური კინოს განხრით იყო ბატონი გია ჭუბაბრია. იმ დროს აგრეთვე გავიცანი თქვენი დიდი რეჟისორები თენგიზ აბულაძე,

ელდარ შენგელაია, თემურ ბაბლუანი, კინოს მხატვარი დიმა ერისთავი და სხვები. ამ ადამიანებთან ურთიერთობამ, რასაკვირველია, დიდი გავლენა იქონია ჩემზე.

მე ვიყავი იმ უმცირესობის წევრი, რომელიც დასავლეთიდან ჩამოვიდა და ყველაფერი იცოდა იმდროინდელ მოვლენებზე, უყვარდა საქართველო. მე შევიგრძნობდი ყველა მოვლენას და თავს მივიჩნევდი მოვლენათა თარჯიმნად, რომელსაც უნდა გადმოეცა ყველაფერი კინოს ენით. ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი ასე ახლოსაა შენთან და შენ მისი ნაწილი ხარ, გავალდებულებს, ყოველივე აღწერო და შეუნახო მომავალ თაობებს. ზოგი ამას გადმოსცემს წიგნით, მე კი ამ ყველა დაგროვილ ისტორიას კინოს საშუალებით გადმოვცემ.

- თქვენ ვახუშტი კოტეტიშვილის სახლში ცხოვრობთ და პერსონალურადაც ბევრი გაკავშირებთ აქაურობასთან...

ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი იყო პროტაგონისტი ჩემი პირველი ფილმისა, რომელიც გადავიღე 1990-91 წლებში. მაშინ მე შევქმენი საქართველოს პორტრეტი იმ ექვსი ადამიანის ისტორიებზე დაყრდნობით, რომლებიც სწავლის დროს გავიცანი. ისინი შევკრიბე სუფრასთან, რომლის თამადაც ბატონი ვახუშტი გახლდათ (გეცოდინებათ, როგორი თამადა იყო)... ფილმის სახელია „კავკასიური ნადიმი“. ეს იყო ჩემი ქართული კინოკარიერის დასაწყისი.

შემდეგ იყო ფილმი „დროის მიჯნაზე – მამაკაცთა სამყარო კავკასიაში“ (2001), რომელიც საუკუნეების შეცვლის მიჯნაზე იმ ადამიანების სამყაროს გვიჩვენებს, რომლებიც დროის მიღმა ცხოვრობენ. ამ ფილმმა მოიპოვა „Golden Gate Award“ სან-ფრანცისკოში და „გრან პრი“ ტაივანის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

შემდეგ იყო „სრული სვლით დასავლეთისკენ“ (2013). ფილმის გადაღება 2011 წელს დავიწყე, როდესაც საქართველოს ნიკოლა სარკოზი ესტუმრა. სწორედ ამ დღეს ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში მოდიოდა. ამ დროს ხედავ სურათს: ბიძინა ივანიშვილს ცალკე ციხესიმაგრე აქვს მარჯვენა სანაპიროზე,, მიხეილ სააკაშვილს – პრეზიდენტის სასახლე მარცხენა სანაპიროზე, შუაში არის მტკვარი. ზღაპრისთვის შესანიშნავი სცენარია. სწორედ ამ დროს გადავწყვიტე ფილმის გადაღება. მე ჩემი ვოლგა 21-ით, რომელიც ფილმში ძველი საბჭოთა კავშირის სიმბოლოა, ფილმის გმირებთან ერთად ვცდილობ, ვაჩვენო საქართველო თავისი მომავლის ძიების გზაზე.

შტეფან ტოლცი ოპერატორ ნიკ ვოიტთან ერთად

ძალიან შრომატევადი პროცესი იყო. სამი წელი ვიმუშავე ამ ფილმზე. ფილმმა ჩიკაგოში მიიღო პრიზი, გავიდა მსოფლიოში. ჩემი აზრით, ახლანდელი პროცესებიც წარმოაჩენს ამ ფილმის აქტუალურობას.

ამ სამი ფილმის სამენოვანი ვერსია სახელწოდებით „ქართული ტრილოგია“ DVD-ფორმატში გამოვიდა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან თანამშრომლობით და დღემდე იყიდება მაღაზიებში.

- გადავიდეთ ანაკლიის თემაზე. როგორ დაინტერესდით ანაკლიის პორტის თემით? საიდან მოვიდა ეს იდეა, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე მოვიდნენ თქვენთან, თქვენ გაიგეთ პროექტის შესახებ და დაინტერესდით, თუ რამ გამოიწვია საკითხის მიმართ თქვენი ინტერესი?

როდესაც ფილმზე „სრული სვლით დასავლეთისკენ“ ვმუშაობდი, 2012 წელს, მაშინ გადავიღე რამდენიმე ნოველა დასავლური ორიენტაციის მეწარმე-ბიზნესმენებზე. მათ შორის იყო მამუკა ხაზარაძეც. ის ჰყვებოდა იმ პროექტებზე, რომლებსაც თავის თანამოაზრეებთან ერთად ახორციელებდა. სწორედ იმ დროს შენდებოდა მწვანე ქალაქი ლისზე. იმ დროიდან ვიცნობ მას. ეს ნოველები ვოლგა-სალონის ვებგვერდზე დევს.

ჰოდა, როცა გავიგე, რომ არსებობდა ასეთი დიდი პროექტი, მაშინვე დავინტერესდი, რადგან ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რასაკვირველია, ასეთ პორტს უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა და ვიფიქრე, თუ მამუკა ხაზარაძე მოიგებდა ასეთ ტენდერს, ძალიან საინტერესო იქნებოდა ამის გადაღება. ბადრი ჯაფარიძეს შევხვდი და ვთხოვე, რომ მამუკა ხაზარაძეს და თავიანთ პარტნიორებს გასაუბრებოდა, ეთქვა, იმის შესახებ, რომ მინდოდა ფილმის პროექტის დაწყება, რადგან მიმაჩნდა, რომ ანაკლია ნამდვილად მნიშვნელოვანი პროექტი იყო საქართველოს მომავლისთვის. თუმცა, თუ მე ვიწყებ ასეთ ფილმს, უნდა მქონდეს უფლება, რომ შიგნიდან ვნახო ყველაფერი, გადავიღო ყველაფერი, რაც ფილმისთვის და სრული სურათის საჩვენებლად მნიშვნელოვნად მიმაჩნია და მხოლოდ პრესკონფერენციებით არ უნდა შემოვიფარგლებოდე. ამაზე შევთანხმდით, თუმცა მუშაობის პროცესში ეს ძალიან რთული, ზოგჯერ კი - შეუძლებელი აღმოჩნდა. ბევრი რამის გადაღების ან გარკვეულ ადგილებში შესვლის უფლება არ ჰქონდა გადამღებ ჯგუფს. ძალიან რთული იყო, განსაკუთრებით ის შემთხვევები, როცა მე მათ გვერდით ვიყავი, მაგრამ არ მქონდა გადაღების საშუალება.

რაც ქვეყანაში ხდებოდა, ეს მხოლოდ ეკონომიკური საკითხი არ იყო, აქ საქმე ეხებოდა პოლიტიკას. მე ამას არ ვუყურებდი, როგორც გერმანელი შტეფანი, რომელიც უბრალოდ საქართველოში ცხოვრობდა, მე ვაკვირდებოდი ხალხის ემოციებს, უკუკავშირი იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი იყო, გამეგო რას ნიშნავდა ეს პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

მთავრობის სხდომა კონსორციუმთან კონტრაქტის გაწყვეტის დღეს

ანაკლიაში პირველად 2017 წელს ვიყავი. როგორც კი დაიწყო პროექტი, მეც დავიწყე გადაღება. ამ პატარა მაგალითზე, ამ სოფლის განვითარების მაგალითზე, გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რას აკეთებენ ჩინელები, რა ხდება მსოფლიოში, რას აკეთებს რუსეთი, ეს იყო მთავარი იდეა დასაწყისში. მთლიანი სურათი თავისი კომპლექსური თემებით ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის. ფილმში მნიშვნელოვანია, რომ ეს არ არის მხოლოდ მამუკა ხაზარაძის ისტორია, ჩვენ ასევე გვყავს ქეთის პერსონაჟი, თანამედროვე ახალგაზრდა ქალი ევროპულ პერსპექტივაზე ორიენტირებული ხედვით, გვყავს ანაკლიის მკვიდრი ნუგზარ გაბელია, აფხაზეთიდან ლტოლვილების ოჯახი. ჩვენ ვცდილობდით, გადმოგვეცა, როგორ აისახა განვითარებული პროცესები ქვეყანაზეც და ჩვენი ფილმის გმირებზეც. გადაღებები 5 წელიწადს გრძელდებოდა. ეს ჩემთვის ნამდვილად ერთ-ერთი ურთულესი პროექტი იყო ყველა თვალსაზრისით.

- და მაინც, რატომ არ აშენდა ეს პორტი? მთავრობა ამბობს, რომ მამუკამ და ბადრიმ ფული ვერ იშოვეს და რომ ეს ყველაფერი სამართლებრივი საკითხია, რომელსაც აქვს თავისი წესები და პროცედურები. თქვენი, ანუ იმ ადამიანის, აზრით, რომელიც გადაღების პროცესში არა მხოლოდ რეჟისორის თვალით აკვირდებოდა ყველაფერს, არამედ ხედავდა, რეალურად რა ხდებოდა ადგილზე, რა მოხდა?

დასაწყისში უნდა ვთქვათ, რომ, თუ მსგავსი პორტის აშენება გინდა, უნდა შეკრიბო კარგი გუნდი ამ ყველაფრის კურატორად, უნდა იყოს ძლიერი ხალხი, რათა უცხოეთიდან საჭირო დაფინანსება და მხარდაჭერა მიიღო. როცა ეს პროექტი და გადაღება დაიწყო, მაშინ გიორგი კვირიკაშვილი იყო პრემიერ-მინისტრი. ჩანდა, რომ ამ პროექტს ძლიერი ხალხი შეეჭიდა. რა თქმა უნდა, როცა მსგავს პროექტს ახორციელებ, აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია პიარი, რათა მოიზიდო ფინანსები. რასაკვირველია, ეს არ არის საკმარისი, თუმცა საგულისხმო ფაქტორია. როცა უცხოეთიდან მოდის დაფინანსება, პროექტის იმიჯი უნდა იყოს ძალიან ძლიერი, უნდა იყოს თანმდევი პოზიტიური ამბები, რომლებიც ხალხის ყურამდე მივა.

როცა გიორგი კვირიკაშვილი უეცრად წავიდა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან და მას

შემდეგ, რაც ხაზარაძე-ჯაფარიძის წინააღმდეგ აქ ფულის გათეთრების საქმეზე გამოძიების დაწყება საჯაროდ გამოცხადდა, ამ პროცესს ყურადღებით აკვირდებოდნენ დასავლეთში. მე არ ვარ ამის ექსპერტი, თუმცა ითქვა, რომ ეს არ იყო ფულის გათეთრება და რომ ეს გახლდათ აგორებული შავი პიარი, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, ანაკლიის პროექტზე იმოქმედა. მართალია, საბოლოოდ ფულის გათეთრების ბრალდება არ დადასტურდა, მაგრამ ინვესტორები დააფრთხო.

- როგორც გვახსოვს, ამ პროცესში ჩართული იყო ეროვნული ბანკი, პროკურატურა, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ ამბობდა, რომ პროექტი არარენტაბელურია, რომ მისთვის ფულს ვერ შოულობენ კონსორციუმის წევრები და ა.შ. თითქოს, ორკესტრირებულად უტევდნენ პროექტს. ანაკლიის პორტი რომ აშენებულიყო, ეს იქნებოდა, ალბათ, აღმოსავლეთ ბერლინისა და დასავლეთ ბერლინის მსგავსი კონტრასტი – მაჩვენებელი იმისა, თუ როგორია ცხოვრება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და როგორია ცხოვრება დანარჩენ, თავისუფალ საქართველოში. ეს იქნებოდა ზუსტად საოკუპაციო ზოლთან მოქმედი დიდი პორტი და მის გარშემო აგებული „ბრჭყვიალა“ ქალაქი. ვინ იყო დაინტერესებული, რომ ანაკლიის პროექტი ჩაშლილიყო? რა ვერსიები იკვეთება ფილმიდან?

იდეა ხომ იყო, რომ ეს პროექტი დაფინანსებული უნდა ყოფილიყო კერძო სექტორის და არა სახელმწიფოს მიერ, რადგან სახელმწიფოს ამდენი ფული არა აქვს, მაგრამ, როცა პრემიერი კვირიკაშვილი წავიდა და როდესაც ბანკებმა და ინვესტორებმა დაიწყეს კითხვების დასმა, აღმოჩნდა, რომ მათ სჭირდებოდათ გარკვეული გარანტიები. მამუკა სწორედ ამაზე საუბრობს. როცა სახელმწიფო თვითონ იღებს რაღაც ვალდებულებას საკუთარ თავზე, ეს აუცილებელია საერთაშორისო ბანკებისათვის. ვიცით, რომ ჩატარდა ტენდერი 12 კონსორციუმის მონაწილეობით. არა 2, არამედ 12. ყველა გავიდა ამ ტენდერიდან იმის გამო, რომ სახელმწიფომ უარი განაცხადა გარანტიების გაცემაზე. რთული სათქმელია, სახელმწიფოს რატომ არ უნდა უნდოდეს ამ პროექტის განხორციელება, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი...

ანაკლია - პორტის ტერიტორია

პირველი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რომ, მათი აზრით, ეს იყო ცუდი ტენდერი, და თქვეს, სამწუხაროდ, ახლა ჩვენ ეს უნდა გავაჩეროთ, მაგრამ ჩვენ ნამდვილად გვინდა, რომ ეს პროექტი განხორციელდეს. გასაგებია, რომ არის ბევრი სხვადასხვა პრობლემა: ეკონომიკა, სამუშაო ადგილები თუ სხვა, მაგრამ არ შეგვიძლია ახლა, ამ ეტაპზე, მივცეთ ეს გარანტიები, რადგან ეს შემდგომ პრობლემებს წარმოშობს.

მეორე მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ის, რომ ვინმე იდგა ამის უკან, ვისაც არ უნდოდა ამ პროექტის განხორციელება. ან შესაძლებელია, ყოფილიყო ვინმე, ვისაც არ უნდა, რომ მამუკა ხაზარაძეს თავის პარტნიორებთან ერთად განეხორციელებინა იგი.

მესამე კი - შესაძლოა ყოფილიყო ის, რომ ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესებულები იყვნენ ფოთის პორტით. მე ვიყავი ფოთის პორტში და ვნახე, რომ მათ აქვთ საკმაოდ დიდი ტერიტორია, სადაც ისინი აპირებენ საკონტეინერო ტერმინალის აშენებას, საკმაოდ დიდი ტერიტორიაა. მერსკის ერთ-ერთ წარმომადგენელსაც ვესაუბრე, რომელმაც თქვა, რომ ტვირთი არ გადის ამ პორტიდან და კონტეინერების ნახევარზე მეტი ცარიელია, შემოსვლით კი შემოდის, თუმცა არ გადის. ეს იყო მერსკის არგუმენტი, თუ ამ ეტაპზე რატომ არ იყო პორტის აშენება საჭირო. მათი წარმომადგენლის თქმით, თუ დაინახავენ, რომ ტვირთი გვაქვს, ეს თავად დაგვეხმარება ფინანსურად და არანაირი დახმარება არ იქნება საჭირო საქართველოს ბიუჯეტიდან, რომ ისინი თვითონ ააშენებენ და გააკეთებენ. მაშინ მოაგვარეს კიდეც საბუთები, რომ ისინი ააშენებდნენ ყველაფერს. მათ უთხრეს საქართველოს მთავრობას, რომ ააშენებდნენ ფოთის პორტს საკუთარი ბიუჯეტით, თუმცა, როგორც რეგიონალურად ხდება ხოლმე, ფოთის პოლიტიკური წარმომადგენლები ამის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ.

ახლა უკვე ცნობილია, რომ თვითონ ბიძინა ივანიშვილს აქვს თავისი დაინტერესება და ფირმა, რომელიც აკონტროლებს ფოთის ეკონომიკურ ზონას. რა თქმა უნდა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ ეს არის მესამე შესაძლო ვარიანტი, რომ მათ, ვინც დგას ფოთის პორტის უკან, არ სურდათ, რომ ანაკლიის პორტი აშენებულიყო.

თუმცა, როცა უკრაინაში ომი დაიწყო, ნათლად გამოჩნდა, საქართველოს რომ ჰქონოდა კარგი ინფრასტრუქტურა, ეს იქნებოდა სტრატეგიულად უაღრესად ღირებული პორტი.

- მამუკა ხაზარაძე ჯერ კიდევ უკრაინაში ომის დაწყებამდე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ეს იყო პირდაპირ რუსული დავალება, რუსეთის მითითებით გაჩერებული პროექტი, რომ რეალურად ფოთი კი არ იყო ანაკლიის კონკურენტი, არამედ რუსული პორტები, რომ არ დაზარალებულიყო რუსული ინტერესები. მსგავსი რამ ითქვა ამერიკელების მხრიდანაც, რომ ეს არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობის პროექტი საქართველოსა და დასავლეთისთვის...

ეს ჯერ კიდევ იმ დროს ითქვა, როცა პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე იყო ჩასული ვაშინგტონში... ეს მოსაზრება ფილმშიც არის ნაჩვენები, თუმცა რეალურად რა იყო ამისი მიზეზი, დრო გვიჩვენებს. ამ ფილმში მე ავსახე მშრალი ფაქტები და მოვლენები. ალბათ ჩანს, რომ არ ვარ ეკონომისტი, არ ვარ იურისტი, უბრალოდ, მაინტერესებს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი და საინტერესო პროცესები და ვცდილობ, ხალხს ფილმის საშუალებით გადავცე ეს ისტორიები, რათა მათ დაინახონ, სინამდვილეში რა ხდება.

- ფილმის „პორტი, რომელიც არ აშენდა“ ევროპული ტელეპრემიერა შედგა ARTE-ზე, ფრანგულ-გერმანულ არხზე, შემდეგ გაიმართა ჩვენება თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში.. არადა, სასურველია, ის ბევრმა ადამიანმა ნახოს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. რას აპირებთ ამ მხრივ?

ყველაზე სწორად მიმაჩნია, თუ ფილმი გავა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, როგორც ნეიტრალურ პლატფორმაზე. ჩვენთან საზოგადოებრივი ტელევიზიის ამოცანაა, აჩვენოს ფილმი, თუ ის ხალხისთვის საინტერესოა. მით უმეტეს, როცა ამას დამოუკიდებელი მესამე პირი აკეთებს. ამის შემდეგ შეიძლება გაიმართოს ერთსაათიანი დისკუსია მინისტრების მონაწილეობით იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად ან არასწორად იყო დანახული და ასახული საქართველოსთვის ასეთი მნიშვნელოვანი ეტაპი და მოვლენები.

შტეფან ტოლცი ანაკლიის პორტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულთა ოჯახთან

როგორც ვთქვი, არის საზოგადოებრივი არხი, რომელთანაც სხვა პროექტების ფარგლებში კარგად ვთანამშრომლობ. რადგან გერმანიის საზოგადოებრივი ტელევიზია და გერმანულ-ფრანგული არხი ARTE არიან ამ ფილმის მონაწილეები, პირველი არხი ჩვენი პირდაპირი პარტნიორია და, შესაბამისად, პირველ ყოვლისა, მას აქვს ჩვენების უფლება. თუ ისინი არ აჩვენებენ, მაშინ სხვა არხებთან შეიძლება საუბარი.

მგონია, რომ სჯობს, ეს ფილმი ნახოს ნეიტრალურად განწყობილმა რამდენიმე ათასმა ადამიანმა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ვიდრე ისევ მკვეთრად „ოპოზიციურმა“ ან „მთავრობის მომხრე“ მაყურებელმა. ფილმმა ხომ უნდა გააჩინოს რაღაც ნაპერწკალი, რომელიც ხალხში გააღვივებს რაღაც მოსაზრებებს, სურვილს, ახლებურად შეხედონ, კრიტიკულად შეაფასონ მოვლენები. მე არ მინდა, რომ ჩემი ფილმი აჩვენოს რომელიმე სამთავრობო ან ოპოზიციურმა არხმა. იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს საზოგადოებრივი არხი შეიძენს და აჩვენებს ამ ფილმს.

ზოგადად, მსგავსი ფილმების ჩვენებისთვის ყველაზე კარგი ფორმატი კინოთეატრია, იმიტომ, რომ იქ მაყურებელს არ ეფანტება ყურადღება, როგორც სახლში ყურებისას, არამედ მთელი ყურადღება ფილმზეა მიმართული. გოეთეს ინსტიტუტი

მზად იყო, ამ კინოჩვენების პატრონაჟი გაეწია, მაგრამ ქართულმა კინოგაქირავებამ უარი თქვა. მაგალითად, „სრული სვლით დასავლეთისკენ“ 6 კვირა გადიოდა კინოთეატრებში, ხან ინგლისურად, ხან - ქართულად. მაყურებელს ჰქონდა საშუალება, ენახა ფილმი და ჰქონოდა საკუთარი აზრი მის შესახებ.

ჩვენს ინდუსტრიაში პირველი ფანჯარა კინოთეატრებია, მეორე – ვიდეო სტრიმინგი, ნეტფლიქსი და მსგავსი ონლაინ პლატფორმები, სადაც იხდი ფულს, რომ უყურო, მერეა ტელევიზია, რაც უფასოა. ტელევიზიას ეს უფლება ლიცენზიით აქვს მინიჭებული და ბოლოა ონლაინ თავისუფალი მისი ნახვა. რასაკვირველია, შეგვიძლია, „კავეა პლუსის“ ონლაინ კინოთეატრის საშუალებით გავუშვათ ეს ფილმი, ეს არის ბოლო გამოსავალი, რომ ონლაინ ნახოს ფილმი ყველა მსურველმა. თუმცა მე, როგორც პროდიუსერს, რომელსაც თანხა მაქვს ჩადებული ამ პროექტში, მინდა ამ ფილმის გატანა-გაყიდვა საზღვრებს გარეთ, საერთაშორისო ბაზარზე, მაგალითად, შვედეთში, ამერიკაში... და თუ ეს ფილმი სადღაც, ონლაინ, დევს, ეს, რა თქმა უნდა, ამცირებს ფესტივალზე მისი ჩვენების შანსს. მცირდება შანსი, რომ უცხოეთის ტელევიზიებმა შეიძინონ ის. მე კი მინდა, ამ ფილმით ვაჩვენოთ ამერიკაში ხალხს ის, რაც საქართველოზე არ იციან, ვაჩვენოთ შვედეთში ის, რის შესახებაც არ სმენიათ. შეიძლება იციან სუხიშვილები და დოკუმენტური ფილმებიც ნანახი აქვთ საქართველოსა და მის ლამაზ ბუნებაზე, თუმცა არ იციან, რა ხდება რეალურად ქვეყანაში. პოლიტიკაზე ახალ ამბებს ამ ფილმით შეიტყობენ.

- უკვე მუშაობთ ახალ პროექტზე?

კი. ორ პროექტზე ვმუშაობ პარალელურად: დოკუმენტურსა და მხატვრულზე. მხატვრული ფილმის იდეა მრავალი წლის წინ გაგვიჩნდა მე და ჩემს მეგობარ ლაშა ბაქრაძეს. ფილმის მოქმედება ერთ შენობაში ხდება, წყლების მაღაზიაში, რომელიც თბილისელების და თბილისის სტუმრების თავშეყრის ადგილია. მაღაზიის უკან არის ლაბორატორია, სადაც წყლების ოსტატი და მისი შთამომავლები ქმნიან მაგიურ წყლებს, რომელთა საშუალებითაც შეიქმნა და მერე დაინგრა საბჭოთა კავშირი. ეს არის ფილმი-ზღაპარი, რომლის მთავარი იდეაა სწორედ ის, რომ მთელი საბჭოთა კავშირის ისტორია შეიქმნა ამ პატარა მაღაზიის ლაბორატორიაში: თითქოს ამ ლაბორატორიაში შექმნილმა სითხემ მოუტანა გამარჯვება საბჭოთა კავშირს მეორე მსოფლიო ომში. აქ შეიქმნა კოსმოსის წყალი და ა.შ., თუმცა უმთავრესია ბედნიერების წყალი, რომლის შექმნაზეც ოცნებობს ფილმის მთავარი გმირი. ჩემი მიზანია, რომ სწორედ ეს ფილმი გახდეს თბილისის სავიზიტო ბარათი, როგორც ფრანგული ფილმი „ამელი“ პარიზისთვის.

რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმს, ის საბჭოთა ლიმონათებზეა და ფილმის ინსპირაცია იყო ამბავი, თითქოს 1952 წელს ჰარი ტრუმენმა სტალინს 100 ბოთლი „კოკა-კოლა“ აჩუქა, რათა კრემლში გაეგოთ, რა კარგი ლიმონათი ჰქონდა ამერიკას. მართალია, „კოკა-კოლამ“ დიდი მოწონება დაიმსახურა, თუმცა სტალინმა თქვა, ჩვენ უკეთესი ლიმონათი უნდა შევქმნათო და წყლების ოსტატი მიტროფანე ლაღიძე დაიბარა მოსკოვში, რათა შეექმნათ მთელ მსოფლიოში საუკეთესო ლიმონათი. ეს ისტორია ლეგენდის დონეზეა, ის ჩაწერილია წიგნებში ლაღიძის შესახებ, თუმცა არავის გადაუმოწმებია ამ ამბის ნამდვილობა. ჩვენი ფილმი კვალდაკვალ მიუყვება ამ ამბავს, გადაღებები გვქონდა როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, ამერიკაში... ფილმის მთავარი კითხვაა, ამ ლიმონათების რეცეპტურების ავტორის მიტროფანე ლაღიძის ლიმონათის პოპულარიზაცია რომ მომხდარიყო, როგორი იქნებოდა საქართველოს ბედი?! „კოკა-კოლას“ ნაცვლად ლაღიძის წყალი რომ გამხდარიყო ასეთი პოპულარული, მაშინ ჯორჯიიდან ვარო, რომ იტყოდი, აღარ გაჩნდებოდა კითხვა: „საიდან?“ ეს სასმელი, როგორც მსოფლიოში საუკეთესო ლიმონათი, იქნებოდა საქართველოს სიცოცხლით სავსე მრავალფეროვანი ცხოვრების სიმბოლო.

- უღრმესი მადლობა ინტერვიუსთვის, წარმატებებს გისურვებთ!

ედუარდ მარიკაშვილი

ამერიკული სანქციები, ანუ ამღერებული სასამართლო კლანი

შესაძლოა იკითხოთ, მაინც რად უნდა ამ მოკლე სტატიას ორი სათაური? კითხვას აუცილებლად მივუბრუნდები, მანამდე კი საქართველოსთან მიმართებით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის 2023 წლის 5 აპრილის უპრეცედენტო გადაწყვეტილებაზე გიამბობთ.

5 აპრილს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილება საქართველოს სამი მოქმედი და ერთი ყოფილი მოსამართლის სანქცირებაზე. ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(c) წესის საფუძველზე, მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე, ირაკლი შენგელია და ვალერი ცერცვაძე საჯაროდ სანქცირებულად გამოცხადდნენ. გადაწყვეტილებას სანქცირებულთა მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის არგუმენტი დაედო საფუძვლად.

სანქციების ქვეშ მოხვედრილთა ვინაობისა და ქმედებების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. საქართველოში ხომ დიდი ხანია ვსაუბრობთ იმ პრობლემებზე, რომელთა არსებობაც სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტით დაადასტურა - აღნიშნული პირები ბოროტად იყენებენ თანამდებობებს, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, რითაც ლახავენ სამართლის უზენაესობასა და ამცირებენ საზოგადოების ნდობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ.

მოულოდნელობის ეფექტი სანქციების ავტორს უკავშირდება. ქართული მართლმსაჯულების ყველაზე დიდი გულშემატკივრებისთვისაც კი ოცნების მიღმა რჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სახელმწიფო დონეზე საქართველოს სასამართლოში კლანის წევრების საქმიანობის სამართლებრივი შეფასება და მისი სანქციებში თარგმნა. თუმცა ამერიკა რისი ამერიკა იქნებოდა, რომ არა ასეთი ერთგულება მეგობარი ქვეყნის მოქალაქეების დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გაძლიერების მხარდაჭერის პროცესის მიმართ.

აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს საჯარო სანქცირება ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(c) წესის საფუძველზე. აქტი, რომელიც სავიზო შეზღუდვებს არეგულირებს, აშშ-ში 2008 წლიდან მოქმედებს. აქტის მიზანია უცხოური კორუფციისა და ადამიანის უფლებების დარღვევის იდენტიფიცირება და მასთან ბრძოლა. მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის ან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისთვის აშშ-ის სახელმწიფო მდივანს აქვს უფლება, სავიზო შეზღუდვები დაუწესოს ყოფილ თუ მოქმედ თანამდებობის პირებსა და მათი ოჯახის წევრებს. გადაწყვეტილებისთვის საკმარისია **ერთი სანდო მტკიცებულება**. საინტერესოა, რომ მაგნიტსკის აქტისგან განსხვავებით, რომლის მოქმედების ხანდაზმულობის ვადა 5 წელია (გადაწყვეტილებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილ ქმედებებზე

შესაძლოა გავრცელდეს), სავიზო შეზღუდვის აქტს ასეთი ხანდაზმულობის ვადა არ აქვს და მისი მოქმედება რეტროსპექტულად შეზღუდული არ არის. აი, ეს დეტალი კი განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ეფექტს იწვევს ამღერებული კლანისა და ქართული მართლმსაჯულებისთვის.

როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი სანქცირებული მოსამართლეების მიერ სასამართლოს თავმჯდომარეობისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის დროს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მონაწილეობაზე მიუთითებს.

სანქცირებული მოსამართლეები წლების განმავლობაში იკავებდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ამავე საბჭოს მდივნის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციებს.[1] საუბარია 2007 წლიდან დღემდე პერიოდზე. პირადი სარგებლის მიღების მიზნით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართულობის ბრალდება სავიზო შეზღუდვის მიზნებისთვის მთელ ამ პერიოდს მიემართება. ეს კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებისა და სააპელაციო სასამართლოს მნიშვნელობიდან გამომდინარე, სერიოზულ კითხვის ნიშნებს აჩენს მათი ჩართულობით მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დღეს მათი სასამართლო სისტემაში ყოფნის პირობებში მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმაციაზე.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის საჯარო განცხადებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსია ნიშანდობლივი. სახელმწიფო მდივანი ამბობს, რომ აშშ ყველა იმ მოსამართლის გვერდით დგას, რომელსაც ჰყოფნის გამბედაობა და კეთილსინდისიერება, იმოქმედოს მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად. აქ კი მურუსიძე და მისი „პადძელნიკები“ გულწრფელნი არიან. მათთვის ამერიკული სავიზო შეზღუდვები არაფერია იმ შედეგებთან შედარებით, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ გზავნილის გააზრებას ინდივიდუალურ მოსამართლეთა მიერ. კლანის ძალაუფლების არქიტექტურა ინდივიდუალურ მოსამართლეთა სიჩუმესა და მორჩილებაზე დგას. კლანის არსებობა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სასამართლო სისტემის

1. მიხეილ ჩინჩალაძე სასამართლო სისტემაში არის 2007 წლიდან. 2007-2017 წლებში იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 2017 წლიდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. ლევან მურუსიძე სასამართლო სისტემაში არის 2005 წლიდან. 2013-2017 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ამავე პოზიციაზე მოსამართლეთა კონფერენციამ ხელახლა აირჩია 2022 წლიდან. ირაკლი შენგელია სასამართლო სისტემაში მოსამართლეა 2007 წლიდან. 2017-2021 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ვალერი ცერცვაძე 2007-2013 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, 2008-2013 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. 2007-2017 წლებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

ერთიან დუმილს. კლანის პრობლემებიც მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთიან დუმილში ბზარი ჩნდება და ინდივიდუალური მოსამართლეები პრობლემებზე ღიად საუბარს იწყებენ.

კლანის არსებობა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სასამართლო სისტემის ერთიან დუმილს. კლანის პრობლემებიც მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთიან დუმილში ბზარი ჩნდება და ინდივიდუალური მოსამართლეები პრობლემებზე ღიად საუბარს იწყებენ.

სწორედ ამიტომ, მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება კლანისა და მათი ოჯახის წევრების სავიზო სანქცირებას ზეიმობდა, კლანმა სასამართლო სისტემის თავის გარშემო კონსოლიდაცია გადაწყვიტა. სამი მოქმედი და ერთი ყოფილი მოსამართლის სანქცირება მთელი სასამართლო სისტემისთვის საფრთხედ დასახა და ერთიანობისა და ძალის დემონსტრირებისთვის ასობით მოსამართლეს ქართული სუფრის ირგვლივ მოუყარა თავი. შეზარხოშებულმა მურუსიძემ კამერების წინ ეს თავყრილობა ქართული სიმღერით დააგვირგვინა. მანამდე კი გიორგი ლეონიძის ლექსით გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს და საზოგადოებას უთხრა, რომ მას, ვისაც ყველაფერს ალაზანზე შეფრთხიალებული ხოხობი ურჩევნია, სანქციებით ვერ მოერევიან. იქნებ დამაჯერებელიც ყოფილიყო სანქცირებული მოსამართლის ეს განცხადება, „ალაზანზე ხოხბის ფრთხიალი“ ყველაფრის დაკარგვის პირას მყოფს რომ არ გახსენებოდა.

დაბოლოს, სტატიის ორ სათაურთან დაკავშირებულ კითხვას დავუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც პოლიციამ 2023 წლის 2 ივნისს თეთრი ფურცლის ხელში ჭერის გამო საქართველოს პარლამენტის წინ დამაკავა და 48 საათი იზოლატორში მამყოფა, საქმე სასამართლოს გადაეცა. ამ სტატიასაც სასამართლოს მოლოდინში ვწერ, რომელმაც ჩემს „ხულიგნად“ გამოცხადებაზე უნდა იმსჯელოს. პირველი ინსტანციის შემდეგ კი საქმეს სააპელაციო სასამართლოში სწორედ სანქცირებული ლევან მურუსიძე დახვდება. შესაძლოა, არ იცით, მაგრამ უკვე წლებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით დაწყებულ საქმეებს სააპელაციო სასამართლოში სწორედ ლევან მურუსიძე იხილავს. გარეთ კი შემდეგი სურათი მოჩანს. სანამ სუბიექტები, რომლებსაც, წესით, სანქცირებული კლანი სასამართლოდან უნდა გაჰქონდეთ, მოტობურთის თამაშით არიან დაკავებული, სანქციებს კლანმა თავისებურად, თუმცა გარკვეულწილად ეფექტურად, უპასუხა - შიდა კონსოლიდაციისკენ გადადგა ნაბიჯები.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შეუძლებელია ამ ისტორიულმა გადაწყვეტილებამ უშედეგოდ ჩაიაროს. პირველი, რა ეფექტიც უკვე მოჰყვა სანქციების გამოცხადებას, კლანის უძლეველობისა და ხელშეუხებლობის ილუზიის მიწასთან გასწორება იყო. მომავალში კი სასამართლოში მათ „ავტორიტეტს“ ნელ-ნელა სრულად გამოუთხრის ძირს და მოსამართლეთა ერთიან დუმილში ბზარიც სულ უფრო გაღრმავდება. ■



ფადი ასლი

გატაცებულია!

„ახალი ივერია“ წარმოგიდგენთ ნაწყვეტს ფადი ასლის წიგნიდან „მორიელებთან თანაცხოვრება“, რომელიც აღწერს ტრაგიკულ, მაგრამ ტიპურ ისტორიას ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს ცხოვრებიდან.

ტაშკენტის აეროპორტის გზაზე მიმავალს ტელეფონმა დამირეკა. ეს იმად ბეკაი იყო, ჩვენი გაყიდვების მენეჯერი.

- ბატონო ფადი, ცუდი ამბავი მაქვს. ერთი საათის წინ საწყობიდან ჩარბელი გაიტაცეს!

- ჯანდაბა! ვინმე დაზიანდა?

- არა, იგი თავის ნივაში მარტო იყო და საწყობში მიდიოდა, როდესაც ავტომატებით შეიარაღებული მანქანა სამი მამაკაცით გადაუდგა წინ. ჩაამტვრიეს მანქანის ფანჯარა, გადმოათრიეს და სწრაფად გაუჩინარდნენ.

- კეთილი, იმად, დაურეკე აჩიკოს, ჩვენს იურისტს, ჩააყენე საქმის კურსში და დაუყოვნებლივ წადი პოლიციაში მასთან ერთად ოფიციალური განცხადების დასაწერად. მე ტაშკენტიდან ბაქოში მივემგზავრები, მერე - თბილისში და, ასე, შუაღამისთვის ვიქნები.

ჩემი მოადგილე, ჩარბელი, წარმოსადეგი, 30 წელს გადაცილებული მამაკაცი იყო. დახვეწილი, მოწესრიგებული, ნამზეურით და კიკინით. ორი საყვარელი გოგონას მამა. გავიფიქრე, რამხელა პასუხისმგებლობა დამაწვა. გარდა იმისა, რომ მიწევდა მთავრობასთან ურთიერთობა, თავი უნდა გამერთმია ემოციურად დაძაბულ და პანიკაში ჩავარდნილ ოჯახთან ურთიერთობისთვის: ასეთ მდგომარეობაში ყველაზე საშინელი ვალდებულება სწორედ ეს იყო.

დავურეკე ჩემს პარტნიორს, ფადი ნაჰაზს, სტამბულში და ჩავაყენე საქმის კურსში. შევთანხმდით, რომ ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილება იქნებოდა საქართველოდან ოჯახის გაყვანა ადგილზე მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად.

მეორე დღეს, დილიდანვე, ფილიპ რემლერთან გავემგზავრე, რომელიც საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი იყო. მინდოდა, მისთვის შემეტყობინებინა ეს ამბავი; ვეჭვობდი, რომ ეს ყველაფერი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად ერთ-ერთმა ჩემმა კონკურენტმა მომიწყო.

პოლიციამ შეგვატყობინა, რომ გამტაცებლები აუცილებლად გამოვიდოდნენ კონტაქტზე გამოსასყიდის მოსათხოვნად და ჩვენც ვიცდიდით.

დღეები გადიოდა და ჩარბელის შესახებ ახალი არაფერი ისმოდა. მე ვთხოვე დუნიას, ჩარბელის მეუღლეს, დაეტოვებინა საქართველო, რათა მას და მისი შვილების სიცოცხლეს არაფერი დამუქრებოდა და გამტაცებლები, მის ნაცვლად, ჩვენ დაგვკავშირებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო გართულდებოდა. გარდა ამისა, პანიკასა და სტრესში მყოფი მეუღლის მიერ ყოველ ხუთ წუთში შემოსული ზარები სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავდა და დაამძიმებდა.

ჩემმა პარტნიორმა ჩარბელის ოჯახს სტამბულის სასტუმროში რამდენიმე კვირით უმასპინძლა და დაითანხმა, საქართველოში არ ჩამოსულიყო. ვიცოდით, რომ საქართველოში ოჯახის ყოფნა გამტაცებლებს ემოციებზე თამაშის უფრო მეტ გასაქანს აძლევდა ჩვენზე ზეწოლის განსახორციელებლად.

ერთი რამ საბოლოოდ გადავწყვიტე: გამოსასყიდი თანხის ოდენობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მე მას მაინც არ გადავიხდიდი. როდესაც ერთხელ გადაიხდი, ყოველ დღე გადაგახდევინებენ და გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კომპანია ამ რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში მოღვაწეობდა, გამოსასყიდის ერთხელ გადახდა გზას გაუხსნიდა კიდევ უფრო მეტ გატაცებას.

კვირები გადიოდა და ახალი არაფერი ისმოდა. ერთი თვის შემდეგ იმადი დამიკავშირდა.

- დარეკეს! დარეკეს! მახარა მან.

- და?!

- 500 000 დოლარი მოითხოვეს და პასუხისათვის 48 საათი მოგვცეს. 48 საათში დარეკავენ! რა ვუთხრა?

- ის, რომ ფადი ასლი გადაგიხდით 1000 დოლარს და მორჩა! ისიც უნდა უთხრა, რომ ჩარბელის ყოველთვიური ანაზღაურება საკვებისათვის არის 1000 დოლარი და, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი მას ერთი თვის მანძილზე კვებავდნენ, მზად ვარ, ეს თანხაც გავუგზავნო.

- ეს როგორ ვუთხრა? მოკლავენ ჩარბელს!

- დაწყნარდი, არ მოკლავენ; მისთვის ერთი თვის მანძილზე საკვები იმიტომ კი არ მიუციათ, რომ პირველივე სატელეფონო ზარის შემდეგ მოკლან.

ორი დღის შემდეგ დაგვიკავშირდა იგივე გამტაცებელი. როდესაც იმადმა მას გასცა პასუხი, ტელეფონზე საუბრისას მდგომარეობიდან გამოვიდა და იმადსა და მე გვაგინებდა, ჩემს შეურაცხყოფაზე გადავიდა, თან სიკვდილით გვემუქრებოდა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შერატონის საცურაო აუზზე ვისვენებდი შუადღისას, როდესაც მობილურმა ტელეფონმა დარეკა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი იყო.

- ბატონო ასლი, თქვენთან ერთი საკითხის განხილვა მჭირდება. როდის შეგვეძლება შეხვედრა?

- როცა გნებავთ. ამჟამად სად ბრძანდებით?

- სამინისტროში. მაგრამ, აქ არ მინდა შეხვედრა.

- კეთილი, მაშინ, მობრძანდით შერატონში.

- კარგი. ნახევარ საათში მანდ ვარ.

დანიშნულ დროს ჩემს მაგიდას მოუახლოვდა ჩამრგვალებული, 40 წელს გადაცილებული მამაკაცი.

ბატონო ფადი, მე გია ვარ, ახლახან დაგირეკეთ.

- მობრძანდით, გია და დაბრძანდით. რას დალევთ?

- არაფერს. დიდი მადლობა.

- აბა, რა ხდება?

- ბატონო ფადი, თქვენი მოადგილის გატაცებასთან დაკავშირებით უნდა გესაუბროთ.

- რაიმე ახალია?

- არა, მთლად სიახლეს ვერ დაარქმევ. ვიცით, ვინ ჩაიდინა ეს. ვიცით მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ საქმე დაბლოკილია სამინისტროს მაღალ ეშელონებში.

- მინისტრს გულისხმობთ?

- ვინაობას ვერ გავამხელ. მხოლოდ ის შემიძლია გირჩიოთ, ეს საქმე მინისტრის ზემოთ გადაწყვიტოთ.

- გია, დიდი მადლობა დახმარებისათვის. დიდად ვაფასებ ამას.

გია წავიდა. მე კი ჩემს ფიქრებსა და უამრავ კითხვასთან ერთად დამტოვა.

საინტერესოა, რატომ მოინდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა პირმა, რომელსაც არასდროს შევხვედრივარ, ასეთი ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემა? რატომ მალავს სამინისტრო იმ ფაქტს, რომ მათ იციან ჩარბელის ადგილ-სამყოფელი? ნუთუ მინისტრი პირადადაა ჩართული გატაცებაში?

ერთი რამ, რაც აშკარად დავინახე, ის იყო, რომ სახელმწიფო სტრუქტურები უეჭველად იყვნენ ჩართული გატაცებაში, ამ საქმეს მფარველობდნენ და, შესაბამისად, ძალიან ბრაზობდნენ. ჩემთვის გავიფიქრე: ჩემთან თამაში მოინდომეთ? კი, ბატონო, ვითამაშოთ.

დაუყოვნებლივ დავურეკე გია ალიხანაშვილს, სარეკლამო კომპანია „მაქ ქენ ერიკსონის“ გენერალურ დირექტორს და შემდეგ დილას, 10 საათზე, ჩვენს ოფისში შეხვედრა დავუნიშნე.

- გია, თბილისში რამდენი ბილბორდია?

- ვფიქრობ, დაახლოებით 150-200 უნდა იყოს.

- ყველა ჩემი უნდა გახდეს.

- ყველა? რაიმე მეგაკამპანიას გეგმავ? ზოგიერთი მათგანი უკვე დიდი ხნის წინ დაჯავშნილია!

- კი, ვგეგმავ, დაჯავშნე რამდენიც შესაძლებელია!

- კეთილი, მაგრამ, ხომ იცით, დაახლოებით 100 000 დოლარი დაგიჯდებათ.

- არ დავეძებ, შევთანხმდეთ მისაღებ რეალურ ფასზე.

- რის რეკლამირებას აპირებთ?

- ჩარბელის!

- ჩარბელის?

- დიახ, ჩარბელის! თბილისის თითოეულ ბილბორდზე ჩარბელის სურათი უნდა იყოს და მივაწეროთ მხოლოდ ეს: გატაცებულია 2001 წლის 7 ივნისს.

და ასეც მოვიქეცით. ათი დღის შემდეგ თბილისის ყველა ბილბორდზე ჩარბელი კინოვარსკვლავივით გამოაჭენეს ინგლისური და ქართული წარწერით: “გატაცებულია, 2001 წლის 7 ივნისს”.

ორი ბილბორდი მგზავრებს თბილისის აეროპორტში ეგებებოდა და ემშვიდობებოდა. ბილბორდები იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, პროკურატურასთან, შევარდნაძის რეზიდენციისკენ მიმავალ გზაზე – ყველგან!

ამ ბილბორდების ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მე სრული მობილიზების საშუალებას მაძლევდა, რადგან ყოველთვის, როდესაც თბილისში ვმგზავრობდი, რომელიმეს მაინც ვხედავდი და ჩემთვის გაბრაზებული ვფიქრობდი: დედას გიტირებთ, არ გინდათ ხომ, საქართველოში ბიზნესი ვაკეთო? კი, ბატონო! მაშინ, ვერც ვერავინ შეძლებს ამას!

ივლისში, ჩემდა გასაკვირად, ოფისში მეწვივნენ ჩარბელის მამა და მისი მეუღლე, რომლებმაც ჩვენი თხოვნა არაფრად ჩააგდეს და ისე ჩამოვიდნენ თბილისში. მამამისმა ყვირილი დაიწყო, თოთქოს მე არაფერს ვაკეთებდი მისი შვილის გასათავისუფლებლად.

ვუთხარი, პირველ ყოვლისა, ჩვენ შეთანხმებული ვიყავით, რომ ოჯახი დარჩებოდა სტამბულში. გარდა ამისა, გამტაცებლებს რომ გაეგოთ მათი საქართველოში ყოფნა, ყველაფერი აირეოდა და სიტუაცია კონტროლს აღარ დაექვემდებარებოდა. ასევე, თუ მოლაპარაკებების საკუთარი ძალებით წარმართვა სურდათ, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მე აღარ მინდოდა, რაიმე კავშირი მქონოდა ამ საქმესთან.

ჩარბელის მამამ და მისმა მეუღლემ საშინელი აურზაური ატეხეს. მათ ვთხოვე, დაეტოვებინათ ოფისი, რაზეც უარი მივიღე. შესაბამისად, პოლიცია გამოვიძახე და გავაგდებინე ისინი ჩემი ოფისიდან. მათი აღშფოთების მიზეზი კარგად მეს-

მოდა და მეცოდებოდნენ კიდეც. მაგრამ იმასაც კარგად ვხვდებოდი, რაოდენ კონტრპროდუქტიული იქნებოდა მათი საქართველოში ყოფნა. ჩარბელს უფრო მეტ ზიანს მიაყენებდნენ, ვიდრე - სარგებელს.

რამდენიმე საათის შემდეგ დამირეკა ჩარბელის ძმამ. ჭკუაზე არ იყო, მწყევლიდა და შეურაცხყოფას მაყენებდა მისი მშობლების გაგდების გამო.

გატაცებასთან დაკავშირებით მუდმივად მიწევდა სოსო ალავიძესთან შეხვედრა. იგი თბილისის პოლიციის გამორჩეული უფროსი გახლდათ. სოსო ძალიან გავლენიანი ფიგურა იყო. სიმპათიური მამაკაცი, რომელიც მუდამ მოდურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ჰქონდა „როლექსის“ საათებისა და თანამედროვე გერმანული მანქანების კოლექცია. სოსოს საკუთარი დიდი სახლი თბილისის ე.წ. „კორუმპირებულთა გორაკზე“ მდებარეობდა; ხალხი მას კორუმპირებულად მიიჩნევდა, მაგრამ ჩემთვის ის იყო მომხიბვლელი, უაღრესად ქარიზმატული და პირდაპირი ადამიანი.

სოსო მუდმივად მაწვდიდა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა, ან, უფრო სწორად, რა არ ხდებოდა ჩვენს საქმეზე. ჩვენ ძალიან ვმეგობრობდით.

ბილბორდების განთავსებიდან ერთი თვის შემდეგ მე ვეწვიე კახა იმნაძეს, პრეზიდენტ შევარდნაძის პრესმდივანს.

კახა იყო ახალგაზრდა, ოცდაათ წელს გადაცილებული ქერა მამაკაცი, ჭკვიანი თვალებით. განათლება დასავლეთში ჰქონდა მიღებული. ინგლისურს მშობლიურივით ფლობდა. ერთი სიტყვით, იგი აღმოსავლეთის ოკეანეში დასავლეთის კუნძული იყო.

- კახა, ვუთხარი, ჩემი მოადგილის გატაცებიდან თითქმის ორი თვე გავიდა და მთავრობა არანაირ ზომებს არ იღებს. შინაგან საქმეთა სამინისტროდან შემატყობინეს, რომ მათ იციან გამტაცებლის ვინაობა და გატაცებულის ადგილსამყოფელი, მაგრამ არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაათავისუფლონ. ვიღაც ბლოკავს ამ საქმეს!

- ფადი, სამინისტროში ძალიან რთული სიტუაციაა. მომისმინე, ჩემო მეგობარო, სთხოვე აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ფილიპ რემლერს, შემხვდეს და ვურჩევ, როგორ მოიქცეს.

ფილიპს იმავე დღეს შევხვდი და ჩვენი საუბრის საქმის კურსში ჩავაყენე. ფილიპმა კახასთან შეხვედრა შემდეგი დილისთვის დაგეგმა. მას ურჩიეს, ეს საკითხი ნუგზარ საჯაიასთანაც დაეყენებინა, რომელიც გახლდათ უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი, პრეზიდენტ შევარდნაძესთან უაღრესად დაახლოებული გავლენიანი პირი.

ჩარბელ აუნი გატაცებამდე და განთავისუფლების დღეს

კახამ ფილიპს უთხრა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის, თარგამაძის, შეშინებას მხოლოდ ნუგზარ საჯაია შეძლებდა. ფილიპი ეწვია საჯაიას და საქმე მასთან განიხილა. საჯაია მას დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ მიიღებდა ზომებს.

19 აგვისტოს სოსო ალავიძემ დამირეკა და სასწრაფოდ მისვლა მთხოვა. მეც ვეახლე ეგზოტიკური თევზებით მოლივლივე გიგანტურ აკვარიუმიან ოფისში, რომლის სტუმარიც ბევრჯერ ვყოფილვარ. სოსო ოთახში ნერვიულად სცემდა ბოლთას.

- ფადი, მკითხა მან, შეგიძლია ჯერ არ უთხრა არავის, მაგრამ მე ხვალ ვტოვებ თანამდებობას. ჩარბელს რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლებენ, როგორც კი ჩემი შემცვლელი დაინიშნება. მათ უნდათ, შენ გეგონოს, თითქოს მე ვბლოკავდი მის გათავისუფლებას და ამისათვის დამატოვებინეს თანამდებობა.

მეორე დღეს, 20 აგვისტოს, სოსო ნამდვილად გადადგა და თბილისის პოლიციის უფროსად კახა ბაკურაძე დაინიშნა.

სიზმარში ტელეფონის ზარი გაისმა. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ ეს სიზმარი არ იყო! ჩემი მობილური დილის ხუთ საათზე რეკავდა. ვუპასუხე და შემრჩა დათო, ჩემი დაცვის უფროსი.

- გილოცავთ, სერ, ჩარბელი თავისუფალია!

ეს იყო 24 აგვისტო. ჩემი პირადი დაცვა ეზოში მელოდა, რათა იმ საავადმყოფოში წავსულიყავით, სადაც ჩარბელი გააგზავნეს „განთავისუფლების“ შემდეგ. მისი დაკავებიდან 77 დღე იყო გასული.

ექიმებმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ყურადღებით გამოიკვლიეს. როდესაც ვნახე, შოკში ჩავვარდი. 20 კილო დაეკლო და უზარმაზარი შავი წვერით კინოფილმებში წარმოდგენილ ველურს ჰგავდა.

იგი ჩემთან მოვიდა, ჩამეხუტა და ტირილი ვერ შეიკავა. მორალურად და ფიზიკურად განადგურებული იყო.

კახა თარგმაძის დანახვა ჰოსპიტალში გამიკვირდა. არც მივესალმე, არც მადლობა გადავუხადე და არც კი შევიმჩნიე მისი არსებობა. ახლაც მაქვს სერიოზული ეჭვი, რომ იგი პირდაპირ იყო ჩართული ამ საქმეში.

ტყვეობისას ჩარბელი 77 დღის განმავლობაში ჰყავდათ მიჯაჭვული ლოგინზე. თვალები ისე ჰქონდა ტყავის ნიღბით ახვეული, როგორც „რკინის ნიღბიანი მამაკაცის“ პერსონაჟს. მთელი ამ ხნის განმავლობაში შხაპის მიღების უფლებაც კი არ ჰქონდა. ჭამა და ტუალეტში სიარულიც საწოლზე მიჯაჭვულს უხდებოდა.

მას ამყოფებდნენ აეროპორტთან ახლოს მდებარე ბინაში. ბოლო დღეს კი ბინიდან წამოიყვანეს და თბილისის გარეთ, მიტოვებულ მშენებლობაზე, მიიყვანეს, სადაც პოლიციამ გაითამაშა მისი „განთავისუფლების“ სპეცოპერაცია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამტაცებლებთან მოლაპარაკების დროს, როცა ჩვენ მათ უარი ვუთხარით გამოსასყიდის გადახდაზე, ჩარბელი მათ ზუსტად იმავეს ეუბნებოდა.

- მე ჩემს უფროსს მშვენივრად ვიცნობ. იგი არასდროს დაემორჩილება ზეწოლას და გამოსასყიდს არასდროს გადაიხდის. ყველაზე რეალური, რისი იმედიც უნდა გქონდეთ, არის ის, რომ ჩემი კოლეგები სამსახურში რამდენიმე ათას დოლარს შეაგროვებენ. ასე რომ, უკეთესი იქნება, მომკლათ და დრო არ დაკარგოთ.

საბედნიეროდ, იგი გაათავისუფლეს, ხოლო ბილბორდების დადგმის ტაქტიკა „ნიუ იორკ ტაიმსში“ აქტიურად გაშუქდა და მკითხველის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩარბელი ლიბანში გადაფრინდა დასასვენებლად და მას შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულა. სულ მალე მისმა ძმამ დამირეკა და ბოდიში მომიხადა ტელეფონით მოყენებული შეურაცხყოფისათვის. ასევე, მადლობა გადამიხადა ჩარბელის უვნებლად და ცოცხლად დაბრუნებისათვის.

ქეთი ქურდოვანიძე



დროის მიღმა და დროის კვალდაკვალ

ქართული ევროპეიზმი მე-20 საუკუნის დასაწყისში მოდერნიზმის ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ეპიზოდით გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, ქართულ მოდერნიზმს არ გაუმეორებია ევროპული მოდერნიზმის პარადიგმა, რომელიც სრულიად დაცლილია ნაციონალური სენტიმენტებისგან. ქართული მოდერნიზმი ინდივიდუალურად განვითარდა და ეროვნული თემატიკა რეფლექსიის საგნად აქცია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის დისტანცირდა ზოგადკულტურული ევროპული კონტექსტისგან, რასაც მოწმობს ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკების გამალებული ბრძოლა ყველა იმ ავანგარდულ იდეასთან, რომლებსაც დასავლური ელფერი დაჰკრავდა. გარდა ამისა, ქართული მოდერნიზმის მკვეთრად ეროვნული ხასიათის შენარჩუნება, როგორც ჩანს, სახიფათო ტენდენციად მიიჩნეოდა რუსული ხელისუფლებისთვის. ამიტომაც საყოველთაო რეპრესიების კვალდაკვალ რუსეთის მოდერნიზებულმა იმპერიამ მეხსიერების წაშლა და ისტორიის გაყალბება ყველაზე ეფექტურ საბრძოლო იარაღად მიიჩნია.

არადა სწორედ მაშინ იწყება „მეხსიერების აღორძინების“ ეპოქა დასავლეთში. ანრი ბერგსონის იდეები შემოქმედებითად შთააგონებს მარსელ პრუსტს, მოგვიანებით კი ვლადიმერ ნაბოკოვს, მეხსიერების კულტურაზე წერენ ზიგმუნდ ფროიდი და კარლ იუნგი. დასავლური კულტურა რეაგირებს დიდ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე, თუმცა მოდერნიზმი მხოლოდ სუბიექტური მეხსიერების საკითხით შემოიფარგლება და მასზე რეფლექსიას იყენებს საშუალებად, მხატვრულ მეთოდად. ამის ნათელი მაგალითია მარსელ პრუსტის 7-ნაწილიანი რომანი „დაკარგული დროის ძიებაში.“

საყოველთაო რეპრესიების კვალდაკვალ, რუსეთის მოდერნიზებულმა იმპერიამ მეხსიერების წაშლა და ისტორიის გაყალბება ყველაზე ეფექტურ საბრძოლო იარაღად მიიჩნია.

ბევრი და საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა პრუსტის მხატვრულ მეთოდს, დროის კონცეფციასა და ნიშნებს. თუმცა აქ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე შევჩერდები: მეხსიერება, როგორც ცვლილების, ტრანსფორმაციის საშუალება. პრუსტის გმირი მუდმივად იცვლება და ამ ცვლილებას განაპირობებს არა გარემოებები, არამედ მისი შინაგანი ცხოვრება - მეხსიერება, ცნობიერისა და ქვეცნობიერის ერთობლივი მუშაობა, რომელიც ეფუძნება მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გმირი მიჯაჭვულია წარსულს, არამედ მასში გარკვევას ცდილობს. ამიტომაც მეხსიერება მისთვის მასწავლებელია, რომელიც უკვე არსებული ცოდნის ინტერპრეტაციისკენ გიბიძგებს. მას მიაჩნია, რომ წარსულისა და აწმყოს გამთლიანებითაა მხოლოდ შესაძლებელი ფიზიკური დროის მიღმა გასვლა. დაკარგული დროის დაბრუნებაც ხომ დროის ფენომენის დაძლევას ნიშნავს და, შესაბამისად, მარადიულობასთან ზიარებას მხატვრული ნაწარმოების შექმნის საშუალებით.

ბუნებრივია, როდესაც პრუსტზე ვსაუბრობთ, არ ვგულისხმობთ მექანიკურ მეხსიერებას, რომელსაც წარსულის გაცოცხლება არ შეუძლია. საუბარია შემოქმედებით მეხსიერებაზე. პრუსტი ამტკიცებს, რომ წარსულის გაცოცხლება იმ ადამიანის დაბადებაა,

რომელიც თითოეულ ჩვენგანში უხილავად ცოცხლობს, ეს უჩინარი ადამიანი უკვდავია, რადგან მას უკავშირდება შემოქმედებითი უნარიც, მუდმივი განახლების მამოძრავებელი ძალა, საკუთარ თავში კი მისი პოვნა და გამოვლენა სიკვდილზე გამარჯვებას ნიშნავს. სწორედ ეს არის დაკარგული დროის დაბრუნების მთავარი ამოცანა, დროის მიღმა დატოვოს ის სასტიკი რეალობა, რომელიც ყველაფერს ანადგურებს. დროზე გამარჯვება კი საკუთარ მოკვდავ ბუნებაზე გამარჯვებაა. ავტორმა თავის ცხოვრებაზე უარი უნდა თქვას, რათა ეს ცხოვრება თავის პერსონაჟს შესძინოს. ამიტომაც გადაწყვეტს, ჩაიკეტოს და დაწეროს რომანი, რადგან ვერც წინაპართა ფოტოები, ვერც ძველი ნივთები, ვერც ნაცნობი ადგილები ვერ დაგვაკავშირებს წარსულთან, რამეთუ გახსენება მხოლოდ და მხოლოდ გულდაწყვეტაა - კარგისა და ცუდის გამოც, საჭიროა მისი გადააზრება: კარგისა იმიტომ, რომ ის აღარ არსებობს, ცუდის კი - იმიტომ, რომ ამ გადასახედიდან სხვანაირად მოიქცეოდი.

მეხსიერება მისთვის მასწავლებელია, რომელიც უკვე არსებული ცოდნის ინტერპრეტაციისკენ გიბიძგებს.

მიუხედავად იმისა, რომ „დაკარგული დროის ძიებაში“ მწერლის სუბიექტური მეხსიერების მანიფესტაციაა, პრუსტი მიზნად არ ისახავს არც მომხდარი მოვლენებისა და არც საკუთარი ბიოგრაფიის რეპრეზენტაციას, ის ცდილობს მკითხველისთვის სხვა, შინაგანი, რეალობის ჩვენებას, იმის დაჯერებას, რომ პიროვნული პროგრესი არც სოციალურ მოვლენებს უკავშირდება და არც ისტორიულ ქარტეხილებს, არამედ მხოლოდ სუბიექტური აღქმის გააზრებას. პრუსტის მიზანია არა მხოლოდ პერსონაჟმა, არამედ ყველა მკითხველმა შეიგრძნოს თვითრეფლექსიის მნიშვნელობა, გაიაზროს, რომ შინაგანი ცხოვრება გაცილებით რეალურია და მასზე ზემოქმედებაც პიროვნული ნების გარეშე არ ძალუძს არც სოციუმს, არც ინსტიტუციებსა და არც საზოგადოებრივ ნორმებსა და ტრადიციებს, რომ ეს არის სწორედ ის ერთადერთი სივრცე, სადაც შეგიძლია იყო თავისუფალი და მოიპოვო უკვდავება. ამ ამოცანას პრუსტი წარმატებით ართმევს თავს, ამიტომაც ამბობს ვირჯინია ვულფი, პრუსტი ჩემი თავგადასავალიაო. ასე იქცევა სუბიექტური მეხსიერების მხატვრული გაცოცხლება მთელი ეპოქის თავგადასავლად, რომლის მთავარი მახასიათებელი სწორედ ცვლილებაა, ცვლილება მეხსიერებასთან დაბრუნებით.

მართლაც, პრუსტისა და მისი დარი მოაზროვნეების კვალდაკვალ იწყება დიდი ცვლილებები დასავლურ სააზროვნო სისტემაში, რაც, სამწუხაროდ, ქართულ მოდერნიზმს არ დასცალდა. სწორედ ცვლილება აშინებდა ყველაზე მეტად ხელისუფლებაში ძალადობით მოსულ ბოლშევიკურ მთავრობას, ამიტომაც საგანგებოდ ვერაგი და სასტიკი მეთოდებით ხელოვანებს შეებრძოლა, რამეთუ იმდროინდელ რეალობაში ერთადერთი ღირებული, რაც შემორჩა, სწორედ ხელოვნება იყო და იქღა ისმოდა თავისუფლების მაჯისცემა.

ოკუპაცია მხოლოდ ტერიტორიული და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მოსპობას არ ითვალისწინებს, ის, პირველ ყოვლისა, პიროვნების იდენტობის მთავარი საყრდენის მორყევას იწყებს, რაც გულისხმობს საზოგადოების ისტორიული, კულტურული, სოციალური მეხსიერების ჯერ შეზღუდვას და შემდეგ გაქრობას. ეს საფუძველი საბჭოთა სისტემამ მასთან დაკავშირებულ ყველა სახელმწიფოს გამოაცალა. შედეგები კი, როგორც ვხედავთ, დღემდე მტკივნეული და საბედისწეროა.

სრულიად შეიცვალა მეხსიერების როლი და ფუნქცია გასული საუკუნის 80-იან წლებში, ყავლი გაუვიდა დროის გააზრების მოდერნისტულ კონცეფციასაც, მეხსიერების კოლექტიური ხასიათი კი პოსტმოდერნიზმს დაუკავშირდა. დღეს სოციალური მეხსიერებისა და იდენტობის საკითხს სულ უფრო დიდი ადგილი ეთმობა კულტურულ კვლევებში, შენდება მეხსიერების მუზეუმები (საქართველოში ასეთი ოკუპაციის მუზეუმია), იდგმება მონუმენტები, წესდება ხსოვნის დღეები, გამოიცემა სპეციალური ბროშურები, როგორც კოლექტიური მეხსიერების გამომხატველი ფაქტები, რადგან, რაც ევროპაში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მხოლოდ ამ ომის მსხვერპლს არ ეხება, არამედ ეს საყოველთაო ღირებულებითი შეთანხმების საკითხია.

თანამედროვე დასავლურ სამყაროში კულტურული თუ ისტორიული რელატივიზმის იდეა სულ უფრო მძლავრად იკიდებს ფეხს. მოდერნიზმის მიერ დადებული ზღვარი სუბიექტურ მეხსიერებასა და სოციალურ მოვლენებს შორის ქრება და ერთ მთლიანობად იქცევა. ამიტომაც, როდესაც საუბარია კოლექტიურ მეხსიერებაზე, ეს ისტორიულ მეხსიერებასაც გულისხმობს, რაც არ ნიშნავს საკუთარი ეროვნული

ნარატივის არარსებობას, პირიქით, იმპერიების დიდი ნარატივების საპირწონედ იქმნება პოსტკოლონიური მცირე ნარატივები, ისტორიულად და კულტურულად დასაბუთებული, რაც კოლონიალიზმით დაპაუზებული მეხსიერების გამოღვიძებასაც გულისხმობს. ყოველწლიურად ასობით ნაშრომი ეძღვნება მეხსიერების კვლევებს, რომლებსაც ახლავს დისკუსია და კამათი, თუმცა ყველა თანხმდება, რომ სუბიექტური მეხსიერება სოციალური დისკურსის მიღმა ვერ იარსებებს.

ბოლო დროა ინტერესი მეხსიერებისა და იდენტობის საკითხების მიმართ ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება. თუმცა ქართული ლიტერატურა უფრო ადრიანად შეეხმიანა ამ თემას, ვიდრე სოციალური მეცნიერებები. 90-იან წლებში გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც წერდნენ იდენტობის კრიზისზე, კულტურულ და ანთროპოლოგიურ დეგრადაციაზე, თუმცა მომხდარი პოლიტიკური მოვლენების ქარტეხილში ეს თემები ჩაიკარგა.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა ამჟამინდელმა ვითარებამ, როდესაც კვლავ საფრთხე შეექმნა დამოუკიდებლობასა და სიმწრით მოპოვებულ თავისუფლებას, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ არც მაშინ და არც ახლა არ გაგვიაზრებია ჩვენი ქვეყნის არათუ შორეული, არამედ უახლესი წარსულიც კი - მაშინ, როდესაც მტერმა ბრძოლის იარაღად გაიხადა ჩვენი ისტორია, ისარგებლა მასთან დისტანცირებული საზოგადოების მოკლე მეხსიერებით და დაიწყო მანიპულაცია ისეთი ღირებულებებით, რომელთა ინსტრუმენტალიზაცია ყოველთვის ამართლებს ასეთი ტიპის ქვეყნების მოსახლეობის გასაბრიყვებლად.

საჭირო გახდა ამ აღვირახსნილ პროპაგანდასთან დაპირისპირება და საზოგადოებისთვის იმის შეხსენება, რომ სწორედ მითებით მორთული და გაყალბებული ისტორია ხელახლა დასაწერია, ხოლო უახლოესი წარსული - გასაცოცხლებელი და გასააზრებელი.

რადგან მეხსიერებაზე ვსაუბრობ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ზაზა ბიბილაშვილის ორ წიგნად გამოცემული მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ ახლახან დასტამბა. „დერილიუმსა“ და „ქართულ მატრიცას“ საერთო ნარატივი აერთიანებს. ეს არის მოკლე ისტორიებისგან შემდგარი ერთი მთლიანობა, რაც ძალიან ჰგავს ზემოთ ნახსენები მარსელ პრუსტის თხრობის კინემატოგრაფიულ მეთოდსა და რეალობის გააზრების კონცეფციას, თუმცა სრულიად განსხვავებული კონტექსტით. პრუსტის მსგავსად, ეს არ არის უწყვეტი ნაკადი მოგონებებისა, არამედ შედგება ცალკეული ეპიზოდებისგან, რომლებიც ქმნის ამ უწყვეტობის განცდას. წარსულს აცოცხლებს არა უბრალოდ მოგონება, არამედ დეტალები, დიალოგები, ხმა, ლანდშაფტი, ნივთები. მათი განმეორებადობა ყველა ჯერზე გვაბრუნებს წარსულთან და რეფლექსიისკენ გვიბიძგებს. თუმცა, პრუსტისგან განსხვავებით, ამ ტექსტებს ხაზგასმით გასდევს სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავად აღწერილი მოვლენების მომსწრე და მონაწილეა, ტექსტში პრაქტიკულად არ გვხვდება მისი შეფასებები, მოსაზრებები ან მოვლენათა განსჯის მცდელობა. ავტორი მხოლოდ ნარატორია და არა პერსონაჟი, დამკვირვებელი და არა მოქმედი გმირი, ის კისრულობს აღწერილი მოვლენების შერჩევას, სისტემატიზაციასა და ექსპონირებას და არა მათ კომენტირებას და დასკვნების გამოტანას, ამ ადგილს ის მკითხველს უთმობს. იშვიათად შემხვედრია ავტორი, რომელსაც ასე ემეტებოდეს მკითხველისთვის საკუთარ მონათხრობში მონაწილეობის უფლება, ასე უხსნიდეს მას საავტორო კომპეტენციის ფარგლებს და აგრძნობინებდეს, რომ ეს მისი თავგადასავალიცაა.

განცდას. წარსულს აცოცხლებს არა უბრალოდ მოგონება, არამედ დეტალები, დიალოგები, ხმა, ლანდშაფტი, ნივთები. მათი განმეორებადობა ყველა ჯერზე გვაბრუნებს წარსულთან და რეფლექსიისკენ გვიბიძგებს.

„დელირიუმი“, ზაზა ბიბილაშვილის ორტომეულის პირველი წიგნი, ერთგვარად ეხმიანება ამერიკელი მწერლის, ლორენ ოლივერის ამავე სახელწოდების დისტოპიურ რომანს, რომელიც მოგვითხრობს ტოტალიტარული რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის მექანიზმზე. ალტერნატიულ აწმყოში მცხოვრებ ადამიანებს ასწავლიან, რომ სიყვარული დაავადებაა, ანუ ამორ დელირია, იგივე ნერვული აშლილობა, და მისგან განკურნების პროცედურის ჩატარებას ავალდებულებენ. 18 წლის გოგონა სულმოუთქმელად ელოდება, როდის მოუწევს პროცედურაზე წასვლა, რომ ამ

საშინელი სენისგან განიკურნოს, რადგან სახელმწიფო პროპაგანდამ მას შთააგონა, რომ სწორედ სიყვარულია ქვეყნის ყველაზე საშიში მტერი. არსებობენ ამ იდეის მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ მათ აპატიმრებენ და სასტიკად უსწორდებიან. მიუხედავად ასეთი ტერორისა, გოგონას შეუყვარდება ვაჟი მოწინააღმდეგე ბანაკიდან და მასთან ერთად გარბის სიყვარულისგან დაცლილი ქვეყნიდან, სადაც ატყუებდნენ, აბუჩად იგდებდნენ და თავისუფლებას ართმევდნენ.

ოლივერის რომანისგან განსხვავებით, ზაზა ბიბილაშვილის პერსონაჟები არსად გარბიან, ისინი ცხოვრობენ და ეგუებიან არსებულ მოცემულობას და ხშირად ვერც კი ხვდებიან, რომ მათი პრობლემები ამ დეგრადირებულ საბჭოთა კულტურასთან თანაცხოვრებამ გამოიწვია. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ კულტურის ნარჩენებით ჩვენი საარსებო სივრცე ისევ დაბინძურებულია, მართალია საბჭოთა სისტემა დაინგრა, მაგრამ მისგან დარჩენილი ნაგვის გადაყრა ჯერაც ვერ მოახერხა საზოგადოებამ. ამიტომ არის ასე ნაცნობი და აქტუალური ის, რაც ტექსტში გარდასულ დღეთა ამბებს გვახსენებს, ნაცნობი პერსონაჟებითა და ისტორიებით, მორალური და ეთიკური დილემებით, მენტალური და ინტელექტუალური პარამეტრებით. ავტორის აზრით, ერთადერთი უალტერნატივო გამოსავალი ტრანსფორმაციაა და ის საკუთარი მაგალითით გვიჩვენებს, როგორ იცვლებოდა თავად მუდმივი თვითრეფლექსიის კვალდაკვალ.

იშვიათად შემხვედრია ავტორი, რომელსაც ასე ემეტებოდეს მკითხველისთვის საკუთარ მონათხრობში მონაწილეობის უფლება, ასე უხსნიდეს მას საავტორო კომპეტენციის ფარგლებს და აგრძნობინებდეს, რომ ეს მისი თავგადასავალიცაა.

ორტომეულის მეორე წიგნი - „ქართული მატრიცა“ კიარიადნეს გორგალივით მიგვიძღვის ლაბირინთის გამოსავლისაკენ. აქ მეხსიერების კონცეფცია გააზრებულია მოვლენათა ანატომიის ჭრილში. როგორ უნდა განვიკურნოთ, რა იყო ჩვენი დაავადების მიზეზი და საერთოდ, ვიყავით კი სნეულნი, იქნებ ამას რეჟიმი გვინერგავდა, პროპაგანდა გვაწვეთებდა? იქნებ მან შეგვაჩვია სწორედ იმ აზრს, რომ თითოეულ ჩვენგანს თავი შეუძლოდ ეგრძნო და კოლექტიური ბრძოლის პროცესს ნებაყოფლობით ჩამოშორებოდა? აღარ გვქონოდა ისტორიის ერთიანი განცდა და თვითიდენტიფიკაცია საერთო` ღირებულებებთან კი არა, ვიწრო პირად ინტერესებთან მოგვეხდინა? ტექსტის ამ ნაწილში ავტორი გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეხსიერება იმ დროს, როდესაც ყველაზე მეტად გვიჭირს ორიენტირება და, როგორც ჯონ ლოკი იტყოდა, მაშინ მეხსიერება იწყებს იდეათა არქივის რეჟიმით მუშაობას. სწორედ იდეათა გაცოცხლებასა და მათ ინტერპრეტაციაზეა საუბარი ორტომეულის ამ ნაწილში. ავტორი აღნიშნავს, რომ მეხსიერების აქტუალიზაცია თანამედროვე ეპოქაში წარმოუდგენელია სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გარეშე, რამეთუ ყველაზე პერსონალური აღქმაც კი გლობალიზაციის ეპოქაში საზოგადოებრივ კონტექსტს ვერ იქნება მოწყვეტილი. ავტორი წარსულის ინტერპრეტაციაზეც საუბრობს, აღნიშნავს, რომ სწორედ განახლება, რეფლექსია გვეხმარება იდენტობის კრიზისის დაძლევაში. აქ ის ეხმიანება დევიდ ჰიუმის იდეას იდენტობის კონცეფციის თაობაზე და ამბობს, რომ იდენტობა არ არის ერთხელ შექმნილი მდგრადი კონსტრუქტი, ის მუდმივად იცვლება დროისა და კონტექსტის შესაბამისად. ცვლილების გარდუვალობაა სწორედ ის გამოსავალი, რომელიც სტაგნაციას, მარგინალიზაციასა და ლოკალური ინტერესებით შემოფარგვლას დაგვაძლევინებს.

ტექსტის ხასიათიდან გამომდინარე, ავტორი ირჩევს ლირიკულ-სატირული თხრობის სტილს, რადგან აქ მოთხრობილი ამბები ერთდროულად იუმორისტულიცაა და დრამატულიც. ზედმიწევნით ეკიდება პერსონაჟთა იდენტობის გამომხატველ მცირე დეტალებსაც კი, მათ შორის სამეტყველო ენას. თუ „დელირიუმს“ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას მივაკუთვნებთ, უფრო სწორად ე.წ. ედიუქეიმენტს, „ქართული მატრიცა“ ნონ ფიქშენის ერთ-ერთი პოპულარული ჟანრის - პოსტდოკუმენტური პროზის ნიმუშია.

ასეა თუ ისე, ეს წიგნები აუცილებლად წასაკითხია. წასაკითხია არა იმიტომ, რომ მრავალ ეპითეტს იმსახურებს, არამედ იმიტომ, რომ განახლებისკენ, ცვლილებებისკენ გვიხმობს და გვახსენებს, რომ დაკარგული დრო უნდა დავიბრუნოთ და ყველამ საკუთარი წიგნი დავწეროთ. ■

ნანუკა ბრეგაძე

აიდან იუსუფი

რუსული ხორბალი და ფქვილი

ახალი თავსატეხი საქართველოსთვის

რუსული ხორბალი და ფქვილი საქართველოს ეკონომიკას ახალ საფრთხეებს უქმნის. რუსეთში მიმდინარე ნებისმიერი მოვლენა უშუალოდ აისახება ჩვენს მეწისქვილეებსა და პურის მცხობელებზე. ბოლო წლებში რუსეთმა ხორბლის ექსპორტის პოლიტიკა შეცვალა, რამაც ქართული ინდუსტრიისთვის დიდი პრობლემები შექმნა:

- შემცირდა მაღალი ხარისხის ხორბლის იმპორტი და ახლა ქვეყანას ამ სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტის ორთვიანი მარაგიც კი აღარ აქვს;
- გაიზარდა რუსული ფქვილის იმპორტი, რამაც დიდად დააზიანა ქართული წისქვილები და ქართველი ხორბლის მომყვანები;
- მთავრობა რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად არაფერს აკეთებს, მეტიც, რუსული ბიზნესინტერესი ხორბლისა და ფქვილის ინდუსტრიაშიც აქტიურად იჭრება.

ათწლეულებია, ქართული პური რუსული ხორბლითა და ფქვილით ცხვება. 2009 წლიდან მოყოლებული, ყველაზე მეტ ხორბალსა და ფქვილს სწორედ რუსეთიდან

ვყიდულობთ. იმპორტის თვალსაზრისით მეორე და მესამე ადგილებს ძირითადად ყაზახეთი და უკრაინა იკავებს.

ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ რუსეთიდან შემოტანილი ხორბალი და ფქვილი ყველაზე იაფია. ყველაზე ძვირი კი უკრაინული ხორბალია, თუმცა ომის დაწყების შემდეგ უკრაინიდან იმპორტი თითქმის აღარ გვაქვს.



რუსეთიდან და სულ შემოტანილი ხორბალი წლების მიხედვით

ქართველი მეწისქვილეებისა და მცხობელებისთვის ვითარება შედარებით სტაბილური იყო 2021 წლის ივნისამდე. შემდეგ კი რუსეთმა ხორბლის ექსპორტზე გადასახადი გააძვირა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გადასახადის დაწესების შემდეგ რუსული ხორბალი საგრძნობლად გაძვირდა, ის მაინც სხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ ხორბალზე იაფია.

მაგრამ აქ მნიშვნელოვანი სხვა რამაა: ხორბლისგან განსხვავებით, რუსეთს ფქვილის ექსპორტზე გადასახადი არ დაუწესებია. შესაბამისად, ქვეყანაში შემცირდა ხორბლის, მაგრამ გაიზარდა რუსული ფქვილის იმპორტი.

„აი, ფაქტი" ეცადა გაერკვია, დღეს რუსეთიდან ფქვილი რომელ კომპანიებს შემოაქვთ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს ათი ათას ტონამდე ფქვილის შემომტანი კომპანიების რაოდენობა წინა წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა, 2022 წელს კი ბაზარზე 187 ახალი იმპორტიორი გამოჩნდა.

გაძვირებულმა ხორბალმა გამოიწვია ის, რომ საქართველოში წარმოებული ფქვილის თვითღირებულებაც გაიზარდა და ის რუსულ ფქვილს კონკურენციას ვერ უწევს. რუსული იმპორტირებული ერთი ტომარა ფქვილი საქართველოში წარმოებულზე 10-12 ლარით იაფია. ამიტომ წისქვილკომბინატები ან გაჩერდნენ, ან ცოტა ფქვილს ფქვავენ და წაგებაზე მუშაობენ. ამის გამო მუშახელიც გაათავისუფლეს და აღარ ყიდულობენ ქართულ ხორბალს, რომელსაც რუსულ ხორბალთან შესარევად იყენებდნენ.

რა მდგომარეობაა წისქვილკომბინატებში?

რუსულ ხორბალზე ფასის ზრდამ ქართველი მეწისქვილეების ბიზნესს დახურვის საფრთხე შეუქმნა. ამ ინდუსტრიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ასეთი უიმედო მდგომარეობა არასდროს ყოფილა. მეწისქვილეებს შემდეგ პრობლემებთან უწევთ გამკლავება:

● რუსული ხორბალი გაძვირდა. გაზრდილი ფასის გამო გაიზარდა წარმოების ხარჯი, რაც კონკურენციას ვერ უწევს რუსეთიდან შემოსულ ფქვილს;

● მეწისქვილეებმა შეამცირეს წარმოება და გაათავისუფლეს თანამშრომლები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება კომპანიებისთვის მნიშვნელოვანი რესურსი იყო;

● მეწისქვილეები მთავრობას დახმარებას სთხოვენ, თუმცა მთავრობა პრობლემის მოგვარებაში ვერ ან არ ეხმარება.

მარინა კაციტაძე საქართველოში ყველაზე ძველი წისქვილკომბინატის, „პროგრესის“, მფლობელია, რომელიც რუსთავში მდებარეობს. კრიზისის დროს 50 ადამიანი გაათავისუფლა. დარჩენილი 150 თანამშრომელი რომ შეინარჩუნოს, წაგებაზე აგრძელებს მუშაობას. უკვე საკუთარი ბიზნესის მომავალს ვეღარ ხედავს.

„დავკარგეთ კონტაქტები მსხვილ მომწოდებლებთან. ადრე გემებით შემოგვქონდა ან ვაგონებით, ახლა მანქანებით შემოგვაქვს... ახლა არასტაბილური სიტუაციაა, ინერციას მივყვებით. ბიზნესი ბიზნესს აღარ ჰგავს. შეგრძნება, რომ ხვალინდელ დღეს დაგეგმავ, მოემზადები, ფიქრობ შეცვალო აღჭურვილობა, განაახლო, შეაკეთო - ამის სურვილი გიქრება, რადგან ვერ ხედავ საფუძველს,“ - გვიყვება კაციტაძე.

ამბობს, რომ თუ მანამდე 5-7 ათას ტონა ხორბალს, ანუ ორი თვისას, იმარაგებდნენ, ახლა, ყველაზე მეტი, 10 დღის სამყოფი, ანუ ათას ტონამდე, მარაგი აქვთ ხოლმე. ერთი ტონა ხორბლის შემოტანა დაახლოებით 350 დოლარი უჯდებათ. ნედლეული მანქანებით ლარსიდან მოაქვთ. ახლა წარმოების 30 პროცენტს ამუშავებს და თვეში 4,000 ტონიდან 1,800 ტონაზე ჩამოვიდნენ.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უნდა არსებობდეს 3 თვის ხორბლის მარაგი და, მით უმეტეს, თუ მეზობელ ქვეყნებში ომია, დღეს ჩვენ უსაფრთხოდ არ ვართ. ფქვილი ინახება 2 თვე, ხორბალი - 2 წელი. ღმერთმა დაიფაროს, რომ ვერ ჩამოვიდეს ფქვილი, თქვენ თვითონ ხვდებით, რა საშიშროების წინაშე ვდგებით.“ - ამბობს მარინა კაციტაძე.

ლევან ჯანაშიას ორი წისქვილკომბინატი აქვს, თბილისსა და გორში. ამბობს, რომ რუსეთის მიერ დაწესებული ხორბლის ექსპორტის გადასახადის გამო ჩვეულთან შედარებით 15-20-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობენ.

„ეს მცურავი მოსაკრებელია, ყოველ 2-3 კვირაში ერთხელ იცვლება ამის მონაცემი. 2021 წლის ზაფხულში დადგინდა და 20 დოლარიდან 142 დოლარამდე ავიდა, სადღაც 8-9 თვეში,“ - გვეუბნება ჯანაშია.

რადგან მეწისქვილეებისთვის ნედლეული გაძვირდა, გაძვირდა ამ ნედლეულით დაფქული, ადგილზე წარმოებული ფქვილის ფასიც. რუსეთიდან შემოსულ ფქვილს კი საქართველოშიც არანაირი მოსაკრებელი არ აქვს დაწესებული. ამიტომ ის ადგილობრივად წარმოებულ ფქვილზე იაფია.

„ჩვენთან, საშუალოდ, პირველი ხარისხის ფქვილის ყოველთვიური მოხმარება დაახლოებით 25-30 ათას ტონამდეა. ადრე რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილი იყო ამ რაოდენობიდან, საშუალოდ, ათასი ტონა. დღეის მდგომარეობით კი 20 ათას ტონამდე ადის, ხანდახან მეტიც. ტომარა ფქვილის ღირებულება - 70-72 ლარი, რუსული შემოტანილი ფქვილის გასაყიდი ფასი კი - 50-55 ლარი იყო. იქ უკვე ხარისხს დიდად აღარავინ უყურებს, იმიტომ, რომ ფასში ძალიან დიდი სხვაობაა,“ - ამბობს ჯანაშია.

ლადო ბიძინაშვილი წისქვილ „ბარაქას“ ხელმძღვანელობს. მისი წისქვილი რუსეთის მხრიდან ექსპორტზე გადასახადის შემოღებამდე თვეში, დაახლოებით, 2,000 ტონის გადამუშავება-რეალიზაციას ახერხებდა. ახლა კი 500-700 ტონამდე ჩამოვიდა.

წარმადობის შემცირებას მოჰყვა კომპანიიდან თანამშრომლების გათავისუფლებაც: 150-დან ახლა მხოლოდ 40-50 ადამიანს ამუშავებენ.

„სახელმწიფოს ვეუბნებით, რომ ფქვილის მიმართულებით ყველა წარმოება ჩერდება. დღეს რომ გავჩერდეთ ჩვენ და ხვალ რომ მოგვინდეს ამ წარმოების ამუშავება, ვეღარ ავამუშავებთ. გვჭირდება დაახლოებით 2-3-თვიანი პერიოდი, იმიტომ, რომ სპეციფიკური სამუშაოა. საჭიროა სპეციალიზებული კადრები. როცა წარმოება ჩერდება, იწყება ამ კადრების გადინება, სხვაგან მუშაობას იწყებენ და მარტივი მოსაძიებელი არ არის მერე." - გვიხსნის ბიძინაშვილი.

იმავეს ამბობენ ლევან ჯანაშია და მარინა კაციტაძეც და აღნიშნავენ, რომ ამ დარგის მცოდნე მუშახელი ჩვენს ქვეყანაში ძალიან ჭირს. მათი თქმით, იმ ადამიანების შენარჩუნება, რომლებსაც დღემდე ამუშავებენ, მხოლოდ წაგების ხარჯზე მოახერხეს.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ლევან სილაგავა, გვიხსნის, რომ წისქვილკომბინატები ეცადნენ, მომუშავეების 60-70 პროცენტი შეენარჩუნებინათ და ახლა საქართველოს წისქვილებში დაახლოებით 3,000-მდე ადამიანი მუშაობს.

„ფქვილს არ სჭირდება ტექნიკური მოსამსახურე, ფქვილს სჭირდება - მოიტანა, გაყიდა... საწყობი სჭირდება და ბუღალტერია. მთლიანი ტექნოლოგიური ციკლის ხალხი არ სჭირდება. ეს 3,000 ადამიანი კია შენარჩუნებული, მაგრამ, ალბათ, უკვე გაათავისუფლებენ უახლოეს დროში, თუ არ იქნა მიღებული რაიმე გადაწყვეტილება," - გვეუბნება სილაგავა. გადაწყვეტილების მიღებას კი მთავრობისგან ელიან. მოლაპარაკებები უკვე მეორე წელია უშედეგოდ მიმდინარეობს. მეწისქვილეები გამოსავალს რუსეთიდან შემოტანილი იაფი ფქვილისთვის დამატებითი გადასახადის დაწესებაში ხედავენ, რასაც მთავრობა არ ეთანხმება, რადგან შიშობს, რომ ეს პურის ფასს გაზრდის. მეწისქვილეებს აქაც ჰქონდათ მოსაზრება, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი პურზე ფასის ზრდის თავიდან არიდება. ამბობდნენ, რომ ე.წ. სოციალური პურის მცხობელებს ფქვილს იაფად და ფიქსირებულ ფასად მიაწვდიდნენ. „სოციალურ პურს" ეძახიან იმას, რასაც მოსახლეობის უმეტესობა ყოველდღიურად მაღაზიებში ყიდულობს.

„პურის მცხობელებს თავიანთ სამიზნე ფასში მივაწვდიდით ფქვილს ისე, რომ არ გაძვირდებოდა, და დანარჩენ რაოდენობას, რომელიც გამოიყენება საკონდიტროებსა თუ თონეებში, უკვე ჩვენ თვითონ დავარეგულირებდით," - გვეუბნება ლევან ჯანაშია.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან შამუგიამ, 3 აპრილს ამ შეთავაზებაზე მორიგი უარი ოფიციალურადაც განაცხადა. მინისტრის პასუხად მეწისქვილეებმა ახალი შეთავაზება გააჟღერეს. ამჯერად სამინისტროს სთავაზობენ, მთავრობამ გადასახადით არ დაბეგროს მხოლოდ ის 7,000 ტონა ფქვილი, რომელიც რუსეთიდან შემოგვაქვს და რომლითაც პურის ქარხნები ე.წ. სოციალურ პურს აცხობენ.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ლევან სილაგავა, ამბობს, რომ, საშუალოდ, ერთ ტონა იმპორტირებულ ფქვილზე გადასახადმა უნდა დააბალანსოს ის დამატებითი გადასახადი, რომელიც ხორბლის იმპორტიორებს ახლა აქვთ.

„ჩვენი ამოცანაა, რომ გამათანაბრებელი გადასახადი შემოვიდეს, რომელიც დააბრუნებს ერთნაირ რეჟიმს ფქვილსა და ხორბალზე. 200 ლარი არის საშუალოდ ის თანხა, რომელიც დაბალანსებდა. ეს შეიძლება იყოს სამთვიანი პროცესი და მერე გადაიხედოს," - ამბობს სილაგავა.

მეწისქვილეთა მიერ ნაპოვნი გამოსავალი არ მოსწონთ მეპურეებს. „მეპურეთა ასოციაციის" ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე ფიქრობს, რომ მეწისქვილეების მხრიდან უფრო ლოგიკური დღგ-ის გადასახადისა და ტარიფების შემცირების მოთხოვნა იქნებოდა და არა იმპორტირებული ფქვილის დაბეგვრა, რაც მცხობელებს ფქვილს გაუძვირებს.

არსებული მდგომარეობით, როგორც ჩანს, არც ფქვილის იმპორტიორები არიან კმაყოფილი.

შპს „მარდს“ რუსეთიდან ფქვილი 2014 წლიდან შემოაქვს. 2018-2021 წლებში იმპორტიორი კომპანიების ათეულში იყო. ჩვენ ვესაუბრეთ მის დირექტორს, ნუგზარ გონიაშვილს.

„სულს ვღაფავთ... ფასები კატასტროფულად იკლებს და ვერ ვასწრებთ შემოტანას. სანამ შემოიტან, თვლი თვითღირებულებას, ანუ რაც გიჯდება, და სანამ რეალურად მოიტან ფქვილს საწყობამდე და გაყიდვას დააპირებ, ადგილზე გხვდება უფრო ნაკლები ფასი,“ - გვეუბნება გონიაშვილი.

მისივე თქმით, ყოველი ახლად შემოტანილი პარტიის გაყიდვით ზარალდებიან.



რუსეთიდან და სულ შემოტანილი ფქვილი წლების მიხედვით

ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ მიწოდება უფრო მაღალია, ვიდრე მოთხოვნა და ახალ-ახალი იმპორტიორები გაჩნდნენ ბაზარზე. ამას ოფიციალური მონაცემებიც ადასტურებს. საჯარო რეესტრის ბაზაში გადავამოწმეთ ის კომპანიები, რომელთაც საქართველოში ფქვილი რუსეთიდან შემოაქვთ. 2018-2023 წლებში ასეთი სულ 320 სუბიექტია. მათგან 90-ზე მეტი კომპანია მას შემდეგ შეიქმნა, რაც 2021 წელს რუსეთმა ხორბლის ექსპორტზე გადასახადი დააწესა. 2022 წელს კი ბაზარზე 187 ახალი იმპორტიორი გამოჩნდა. როგორც საჯარო რეესტრის მონაცემები გვიჩვენებს, ფქვილის იმპორტიორებში საქართველოს მოქალაქეები ჭარბობენ. 21 მათგანს აქვს რუსეთ-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა. 11 იმპორტიორი კი რუსეთის მოქალაქეა.

გამოდის, რომ ინდუსტრიაში არსებული ყველა რგოლი აწყდება ისეთ ძირეულ პრობლემებს, რომლებიც მათ ბიზნესს ემუქრება.

წისქვილკომბინატ „პროგრესის“ მეპატრონე მარინა კაციტაძე ფიქრობს, რომ მთავრობას მათი დახმარება კი უნდა, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. ახლა მომდევნო შეხვედრას ელის.

„ჩვენი პრობლემა აისახება ისევ ქართველ მეხორბლეებსა და იმ მოქალაქეების ოჯახებზე, რომლებიც გაუშვეს გაჩერებულმა წისქვილებმა. ეს ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვთ, მაგრამ რატომღაც ვერ წყვეტენ. გაგების და შეხვედრის დონეზე მთავრდება,“ - გვიყვება კაციტაძე.

რა საფრთხეს უქმნის რუსული ხორბალი და ფქვილი ქართველ მეხორბლეებს?

რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილის კიდევ ერთი მსხვერპლი ქართველი მეხორბლეები არიან. ისინი ხორბალს ვეღარ ყიდიან და ასობით ტონა მარცვალი საწყობებში უფუჭდებათ. მეწისქვილეები მათი ხორბლის ხარისხს იწუნებენ. ის

მცირე რაოდენობა, რომელსაც ახლა წისქვილები ფქვავენ, ძირითადად, რუსეთიდან შემოტანილი მარცვლეულია. ქართული ხორბალი კი ფუჭდება და გადასაყრელი ხდება.

მეწისქვილეების აზრით, პირველი ხარისხის ფქვილის მისაღებად მხოლოდ ქართული ხორბალი არ გამოდგება. ის მხოლოდ შესარევად არის ვარგისი.

2 აპრილს 8 მეხორბლემ სოციალური ქსელით გაავრცელა ვიდეო, რომლითაც სახელმწიფოს ხორბლის გაყიდვაში დახმარებას სთხოვდა. ვიდეოში ამბობენ, რომ წინა წლებში ამ პერიოდისთვის მარცვალი უკვე აღარ ჰქონდათ, ახლა კი საერთოდ ვერ ყიდიან. ვიდეოში აღნიშნავენ, რომ სწორედ სახელმწიფოს წახალისებითა და დახმარებით დათესეს ხორბალი და ააშენეს საწყობები. ახლა კი მოსავალი იქვე უფუჭდებათ და აღარც საკმარისი ადგილი აქვთ ახალი მოსავლის დასაბინავებლად.

ჩვენ ვესაუბრეთ „საქართველოს მარცვლის მწარმოებელთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს, ნიკოლოზ ბენიაიძეს. თავად შირაქში და მის მიმდებარედ 1,500 ჰექტარზე ხორბალი აქვს დათესილი. 16 წლიდან ამ საქმეშია ჩაბმული, ახლა 45 წლისაა და ამბობს, რომ ასეთი კრიზისული სიტუაცია პირველად აქვთ.

ქართული წარმოების ხორბალი ადრე მთელი ბაზრის მხოლოდ 10-15 პროცენტს შეადგენდა, დანარჩენი კი შემოტანილი მარცვლეული იყო. ქართველ ფერმერებს ხორბლის გაყიდვის პრობლემა არასდროს ჰქონიათ. წელს კი, შემოდგომის შემდეგ, მარცვალს ვეღარ ყიდიან.

გასაყიდი ახლა 30,000 ტონაზე მეტი ხორბალია. უკვე მოსავლის აღების დროც ახლოვდება და დაბინავების პრობლემა შეექმნებათ. ყველა სიკეთესთან ერთად კი, თუ ბანკის სესხს ვერ გადაიხდიან, მიწების დაკარგვის საშიშროებაც შეექმნებათ.

„ეს იყო იაფი აგროსესხი, 100,000 ლარამდე ერთ ფერმერზე, რამაც გაგვაბედინა, მეტი ფართობი დაგვეთესა ხორბლის, რამაც ჩაგვაგდო განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში, 100,000 ლარი რომ გაგვესტუმრებინა, შარშან უნდოდა 100 ტონა ხორბალი და წელს უნდა 180 ტონა ხორბალი მოგვეყვანა. სხვა სესხი ავიღე ახლა, რომ ძველი გადავფარო,“ - ამბობს ბენიაიძე.

ნიკოლოზთან ერთად ამხანაგობაში გაერთიანებულია სამი სოფლის 46 ფერმერი. მათ იაფი სესხის პირობებით ჯამურად 4,000 ჰა-მდე ფართობზე აქვთ დათესილი მარცვალი და, მისი თქმით, ყველა ამ დღეშია ჩავარდნილი.

2020 წელს „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამას, რომელიც 2013 წლიდან არსებობს, დაემატა კიდევ ერთი ქვეკომპონენტი ერთწლიანი კულტურების დაფინანსებისთვის. პროგრამის ფარგლებში ბანკები საბრუნავი საშუალებებისთვის 100,000 ლარამდე სესხს გასცემენ, სახელმწიფო კი ფერმერებს სესხის გადახდაში ეხმარება. ამ ქვეკომპონენტით 2020 და 2022 წლებში 7,060-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, აქედან მეხორბლე 4,000-მდეა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ბანკების მიერ გაცემული სესხების თანადაფინანსება ბიუჯეტს 11 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა.

რუსეთში ხორბლის ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებებმა უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთა, რამდენად არათანმიმდევრულია საქართველოს მთავრობის მიდგომა აგრარული სექტორის მიმართ. გამოჩნდა, რომ წლების განმავლობაში ბიუჯეტიდან გაღებულმა თანხებმა ვერც დარგი განავითარა და ვერც რუსეთზე დამოკიდებულება შეუმცირა ქვეყანას.

რუსეთში ხორბლის ინდუსტრიაში მიმდინარე ცვლილებებმა უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთა, რამდენად არათანმიმდევრულია საქართველოს მთავრობის მიდგომა აგრარული სექტორის მიმართ. გამოჩნდა, რომ წლების განმავლობაში ბიუჯეტიდან გაღებულმა თანხებმა ვერც დარგი განავითარა და ვერც რუსეთზე დამოკიდებულება შეუმცირა ქვეყანას.

ჩვენ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ორჯერ მივმართეთ წერილით და ვთხოვეთ, მოეწერათ, როგორია სამინისტროს პოლიტიკა ხორბლის მოსავლიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ქალბატონო ნანუკა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 26 აპრილს შემოსული #014 თქვენი განცხადების პასუხად, გიგზავნით კომპეტენციის ფარგლებში, გიგზავნით მარცვლეული კულტურების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსების მიზნობრიობით სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების/პროგრამების ჩამონათვალს:

პროექტის/პროგრამის დასახელება	პროექტის/პროგრამის დაწყების წელი	პროექტის/პროგრამის დასრულების წელი	ხელშეკრულებით განსაზღვრული თანადაფინანსება (ლარი)
,,აგროდაზღვევის პროგრამა"	2014	მიმდინარე	3,121,314.78
,,გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი"	2014	მიმდინარე	6,428,447.93
სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - "ახალგაზრდა მეწარმე"	2018	2021	59,860.80
,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა"	2022	მიმდინარე	1,026,000.00
,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი"	2013	მიმდინარე	27,856,163.23

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი ვერცერთხელ ვერ მივიღეთ. წერილობით გამოგზავნილ პასუხში ჩამოთვლილია პროგრამები, რომლებიც, ზოგადად, მარცვლეული კულტურების დასაფინანსებლად მოქმედებს. სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელს პასუხისმგებელ პირთან ვრცელი ინტერვიუს ჩასაწერად დახმარება ვთხოვეთ, თუმცა, დაპირების მიუხედავად, არ დაგვეხმარა. შესაბამისად, მოცემული სტატიიდან მკითხველი ლოგიკურად უნდა მიხვდეს, თუ რა პოლიტიკას ატარებს მთავრობა ამ მიმართულებით.

იაფმა კრედიტებმა და სახელმწიფო დაფინანსებამ გამოიწვია დაბალი ხარისხის ხორბლის მარაგის ზრდა, რომელიც, საქმე საქმეზე თუ მიდგება, მეწისქვილეებს თავისუფლად მუშაობის საშუალებას არ აძლევს.

ნიკოლოზ ბენიაიძე ამბობს, რომ ჩვენ ძირითადად საშუალო ხარისხის ხორბალი გვაქვს. ხარისხის ასამაღლებლად საჭირო სამუშაოებისთვის კი ფინანსები არ ყოფნით: „ამას დიდი ტექნოლოგიები... ჩარევა სჭირდება, სწორი კვება, სწორი ჯიშები, კლიმატთან შეხამება და, როდესაც ადამიანი სესხს ვერ იხდი, რომელ ტექნოლოგიებზე ვსაუბრობთ?!“

მეხორბლეების პასუხად, სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიას თქმით, ძალაშია პოლიტიკა, რომ ხორბლის მოსავალი 50 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამ მიზნის მისაღწევად ამერიკელი სპეციალისტების დასკვნას ელიან: „ისინი შეისწავლიან ხორბლის წარმოების მთლიან ღირებულებათა ჯაჭვს და, შესაბამისად, მოგვცემენ რეკომენდაციებს დარგის ხელშეწყობის მიმართულებით; ამის შემდგომ ჩვენ უკვე დამატებით ღონისძიებებსაც გავატარებთ.“

2022 წლის ივლისში მთავრობამ მეხორბლეებს მარცვლეულის ექსპორტზე გატანა ერთი წლით შეუზღუდა. „რეგიონში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი წარმოების ხორბლის და ქერის რეალიზაცია მხოლოდ შიდა ბაზარზე განხორციელდეს,“ - ამბობდა მაშინ სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია.

6 აპრილს, მეხორბლეების მიერ ვიდეოს გავრცელებიდან ოთხ დღეში, ეს შეზღუდვა მოხსნეს. ფერმერები ამას გამოსავლად ვერ მიიჩნევენ, რადგან საექსპორტო ფასი მათთვის მიუღებელია.

„გასულ წელს ხორბალი ამ დროს 1.10 ლარი ღირდა. დავთესეთ მაგ ფასად და ახლა



საქართველოში წარმოებული და ექსპორტზე გატანილი ხორბალი

55 თეთრად უნდა გავყიდოთ. ვალს ვერ გავისტუმრებთ, თორემ გავყიდდით ამ ფასად. საექსპორტო შეზღუდვაც მოხსნეს, მაგრამ იქაც 55 თეთრი ღირს და არ გვიღირს. თვითღირებულებით მაინც რომ ჩავაბაროთ, საწყობებს გავათავისუფლებთ და ვალის ნაწილსაც დავფარავდით," - აღნიშნა „მარცვლის მწარმოებელთა ასოციაციის" თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ბენიაიძემ, bm.ge-სთან ინტერვიუში.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოდან ხორბლის მცირე ნაწილი გადის საექსპორტოდ, თუმცა ეს ვითარებას მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის.

განახლება: მეხორბლეების პროტესტისა და მეწისქვილეების მიერ გამოხატული უკმაყოფილების ფონზე სამინისტროს პოზიციის გადახედვა მოუწია. 29 მაისს მათ განაცხადეს, რომ 5 თვის განმავლობაში ფქვილის იმპორტზე დამატებით საფასურს დააწესებენ, ტონაზე 200 ლარის ოდენობით. რეგულაცია ძალაში 12 ივნისიდან შევიდა.

დავით ხვადაგიანი

„მოსკოვის ოქრო“ საქართველოს წინააღმდეგ

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში, ამჟამინდელ ოპერის თეატრში, ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მოწვეული წარმომადგენლობითი ორგანო - ამიერკავკასიის სეიმი პირველ სხდომას მართავდა. სეიმის მოწვევა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყო: ეს იყო კულმინაცია რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ მოსკოვთან გაჩენილი უთანხმოებისა. ამიერკავკასიის სეიმი საბჭოთა რუსეთისგან გამოყოფას იურიდიულად აფორმებდა და ნიადაგს უმზადებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას, რომელიც მოგვიანებით, 1918 წლის 22 აპრილს, გამოცხადდა. ბოლშევიკურ რუსეთთან დაპირისპირებულ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, სომხურ დაშნაკცუტიუნს, აზერბაიჯანულ მუსავათსა და სხვა პარტიებს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნით, რომლის პოლიტიკური ცენტრი თბილისი იქნებოდა, მსოფლიოში არსებული გარდამტეხი მოვლენების ფონზე შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ. ამიერკავკასიის ქვეყნების ერთიან რესპუბლიკაში ინტეგრაცია და ბაქო-ბათუმის მაგისტრალის გაკონტროლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მოკავშირის გარეშე მყოფი თბილისისთვის, რომ ის ძლიერი ევროპული სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო და, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის ნანგრევებს შორის დარჩენილს, ძლიერი მფარველი და მოკავშირე ეპოვა.



თუმცა მოსკოვის დასაყრდენი ადგილობრივი ბოლშევიკები უქმად არ მსხდარან. მოსკოვიდან მიღებული დირექტივის საფუძველზე მათ თბილისში, ალექსანდრეს ბაღში, ამიერკავკასიის სეიმის საწინააღმდეგო დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს, სადაც ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთისგან ჩამოშორებას აპროტესტებდნენ. ცნობილი ბოლშევიკი და „სტალინის მასწავლებელი“, არაქელა ოქუაშვილი, თავის მოგონებებში 10 თებერვლის ბოლშევიკურ მიტინგზე წერდა: „იმ დღეს მენშევიკების სეიმის გახსნა იყო. ჩვენ შევიკრიბეთ ჩვენი კომიტეტის მითითებით ყოველ რაიონიდან. ჩვენ შორის იყვნენ; ფილიპე მახარაძე, სერიოჟა ქავთარაძე, კამოს დები: პეტროსიანები ჯავაირა, არუსიაკა, ლუსიკა, სანდუხტი, იასონი ჯორბენაძე, გიორგი ჩხეიძე, ნესტორა ცერცვაძე, სტეფანე შაუმიანი, ნიკოლაი კუზნეცოვი, არტილერისტი პეტრენკო (ნავთლუხი) კივკუცანი - აეროპლანების კომანდირი, მალაქია ტოროშელიძე, პარმენ საბაშვილი, მე-3 რაიონიდან ჯორბენაძე იასონი მოვიდა ამხანაგებით, ბაირაღი ეჭირა ანტონა მგალობლიშვილს. სტეფანე შაუმიანი და ნიკოლაი კუზნეცოვი იმყოფებოდნენ ყოფილი სომხების სემინარიაში, ისინი მიტინგის გახსნისას უნდა მოსულიყვნენ.“

ბოლშევიკების ოფიციალური საბაბი ამიერკავკასიის სეიმის მიერ რუსეთისგან ჩამოშორების იურიდიული გაფორმება და წინა დღეებში მთავრობის მიერ ბოლშევიკური გამოცემების - „კავკაზსკი რაბოჩისა“ და „ბრძოლის“ დახურვის გაპროტესტება იყო, თუმცა, სინამდვილეში, მათი მოქმედების გეგმა რუსული მოდელის გადმოტანა იყო: როგორც წინა წელს პეტროგრადში ზამთრის სასახლის იერიშით აღება და ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოახერხეს, ისე უნდოდათ ყოფილი

მეფისნაცვლის სასახლეზე იერიშის მიტანა და ამიერკავკასიის კომისარიატის გარეკვა.

ქართველ ბოლშევიკებს ერთხელ უკვე ჩაეშალათ ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმა, როდესაც 1917 წლის 12 დეკემბერს ახლად შექმნილმა გვარდიამ თბილისის არსენალის გაბოლშევიკებული გარნიზონი განაიარაღა. მათ რევანში ამოძრავებდათ, თუმცა მათი გეგმები კვლავ ჩაიშალა. ამიერკავკასიის კომისარიატის საგანგებო რაზმმა, რომელსაც ქართველი ოფიცერი, ვლასა იმნაძე, მეთაურობდა, ბოლშევიკურ მიტინგს ცეცხლი გაუხსნა და ძალის გამოყენებით დაარბია. არაქელა ოქუაშვილი იხსენებდა: „...პირი ვიბრუნე ზარების სამრეკლოსაკენ, ერთმა ტყვიამ გამკრა პალტოს კალთაში, გაველ სამშვიდობოს ხაზინასთან, გახურებული სროლაა, ისვრიან თოფით და პულემიოტებით. მივიხედე, ვხედავ, ფილიპე მახარაძე გამორბის თავშიშველა. შლიაპა ხელში ეჭირა, პალტო მტვრიანი ჰქონდა. ეტყობოდა, რომ წაქცეულიყო. მე მას ვტაცე ხელში და გავაქანე იქვე ახლოს ზემელის მაღაზიაში გაბო ოქოევთან. შევედით ეზოდან დუქნის უკანა ოთახში. ფილიპეს სკამი მიართვეს, გაბოს ცოლმა სათინიკამ პალტო გაუწმინდა. ფილიპე ძალიან აღელვებული იყო, სულ რუსულად იძახდა: „ეტო კ ლუჩემო, ეტო კ ლუჩემო.“ (იგულისხმება - ეს ჩვენთვის უკეთესია)

ფილიპე მახარაძე დაღუპული ბოლშევიკების მემორიალის გახსნაზე, 1922

მაშინ ვერც არაქელა ოქუაშვილი მიხვდა, თუ რას გულისხმობდა საქართველოს პირველი ბოლშევიკი - მახარაძე, რომელიც 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერმა, ნოე ჟორდანიამ, პოლიტიკურ დისკუსიაშიც სასტიკად დაამარცხა და საქართველოში რუსული „ბოლშევიკური რევოლუციის“ გადმოტანაც ჩაუშალა, მაგრამ ფაქტი იყო, ეს დღე გადაიქცა საქართველოსა და რუსეთის სამწლიანი უწყვეტი ბრძოლის დასაწყისად. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 1921 წლამდე საბჭოთა რუსეთიდან დაფინანსებულმა და მისგან ზურგგამაგრებულმა ბოლშევიკებმა საქართველოს წინააღმდეგ სამი აჯანყება მოაწყვეს, რასაც რუსეთის სამოქალაქო ომში ჩართული „მეორე რუსეთის“ - მოხალისეთა არმიის თავდასხმები და საბჭოთა წითელი არმიის ორი სრულმასშტაბიანი შემოჭრაც ახლდა. მეორე, 1921 წლის, ინტერვენცია საქართველოსთვის საბედისწერო გამოდგა და მას 70-წლიანი საბჭოთა რუსული ოკუპაცია და ტერორი მოუტანა. თუმცა მანამდე იყო დიდი ბრძოლები და ამ ბრძოლაში ქართველ ბოლშევიკებს სამართლიანად დაერქვათ „მოსკოვის ოქროთი მოსყიდული აგენტები“.

არაქელა ოქუაშვილი

1918 წლის ბოლშევიკური „აგრარული ტერორი“

1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, რუსეთმა ბათუმის ოლქი, ყარსისა და არტაანის მიწები ოსმალეთის საკუთრებად აღიარა, მაგრამ ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ და 10 თებერვალს მოწვეულმა ამიერკავკასიის სეიმმა ეს პირობები არ მიიღო, რის შემდეგაც ოსმალეთი იარაღის ძალით შეუდგა ტერიტორიების დაკავებას.

ოსმალეთს კავკასიის ფრონტზე განცდილი მარცხის გამო რევანშის საშუალება მიეცა, რასაც სათავისოდ მობილიზებული



გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“
15 მარტი 1918

ნოე რამიშვილი და ნოე ჟორდანია

შეხვდა რუსეთის სატელიტი ბოლშევიკური ძალები კავკასიაში, რომელთაც კავკასიაში ლენინური კურსის მცირე მოდელის დანერგვა და მსოფლიო „იმპერიალისტური ომის“ ბოლშევიკურ რევოლუციაში გადაზრდა სცადეს.

1917 წელის ბოლოდან ბოლშევიკებმა დიდი წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის ფრონტის მოშლაში და გაბოლშევიკებული ჯარისკაცების მასის მხარდაჭერით პირველად სცადეს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, თუმცა ამიერკავკასიის კომისარიატმა და ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქისა და სარკინიგზო მაგისტრალის დაცვა შეძლო. ტფილისის წითელმა გვარდიამ (შემდგომში სახალხო გვარდია) არსენალის ხელში ჩაგდებითა და მისი გარნიზონის განიარაღებით საფუძველი გამოაცალა გადატრიალების გეგმებს.

1918 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებმა აჯანყებების სერია წამოიწყეს საქართველოში. აჯანყებები ჩრდილოეთ კავკასიის „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ მთავარი ქალაქიდან, კავკავიდან (ვლადიკავკაზი), იმართებოდა: ბოლშევიკური ამბოხებები აალდა კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და იმერეთის მთიან ნაწილში. განსაკუთრებით აქტიურად ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის რაზმები მოქმედებდნენ სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში, რასაც მოჰყვა ლეჩხუმში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და ამ რეგიონზე ამიერკავკასიის ხელისუფლების ფაქტობრივი კონტროლის დაკარგვა.

1918 წლის 26 მარტს ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება სოხუმში და მთელ ოლქში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

მოვლენები განსაკუთრებით დრამატულად განვითარდა გორის მაზრის ოსებით დასახლებულ ჯავისა და ცხინვალის რაიონებში. აქ გაჩაღებულ შეიარაღებულ გამოსვლებს „აგრარულ ანარქიად“ აფასებდნენ თანამედროვეები და მიუთითებდნენ, რომ მასში ოსი გლეხობის დიდი მასის ჩართვაც მათი მძიმე სოციალურ-ისტორიული მოცემულობით იყო განპირობებული. ხიზანი და უმიწო ოსი გლეხობა არ ელოდებოდა (ისევე, როგორც სხვა მხარეებში გლეხობის უმრავლესობა) რევოლუციის შემდეგ მიწის ახალი რეფორმის შემუშავებას. მათ სტიქიურად, თვითნებურად დაიწყეს ყოფილი მემამულეების მიწების, ქონების მისაკუთრება და რიგ შემთხვევებში - მათი ფიზიკური განადგურებაც. აჯანყებული გლეხების, ყოფილი ჯარისკაცებისა და დეზერტირების სისასტიკეზე ბოლშევიკების კარგად გათვლილი აგიტაციაც ახდენდა გავლენას: ისინი გლეხობაში გამალებულ აგიტაციას ეწეოდნენ, რომ თითქოს „მენშევიკები და გვარდია თავადაზნაურობას მიეყიდნენ და ბატონყმობის აღდგენას აპირებდნენ“.

გორის მაზრაში არსებული ანარქია განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა ამიერკავკასიის ხელისუფლებას, რადგან საფრთხე დაემუქრა რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალს. ბათუმის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა, თუ გორის მაზრაში მოქმედი დეზერტირების დაჯგუფება, რომელსაც რუსეთის იმპერიის არმიის ყოფილი პორუჩიკი, ისაკ ხარებოვი, მეთაურობდა, ცხინვალსა და გორს აიღებდა. ამიერკავკასიის მთავრობას ბათუმის ოლქის ფრონტის დასუსტების ხარჯზე შეიარაღებული ძალების გადაჯგუფება მოუწია. გვარდიის სარდალმა, ვალიკო ჯუღელმა,

რამდენიმე დღეში მოახერხა აჯანყებულების დამარცხება და წესრიგის აღდგენა, თუმცა ეს დროც საკმარისი გამოდგა, რომ დახმარების გარეშე დარჩენილი ბათუმი დაცემულიყო.

1918 წლის 1 აპრილს (ახალი სტილით 14 აპრილს) ბათუმი დაეცა და აჭარაზე კონტროლი ოსმალურმა არმიამ დაამყარა. 1918 წლის 17 მაისს გვარდიამ სოხუმი დაიკავა, ვალიკო ჯუღელი ტრიუმფით შევიდა მშობლიურ ქალაქში და მალე ქართულმა ჯარმა და გვარდიამ მთელი აფხაზეთი გაწმინდეს ბოლშევიკებისგან.

მას შემდეგ, რაც გერმანიამ საქართველოს მფარველობა - მოკავშირეობა ითავა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს ხელისუფლებამ და სახალხო გვარდიამ ზაფხულის განმავლობაში აჯანყების ყველა კერის განეიტრალება შეძლეს და ქვეყანაში სტაბილიზაციის პროცესი დაიწყო.



გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 ნოემბერი 1919

1919 წლის ოცნება რუსულ „გადატრიალებაზე“

1919 წლის შემოდგომიდან რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკების წარმატებას საქართველოში მათი კვლავ გააქტიურება მოჰყვა, თუმცა, წინა წლისგან განსხვავებით, მათ აღარ ჰქონდათ საქართველოში აჯანყების მოწყობის დიდი რესურსი; საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულმა თვითმმართველობისა და მიწის რეფორმებმა, ასევე, საინფორმაციო მუშაობამ სოფლის მოსახლეობა რესპუბლიკის ერთგული გახადა და სოციალური აფეთქების მუხტი გააქარწყლა. ამას ემატებოდა სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურისა და შსს განსაკუთრებული რაზმის (უშიშროების სამსახური) ეფექტიანი მუშაობა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ტაქტიკა შეცვალა: ამჯერად აჯანყებები სტიქიურად კი არ ეწყობოდა, არამედ კარგად ორგანიზებული ჯგუფების მიერ საქართველოს თითქმის ყველა მხარესა და დედაქალაქ თბილისში სახელმწიფო ადმინისტრაციაზე, ფოსტა-ტელეგრაფსა და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე მოულოდნელ თავდასხმასა და კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა. ასევე ისინი გეგმავდნენ მთავრობის წევრების დაპატიმრებას და მათი განეიტრალებით გადამწყვეტი გავლენის მოხდენას ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილ ქართულ შეიარაღებულ ძალებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ამჯერადაც ამიერკავკასიის რკინიგზასა და წიფის გვირაბის ხელში ჩაგდებას ექცეოდა, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებდა აჯანყების ორგანიზატორებს. აჯანყების სამართავად კომიტეტმა გორის მაზრაში ქართველი ბოლშევიკი, ივანე ჯეჯელავა, მიავლინა. გეგმა ასეთი იყო - შეიარაღებულ ჯგუფებს ქალაქი ხაშური უნდა დაეკავებინათ; ალის მხრიდან - არსენ ლომიძეს, ხცისის მხრიდან - ზნაურ აიდაროვს და სურამის მხრიდან ტატე ბუხრიკიძეს უნდა შეეტია.

1919 წლის ბოლშევიკური აჯანყება, რომელიც 7 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო, დამარცხებისთვის აღმოჩნდა განწირული: ქართულმა სპეცსამსახურებმა მათი გეგმები წინასწარ იცოდნენ და ბოლშევიკური, არალეგალური სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელშიც ქართული კონტრდაზვერვის აგენტი იყო



გაზეთი „კომუნისტი“
13 ივნისი 1920

ჩანერგილი, უკანასკნელ სხდომაზე შსს განსაკუთრებულმა რაზმმა მთელი შემადგენლობით დააპატიმრა ვორონცოვის მოედანზე მდებარე სასტუმრო „ავრორაში“. დაპატიმრებულთა შორის იყო ე.წ. გარნიზონის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, ილია მგელაძე (ფსევდონიმი „ქოროღლი“). აჯანყების ცენტრი მოიშალა, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა სამზადისი გააუქმა, მაგრამ ინფორმაციის არქონის გამო კახეთში, გურიაში, აფხაზეთსა და გორის მაზრაში აჯანყებები მაინც დაიწყო, თუმცა სახალხო გვარდიის ნაწილები მომზადებული შეხვდნენ გამოსვლებს და კერების ლიკვიდაცია არ გასჭირვებიათ.

ნოემბრის აჯანყების დამარცხებამ ბოლშევიკებს მძიმე დარტყმა მიაყენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მალე შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის, განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ის დაწვრილებით განიხილავდა ბოლშევიკების გეგმებს. ასევე, ბრიტანელი კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში რამიშვილი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთიდან ბოლშევიკებმა 87 მილიონი მანეთი ჩამოიტანეს, რაც მოსყიდვასა და პროპაგანდაში დახარჯეს, თუმცა მათი გეგმები საქართველოს მთავრობისთვის თავიდანვე ცნობილი იყო და მისი განეიტრალება არ გასჭირვებიათ.

აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ სამხედრო-საველე სასამართლომ გურიაში, გორის მაზრაში და სხვაგან დაპატიმრებულ რამდენიმე ბოლშევიკს დახვრეტა მიუსაჯა. სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით, დახვრიტეს დაპატიმრებული ოსი ბოლშევიკი, ზნაურ აიდაროვიც (1938 წელს საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ შიდა ქართლში ყორნისის რაიონს ზნაურ აიდაროვის სახელი უწოდა).

1919 წლის 30 ნოემბერს სახალხო გვარდიის კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა თბილისში, კოჯრის ქუჩაზე, თვით ქართველი ბოლშევიკების ლიდერი - ფილიპე მახარაძე დააპატიმრეს, რომელიც მღვდლის ანაფორაში გადაცმული გადაადგილდებოდა. გვარდიელებმა დაპატიმრებული მახარაძისგან საიდუმლო დოკუმენტები ამოიღეს, რომელთა მიხედვითაც ცნობილი გახდა, თუ როგორ აპირებდნენ ბოლშევიკები თბილისსა და სხვა ქალაქებში სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდებას.



ილია მგელაძე

1920 წელი - „წითელი ვანდეა“

1920 წელს, რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელის, სერგო ორჯონიკიძის, მითითებით, კავკავში დიდი სამზადისი გაჩაღდა. წინა წლებში საქართველოდან გაქცეული ოსი მებრძოლი ბოლშევიკებისგან აპრილში „სამხრეთ ოსეთის პარტიზანული ბრიგადა“ შექმნეს და მის პოლიტიკურ კომისრად ძველი ბოლშევიკი, რაზდენ კოზაევი, დანიშნეს. თუმცა კოზაევს ბრიგადაში საქმიანობისთვის ნამდვილად აღარ ეცალა, მას უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა. მაისში იგი საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ახლად შექმნილი ორგანიზაციის მე-2 კონფერენციამ საოლქო კომიტეტის წევრად აირჩია და მოსკოვში მიავლინა, ვლადიმერ ლენინისთვის „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მიმართვის“ ჩასაბარებლად. კოზაევი მოსკოვში კომინტერნის მეორე კონგრესის მიმდინარეობისას ლენინმა მიიღო და „სამხრეთ ოსეთის აჯანყებულ მშრომელებს“ დახმარება აღუთქვა.

1920 წლის მაისი ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის მძიმედ დაიწყო: საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დაპირისპირებით. რადგან აზერბაიჯანის არმიის დიდი ნაწილი განჯასა და ყარაბაღში იყო მობილიზებული სომხეთის არმიის წინააღმდეგ, თითქმის უბრძოლველად დაიკავა ბაქო და პირდაპირ თბილისისკენ გააგრძელა შეტევა. თუმცა ეს შეტევა ინერციით არ ყოფილა განპირობებული. ბოლშევიკური მებრძოლი ჯგუფები უკვე მზად იყვნენ ზურგში მოქმედებისთვის როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ტერიტორიაზე და მაშინვე სცადეს ხელისუფლების ხელში ჩაგდება, რაც ყარსის ოლქში ბოლშევიკური აჯანყებით, ხოლო თბილისში სამხედრო სკოლაზე თავდასხმისა და მთავრობის წევრების ხელში ჩაგდების მცდელობით გამოიხატა, მაგრამ ეს ოპერაციაც ჩავარდა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კონტრდაზვერვის თანამშრომელმა, ნიკოლოზ ნიჟარაძემ, გაშიფრა და დააპატიმრა ტერორისტების ჯგუფი, რომელსაც ბოლშევიკი - პავლე მარდალეიშვილი ხელმძღვანელობდა.

გაზეთი „ეშმაკის მათრახი“ #31, 1920

გეგმა ასეთი იყო: როდესაც წითელი არმია თბილისს შეუტევდა, ბოლშევიკ ტერორისტებს, რომელთაც საიდუმლო ბაზა იმერეთის სოფელ მაღლაკში ჰქონდათ, უნდა აეფეთქებინათ სადგურ რიონის სარკინიგზო ხიდი, რითაც ქართულ ჯარსა და სახალხო გვარდიას ზურგის მომარაგებას მოუშლიდნენ. ანალოგიური სახიფათო სამხედრო ვითარება შეიქმნა ქვეყნის სხვა განაპირა მხარეებში: ქართულ ჯარსა და სახალხო გვარდიას აღმოსავლეთით - ფიოლიოს, სადახლოსა და წითელი ხიდის მხრიდან - უწევდათ წითელი არმიის დივიზიის მოგერიება. რთული ვითარება იყო შექმნილი ბათუმის ოლქშიც, საიდანაც ბრიტანელები უკვე გადიოდნენ და ოლქის ხელში ჩასაგდებად ფარული ბრძოლა იყო გაჩაღებული.

საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა ბრიტანელების გასვლის გეგმა და ჯერ კიდევ იანვრიდან დაიწყო ოზურგეთის მხრიდან სამხედრო დანაყოფების განთავსება, ხოლო აპრილის ბოლოდან ქართული ჯარები ართვინისა და ხულოს მხარესაც გააქტიურდნენ. 2 მაისს ქართულმა დანაყოფებმა ართვინი დაიკავეს, მაგრამ ხულოს მიმართულებით სერიოზული პრობლემები შეიქმნა; ბათუმის ოლქში, სადაც მოხალისეთა არმიის შესამჩნევი გავლენა იყო, ძლიერი იყო ბოლშევიკური იატაკქვეშეთი და პროოსმალური, შემდეგ პროთურქული ორგანიზაცია - ბათუმის ისლამური საბჭო, იგივე „სედაი მილეთი“. არცერთის ინტერესს არ წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ ბათუმის ოლქზე კონტროლის დამყარება. ამას დაემთხვა საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის საიდუმლო მოლაპარაკებებიც და ბოლშევიკურ იატაკქვეშეთთან კავშირის მქონე „სედაი მილეთის“ შეიარაღებულმა ჯგუფებმა ქართულ არმიას ქობულეთისა და ხულოს გზებზე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. ბოლშევიკმა ტერორისტებმა, აკაკი სურგულაძემ და გერმანე ჯიბლაძემ, ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის მებრძოლი ჯგუფების ხელმძღვანელის, სერგო გუბელის (მეძმარიაშვილი), დავალებით, 23 აპრილს მდინარე კინტრიშის სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს და მიიმალნენ, რათა ქართული შეიარაღებული ძალების წინსვლა შეეჩერებინათ.

მელქისედეკ კედია და პლატონ ფაჩულია

1920 წლის 5 მაისს წითელი არმიის დანაყოფებმა მდინარე ფსოუსთან საქართველოს სანაპირო ჯარების პირისპირ პოზიციები საბოლოოდ დაიკავეს. მათი სამხედრო დაზვერვის აგენტები აფხაზეთის მხარეს გააქტიურდნენ. იმ დროს, როდესაც საქართველოს

სახალხო გვარდიის არტილერია სოჭში, 1918

ვალიკო ჯუღელი

დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთის მხრიდან ყოველმხრივ ზეწოლას განიცდიდა, ხელისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიის ქართული სადაზვერვო ქსელიდან ჰქონდა ინფორმაციები იმ ოსური ბოლშევიკური ჯგუფების შემოჭრის შესახებ, რომლებიც ისევ საფრთხეს შეუქმნიდნენ თბილისის ზურგსა და საქართველოს მთავარ საგზაო და სარკინიგზო მაგისტრალს, რაც მალე რეალობად იქცა და „სამხრეთ ოსეთის პარტიზანული ბრიგადა“ ჯავა-ცხინვალის მიმართულებით ბრძოლაში მყოფი ქართული არმიისა და სახალხო გვარდიის ზურგში შემოიჭრა.

ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გიორგი კვინიტაძე, იძულებული შეიქნა, ჯარები გადაეჯგუფებინა და სახალხო გვარდიის ბატალიონები აღმოსავლეთის ფრონტიდან ცხინვალის მიმართულებით გადაესროლა. ამის საშუალება მას მაისის ბოლოს - განჯასა და 9 ივნისს ზაქათალის ოლქში ანტისაბჭოთა აჯანყებების დაწყებამ მისცა: ზაქათალის ოლქში აზერბაიჯანელი ბეგების - გალაჯიევის, კარდაშევისა და აბასოვის გამოსვლები ქართველი სამხედრო დაზვერვის აგენტების მხარდაჭერით დაიწყო, ხოლო განჯის აჯანყებას, დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, ქართული სპეცსამსახურები უწევდნენ დახმარებას - ის ნოე რამიშვილის კაბინეტიდან იმართებოდა. წითელი არმიის სარდლობა იძულებული გახდა, მნიშვნელოვანი შენაერთები აჯანყებული აზერბაიჯანელების წინააღმდეგ გადაესროლა.

საიდუმლო ბრძოლა გრძელდებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ზურგშიც: 6 ივნისს სადგურ ნატანებში ქართულმა კონტრდაზვერვამ თვალთვალის შემდეგ დააკავა ბოლშევიკი ქალი, სოფია პრესმანი, რომელსაც თბილისიდან, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან, რუსეთის კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტის სახელით დაბეჭდილი საქართველოს ხელისუფლებისა და ბრიტანელების საწინააღმდეგო დიდძალი **პროკლამაციები მიჰქონდა ბათუმში. პროკლამაციები ორი ნაწილისგან შედგებოდა: ერთი მიმართული იყო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და მას ბრალს სდებდა, რომ ის „იარაღის ძალით აპირებდა ბათუმის ოლქის დაბრუნებას“, ხოლო მეორე მიმართული იყო „ინგლისელი იმპერიალისტების“ წინააღმდეგ.**

1920 წლის ივნისში სახალხო გვარდიის ექვსმა ბატალიონმა, არტილერიამ და ცხენოსანმა დანაყოფმა გორის მაზრა მთლიანად გაწმინდეს აჯანყებულ ოს ბოლშევიკთა ჯგუფებისგან და თბილისის ბლოკადაში მოქცევის საფრთხე აირიდეს.

1920 წლის 13 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ თვითგამორკვევის უფლების“ მხარდაჭერისა და ბათუმისთვის დაბეჭდილი პროკლამაციების გამო დახურა ახლად გახსნილი გაზეთი „კომუნისტი“, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე გამოდიოდა „სამხრეთ ოსეთის აჯანყებულებისთვის.

25 ივნისს საქართველოს დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ სოხუმსა და გაგრაში გამოვლინდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულება. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ კომუნისტები: კუხალეიშვილი, ვიგრიანოვი, სვანიძე და სხვები. გამოძიებამ მათ იარაღი, ყუმბარები, ასაფეთქებელი მასალები და სამხედრო რუკები აღმოუჩინა. მათთან ერთად ქართულმა კონტრდაზვერვამ ბათუმიდან გაქცეული

ბოლშევიკი ტერორისტები - აკაკი სურგულაძე და გერმანე ჯიბლაძე დააპატიმრა, რომლებიც სასჯელს 1921 წლის რუსულ ოკუპაციამდე იხდიდნენ.

1920 წლის ივლისში ბრიტანელები ბათუმის ოლქიდან გავიდნენ და ბათუმი საქართველოს გადმოსცეს. ქალაქში ქართული ჯარი და სახალხო გვარდია შევიდა. აჭარის მოსახლეობისგან შედგენილი ჯარის მთავარსარდალი და ბათუმის ისლამური საბჭოს ლიდერი, მუჰამედ ბეი ქესქინ-ზადე კიკნაძე, საიდუმლოდ დაკავშირებული აღმოჩნდა საქართველოს მთავრობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ქესქინ-ზადეს მოკავშირეების - ბათუმის ოლქის ბოლშევიკების იმედი ჰქონდა, მას ქართული შეიარაღებული ძალებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მან ჯარი დაშალა და ხოფაში გადავიდა. ორწლიანი ბრძოლის შემდეგ ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში დაბრუნდა.

გიორგი კვინიტაძე

1921 წელი - დაისი

საბჭოთა რუსეთი და მისი ბელადი ვლადიმერ ლენინი, რომელიც დეკლარიებულად მაინც ცნობდა ახალი სამყაროს მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს, რაც, პირველ ყოვლისა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ემყარებოდა, ახალი სახით რუსეთის იმპერიის აღდგენას სიფრთხილით უყურებდა. მისი პოლიტიკა თავიდან არ ითვალისწინებდა პირდაპირ ინტერვენციასა და ოკუპაციას. ის უპირატესობას ანიჭებდა სამიზნე ქვეყნების ხელში ჩაგდებას შიდა გადატრიალებისა და აჯანყების ორგანიზების გზით. 1917 წლიდან მოყოლებული, 1920 წლის ჩათვლით, რუსეთის ყველა მცდელობა, აჯანყებითა და დიდი ფინანსური რესურსების ხარჯვით დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, წარუმატებელი გამოდგა.

1921 წლის დასაწყისში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დე-იურე აღიარება და საფრანგეთის ხელისუფლებაში საქართველოსადმი კეთილგანწყობილი არისტიდ ბრიანის მოსვლა დამაჩქარებელი ფაქტორი გახდა, საბჭოთა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი ინტერვენცია დაეწყო, რაშიც ლენინს დაჟინებით არწმუნებდნენ რუსეთის ეროვნებათა სახალხო კომისარი, იოსებ სტალინი და კავბიუროს ხელმძღვანელი, სერგო ორჯონიკიძე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პროპაგანდა ათწლეულების განმავლობაში ამყარებდა მითს, თითქოს საქართველოში 1921 წლის თებერვალში აჯანყება და „მენშევიკური მთავრობის“ დამხობა მოხდა, ფაქტია, რომ ეს პირდაპირი ინტერვენცია და ოკუპაცია იყო. ცნობილი ისტორიკოსი, ფირუზ ქაზემზადე, თავის წიგნში „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-21“ (1950-იანი წლების დასაწყისში გამოიცა აშშ-ში) აღნიშნავდა, რომ საქართველოს ისედაც სუსტი კომუნისტური პარტია 1920 წლის წარუმატებელი აჯანყების მცდელობის შემდეგ გატყდა და „სულით დაეცა“. მას 1921 წლისთვის აღარანაირი რესურსი აღარ გააჩნდა აჯანყების ორგანიზებისთვის.

ვლასა იმნაძე

ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია საქართველოს რევკომის თავმჯდომარის, ფილიპე მახარაძის, საიდუმლო მოხსენება (06.12.1921), რომელიც 1922 წელს სრული სახით გამოაქვეყნა სტამბოლში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ემიგრანტულმა ჟურნალმა „თავისუფალმა საქართველომ,“ მინაწერით: „ასლი,

1921 წელს ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაღუპული სახალხო გვარდიელები

1918-1921 წლების გმირთა მემორიალი, ალექსანდრეს ბაღი, თბილისი

გადაღებული იმ მოხსენებიდან, რომელიც ინახება რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში“. ეს ხაზს უსვამდა, რომ, მიუხედავად სამხედრო მარცხისა, ქართველ პოლიტიკოსებსა და მზვერავებს ჯერ კიდევ დიდი გავლენა და შესაძლებლობები ჰქონდათ, თუნდაც მოსკოვში საიდუმლო დოკუმენტაციის მოპოვების მხრივ. ფილიპე მახარაძე მოსკოვს სწერდა:

„მოხდა ის, რომ, როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არცერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ, პარტიის არცერთმა წევრმა საქართველოში არაფერი არ იცოდა და იჭვიც კი არ ჰქონდა. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციების მხრივ, რამდენათ ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთი სოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა. ცხადია ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელი ჯარების შეტევისას, საბოლოოთ გაესწორებინათ ანგარიში აქა-იქ კიდევ დარჩენილი ჩვენი ორგანიზაციებისათვის და დაეჭირათ არამცთუ კომუნისტები, არამედ ცოტათ თუ ბევრათ მათი თანამგრძნობებიც. ამრიგად მოხდა შემდეგი:

- **საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარად გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე.**
- **საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არცერთი პარტიული იაჩეიკა, არც მეტი რომ არა ვსთქვათ პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა ხელისუფლების ორგანიზაციის მოწყობა, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან და პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა“.**

1920-იან და 1930-იან წლებში სტალინის მიერ მოწყობილ პარტიულ წმენდას და მასობრივ რეპრესიებს შეეწირა იმ ბოლშევიკების უმრავლესობა, რომლებიც 1917-21 წლებში თავგამოდებით იბრძოდნენ „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის.“ საბჭოთა რეჟიმმა ათწლეულების განმავლობაში მიზანმიმართულად წაშალა, გააქრო და გააყალბა საქართველოს XX საუკუნის პოლიტიკური ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. საქართველოს „დაკარგული ისტორია“ და თაობების მეხსიერებიდან პოლიტიკური იდენტობის ამოშლა რუსეთის აგრესიული იმპერიისთვის დღემდე ყველაზე საიმედო იარაღია ქართული საზოგადოების დასამორჩილებლად.

ხათუნა ხაბულიანი

ლია ბაგრატიონის ასემიური პალიმფსესტი

ბოლო ხანებში დამწერლობის, წიგნიერების, მხატვრული ლიტერატურისა და მისი შინაარსების ცნებები ზოგიერთი პოლიტიკოსის აბსურდულ განაცხადებსა და თითქოს მივიწყებულ საბჭოთა ცენზურის პაროდიულ გამოცოცხლებასთან გადაიკვეთა. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ახალი არ არის, როცა მხატვრულ ტექსტსა და ავტორს აიგივებენ, ზოგჯერ შეიძლება მწერლის დასჯაც კი მოითხოვენ რომელიმე პერსონაჟის საქციელის ან გამოთქმული მოსაზრებების გამო. ზოგიერთისთვის აკადემიურ სივრცეში მიმდინარე მსჯელობა განურჩეველია პოლიტიკური რიტორიკისგან, ისტორიული ფიგურების პატივისცემა კი ბრმა კერპთაყვანისმცემლობასთან არის გაიგივებული, უმეტესწილად კი, საკმაოდ ვერაგ დემაგოგიასა და საზოგადოების ნაკლებად განათლებული ნაწილისკენ მიმართულ მანიპულაციებთან გვაქვს საქმე.

ამ დაძაბულ და სიურრეალისტური მოტივებით გადატვირთულ ფონზე Dédicace Gallery-ში ლია ბაგრატიონის სოლო შოუ - „უნივერსალური დამწერლობა“ გაიმართა. გამოფენა, რა თქმა უნდა, არ იყო მათთვის, ვინც ზემოხსენებულ აქტივობებში მონაწილეობს, თუმცა განათლებით დაინტერესება და დამწერლობის ისტორიაზე დაფიქრება არასდროსაა გვიანი.

ლია ბაგრატიონი საუბრისას ძალიან კარგად, ზუსტად გადმოსცემს ბავშვობის მოგონებას, როცა პირველად, წერა-კითხვის შესწავლამდე, დაინტერესდა წერით და უფროსების მიბაძვით დაიწყო ფურცლების შევსება კალიგრაფიის იმიტაციით. მოგვიანებით კი ადრეული, ბავშვური „ნაჯღაბნით“ დაფარული ფურცლები დამწერლობის საფუძვლებს დაუკავშირა. სკოლამდელთა საყვარელი გასართობი „დიდობანა“ ხშირად გულისხმობს „გაკრული“ ხელით ნაწერის იმიტაციებს და არცთუ იშვიათად გამხდარა ხელოვანთა შთაგონების საგანი; ის თითქოს არქეტიპულ ნიშნებს, ცივილიზაციის ბავშვობას, კალიგრაფიის ჯერ კიდევ გაუშიფრავ კოდებს გამოხატავს, რომლებიც მერე სტრუქტურირდებიან და ანბანებად თუ იეროგლიფებად გარდაიქმნებიან. თეორეტიკოსებს არაერთხელ უსაუბრიათ იმ აღფრთოვანების შესახებ, რომელსაც ისეთი ნაწერის თვალიერება იწვევს, რომელსაც ვერ ვკითხულობთ - მაგალითად, აღმოსავლური კალიგრაფიის არმცოდნისთვის მაქმანისებური ორნამენტულობის ხიბლი ძალიან მიმზიდველია, როცა შეიძლება ნაწერის შინაარსი სრულიადაც არ იყოს კეთილგანწყობილი. ამ შემთხვევაში, აღმქმელი ნაწერის ფორმალური მშვენიერებით ტკბება მისი მნიშვნელობის წვდომის გარეშე. ასემიური მხატვრობის ისეთი ნიმუშები, როგორებსაც საი თვობლი ქმნის, ბუნების მოქმედებასთან, სტიქიურობასა და, ამავე დროს, კულტურის ფაქტორთან ასოცირდება. დამწერლობა ცივილიზაციის არსებობის უშუალო დასტურია და ასემიური მხატვრობაც ცივილიზაციის გამოვლინების, მისი რთული, ზოგჯერ ძალადობრივი ხასიათისა და პერიოდულად გარდაუვალი სტაგნაციისა და ხრწნის მიმანიშნებლად ავლენს თავს. პიტერ შვენგერის ნაშრომში - „ასემიური: ნაწერის ხელოვნება“ - ტერმინის ისტორია როლან ბარტისა და ჟაკ დერიდას შრომებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ამ უკანასკნელის ტექსტი - „განვრცობა“ - სიტყვებს შორის არსებულ სიცარიელეებს „ასემიურ ინტერვალებად“ მოიხსენიებს, სადაც აღნიშვნა შესაძლებელი ხდება მნიშვნელობის ქონის გარეშე.

ტერმინი „ასემიური“ ფორმირებულია ბერძნული sema -დან („ნიშანი“), უარყოფის „a“ პრეფიქსის დართვით. ხელოვნების ისტორიკოსებში გავრცელებული მოსაზრებით, ასემიური მხატვრობა არსებობდა ამ ტერმინის გაჩენამდეც, რასაც მოწმობს სხვადასხვა ეპოქის ვიზუალური პოეზიის კვაზიკალიგრაფიული ნიმუშები, ჩანახატები და ა.შ...

არსებული გამოცდილებების გათვალისწინებით, საინტერესოა, როგორ შეიძლება განვსაზღვროთ ლია ბაგრატიონის ასემიური პროექტი. სად მივყავართ ფიქრებს, როცა ამ ეფექტურ, პირდაპირი გაგებით მრავალშრიან ექსპოზიციაში ვხვდებით? უსასრულობის სიმბოლოს უწყვეტი ჯაჭვები არის კედლებზე, გალერეის ვიტრაჟებზე, თექის ფარდაგებზე, პერგამენტის ქაღალდსა და ტილოზე. სხვადასხვა ზომისა და ფერის თექა „ფენოვან“ ფარდებადაა ჭერიდან ჩამოშვებული და პერიოდულად

გამჭვირვალე ქსოვილით გადაფარული. ინსტალაცია - პალიმფსესტის სიმბოლური შრეები ფაქტურების ენით მეტყველებს, - თექის სქელი, ბოჭკოვანი სტრუქტურა თავისთავად ენერგეტიკული ველის მქონე დიდი ინფორმაციაა, არქაული და რიტუალური მეხსიერებით; მასზე დატანილი ორნამენტული ფსევდოკალიგრაფიის უწყვეტი ხაზი ნაგულისხმევი შინაარსებით ამდიდრებს უსასრულო ტექსტს. ალაგ-ალაგ „ტექსტის“ ნაწილები „გადაშლილია“ წითელი ან შავი „მარკერით“. ექსპოზიცია წარმოადგენს ერთი დიდი ტექსტის შრეებს, ერთ დიდ თხრობას, მარადიულ ამბავს, რომელიც მრავალჯერ გადაწერილი და გადაშლილია, სულ ცოცხალია და აგრძელებს ისტორიას. ლია ბაგრატიონის - არტისტის ინტერესი ფორმა-ტექსტურისა და მასში არსებული შინაარსების მიმართ თანმიმდევრულად ვითარდება სხვადასხვა პროექტის გავლით და მიზანი ყოველთვის მიმართულია საზრისულ ძირებთან, უნივერსალურ იდეასთან. ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის განვრცობა ძლიერ მხატვრულ გზავნილად გამოჩნდა პერფორმანსში, როცა დამსხვრეული თიხის ქოთნიდან მარცვლოვანი შიგთავსის გამყარებული ფორმა დარჩა, როგორც სიცარიელის აღმნიშვნელი. პროექტის სათაური იყო „ეს არის ქოთანი“ (2015) და ეპიგრაფად ლაო-ძის ფრაზა უძღვოდა: „ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ ჭურჭლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის.” უფრო ადრეულ ინსტალაციაში - “ფულის ილუზია” (2011) კი ფულის უნივერსალური ნიშნების კოლექცია იყო წარმოდგენილი თიხისა და სხვადასხვა ძვირფასი მეტალის მოულოდნელი ჰიბრიდებით. ინტერესი უნივერსალური მოდელების მიმართ, რომლებსაც უსასრულო ჰიპოსტასები აქვთ მასალებისა და ფორმების მატერიალურ სამყაროში, ამ ხელოვანის ხედვას განსაზღვრავს და დამთვალიერებელს კი შემოქმედებითი მიდგომების მრავალფეროვნებას სთავაზობს.

ლია ბაგრატიონის ნამუშევრები პოეტურად ფილოსოფიურია, ის ეხება მარადიულ, უცვლელ თემებს, წარმავალობის დრამას, ამ სამყაროს ციკლურობას, თუმცა ეს ფორმები ყოველთვის დღევანდელ დღეს, ახალსა და ცოცხალ განცდას გამოხატავს. ■



თინათინ ქავთარაძე

ტყუილის საფასური, ანუ რას ვასწავლით მოსწავლეებს სკოლაში?

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა ერთობ მაღალ სტანდარტებს აწესებს. მაგალითად, 2016 წელს ქართული ლიტერატურის სასწავლო გეგმაში იმასაც კი ამოიკითხავდით, რომ მოსწავლეებს იგავ-არაკების წერის ცოდნა მოეთხოვებათ. გასაგებია, რომ შემოქმედებითი წერისა და აზროვნების უნარის განვითარება უმნიშვნელოვანესია, თუმცა სასწავლო გეგმა არ გვთავაზობს იმას, თუ როგორ გავაკეთოთ ეს, არც იგავ-არაკების და არც სხვა შემთხვევებში, მოთხოვნები კი არარეალური და მიუღწეველია. მთავარი თავად გეგმაა - რას ჩავწერთ იქ და როგორ ფასადს შევქმნით, რას მოვაჩვენებთ საზოგადოებას და როგორ მოვიტყუებთ თავს.

განათლება თვითონ ცხოვრებაა. განათლებას, უპირველესად, იმ ქცევითი მოდელებიდან და მაგალითებიდან ვიღებთ, რომლებსაც გარემო გვთავაზობს. მაშ, რა გამოდის? ის, რომ მოსწავლე, რომელსაც, გეგმის მიხედვით, იგავ-არაკების წერა უნდა სცოდნოდა, სისტემამ მოატყუა. გარდა ამისა, ის მალევე აღმოაჩენს, რომ წიგნი მოსაბეზრებელ და იაფფასიან საკითხავ მასალად ქცეულა; რომ სკოლაში ნასწავლი შორსაა ცხოვრებისეული გამოცდილებისგან, ე.ი. მან არა მხოლოდ იგავ-არაკების თხზვა არ იცის, არამედ კითხვაშიც მოიკოჭლებს, გამოდის, რომ სრულიად უუნარო აღმოჩენილა ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე.

ასე და ამგვარად, რა დარჩენია მოტყუებულსა და უცოდინარს? - თვითონაც უნდა მატყუარა გახდეს, რათა სწავლების შემდგომ საფეხურზე (უნივერსიტეტში) რაღაცნაირად სწავლის ილუზია შეიქმნას. აქვე მოვიყვან მაგალითებს იმის საილუსტრაციოდ, როგორ იქცევა სიყალბე ცხოვრების წესად:

მაგალითი 1:
უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი სტუდენტებს სთხოვს, ჩაიწერონ, რასაც უკარნახებს, არადა, აღნიშნული მასალა პროექტორის ეკრანზე ჩანს. სტუდენტები გამალებით იწერენ კარნახს. უცებ ლექტორი სვამს შეკითხვას - რატომ იწერთ? აღნიშნული ხომ ეკრანზეა მოცემული და შეგიძლიათ ფოტო გადაუღოთ? ან ბოლოს და ბოლოს სკრიპტი მომთხოვოთ, ეს ხომ თქვენი უფლებაა? სტუდენტები გაოცებული არიან, ერთ-ერთი პასუხობს - კი ვიფიქრე, მაგრამ არ მინდოდა თქვენი წყენინება.

აქ საკვანძო სიტყვებია "არ მინდოდა წყენინება", რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარია მოიტყუო, ილუზია შექმნა, ვითომც აქ არაფერი მომხადარაო, გაჩუმდე და მოითმინო - თუნდაც ხვდებოდე, რომ ბითურობას გავალებენ.

მაგალითი 2:
უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, შეისწავლოს სავალდებულო და

არჩევით საგნები. შესაძლოა, არჩევითი საგნები არ იყოს უშუალოდ დაკავშირებული სტუდენტის სამომავლო პროფესიასთან, თუმცა ამით უმაღლესი სასწავლებელი უზრუნველყოფს შესაძლებლობას, სტუდენტებმა თავად გადაწყვიტონ, რა მიმართულებით სურთ მიიღონ დამატებითი ცოდნა. ერთ-ერთი ასეთი არჩევითი საგნის ლექტორი სტუდენტებს პირველ შეხვედრაზე ეკითხება, რატომ გადაწყვიტეს აერჩიათ აღნიშნული საგანი და რა არის მათი მოლოდინები. უმრავლესობის პასუხი ერთმანეთს ემთხვევა და ასე ჟღერს: თქვენზე მითხრეს, კარგი პედაგოგია და პრობლემა არ გექნება კრედიტის მიღებაზეო.

გამოვიდა, რომ სტუდენტისთვის მთავარია, ქულის მიღება და კარგი მასწავლებლის კრიტერიუმადაც იმას მიიჩნევს, რამდენად ადვილად ან რთულად წერს ნიშანს.

მაგალითი 3:

ლექტორი მსჯელობს ტოტალიტარული რეჟიმის პროპაგანდაზე და სვამს შეკითხვებს. მიზანია პროპაგანდის გავრცელებისა და ადამიანებზე მისი ზემოქმედების გაანალიზება. ინდოქტრინაციის შესახებ სტუდენტებს სწორი წარმოდგენა აქვთ. პასუხობენ შეკითხვებს და აკრიტიკებენ ნაცისტურ რეჟიმს, მსჯელობენ „ბოროტების ბანალურობის“ ცნებაზე. მკაფიოა მათი დამოკიდებულება იმ ადამიანების პასუხისმგებლობის მიმართ, რომლებიც ნიურნბერგის პროცესზე აცხადებდნენ, მხოლოდ ზემდგომის ბრძანებებს ვასრულებდითო. მასწავლებელი კმაყოფილია, რადგან, მსჯელობიდან გამომდინარე, თითქოს იკვეთება პირადი პასუხისმგებლობისა და მოქალაქის როლის გააზრება, თუმცა შეკითხვაზე - რა მაგალითს მოიყვანდით მოდერნულ საზოგადოებაში ინდოქტრინაციის მცდელობაზე, მაგალითად, რუსეთში ან საქართველოში? - პასუხი დუმილია. მასწავლებელი აზუსტებს შეკითხვას: როგორ, ვერ ხედავთ ჩვენთვის ტვინის გამორეცხვის მცდელობებს? ამჯერად, პასუხი ისმის: „არ მიფიქრია ამაზე“.

პირადი პასუხისმგებლობის გაუქმებაზე მსჯელობისას, სტუდენტებმა ვერ გაიაზრეს, რომ თვითონვე აუქმებენ მას, როცა არ აანალიზებენ იმ გარემოს, რომელშიც უწევთ ცხოვრება და ეს ბუნებრივიცაა, რადგან სასკოლო გამოცდილებამ მათ მხოლოდ ის ასწავლა, როგორ იცრუონ, ითაღლითონ, გაჩუმდნენ.

ამრიგად, ტყუილები ახალგაზრდების ზნეობას ქმნიან: როცა სიმართლე არ მოსწონთ, თავს იტყუებენ, როცა არ უნდათ აწყენინონ, იტყუებიან და იქამდე, ვიდრე სიმართლეს არ დაივიწყებენ, მაგრამ სიმართლე არსად მიდის. მათ არ იციან, რომ თითოეული ჩვენი ტყუილი ვალია სიმართლის წინაშე და ადრე თუ გვიან, ეს ვალი უნდა გადავიხადოთ. ლოგიკურია, რომ რაც უფრო დიდი იქნება ტყუილი, მით უფრო დიდი საფასურის გადახდა მოგვიწევს.

საფასურს კი ვიხდით და ვიხდით არალიბერალური დემოკრატიით, რომელიც მუდამ დიქტატურისკენაა მიდრეკილი, სუსტი სამოქალაქო საზოგადოებით. ჰოდა, თუკი საქართველოს ეროვნულმა სასწავლო გეგმამ გამოგწვრთნა:

„...უწყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი...“ –

შეეგუე, მოითმინე, რადგან თავისუფალი არჩევანი არ გაქვს და არც გექნება მანამ, სანამ შენს ხმას არ იპოვი და თავს არ შემოსძახებ:

საკმარისია, მე სიმართლე მჭირდება!

მიხეილ ანთაძე

აგვისტოს თეთრი ცხელება

ას ერთი წლით ადრე, გზისგასაყარზე, სადაც ევროპის E-117 ავტომაგისტრალი გადაკვეთს E-60-ს, ჰო, თითქმის ზუსტად ას ერთი წლით ადრე მსუბუქი, ორადგილიანი ტარანტასი მიუყვებოდა შარას. წყვილი ცხენი ება, თეთრი და შავი. იმ დროებაში, ბარონ ტორნაუს ცნობით, ტფილისში ოთხასოცდაცხრამეტი ამდაგვარი ეტლი იპოვებოდა. „ესე არს ურმის მსგავსი კამაროვანი დიდებულთ საჯდომლადო“ - იტყოდა ლექსიკოგრაფი და მართლაც რომ უბრწყინვალესი ადამიანები მგზავრობდნენ იმ ოთხთვალათი.

სამაგიეროდ, მეეტლე გახლდათ ვიგინდარა და ნაძირალა. პახმელიაზე იყო - კვდებოდა... ოფლი ხვითქად სდიოდა ვიწრო შუბლზე, მერე იქიდან ჭუტალა თვალებზე და შავ-შავ ულვაშებზე... ისედაც უაზრო სახე ლოთაობისგან სულმთლად წაშლოდა. დაუფიქრებლად მართავდა ცხენებს.

მოსახვევში უგულისყურობით კინაღამ აყირავდა ურმისმსგავსი კამაროვანი. დამფრთხალი თეთრი ცხენი ერთ მხარეს მოხტა, ოდნავ ხელნები მოღრიჯა. მეეტლემ საქმე უცბად ჩააგდო წესრიგში. წამიერ მოხდა ყველაფერი, მოხუცებულ მგზავრებს ერთი ჩვეულებრივი შენჯღრევის მეტი არც რა უგრძვნიათ.

სამაგიეროდ, ნაზარხოშევ იზვოშჩიკს მწვავე ელდამ დაუარა ბეჭებში. რო მიხვდა, გადავრჩიო, ქუდი მოიხადა და იჯდა ასე კოფოზე მაღლა აშვერილი ქუდით.

იქ დაინახა პირველად უცნაური სურათი: შარაგზაზე რკინის ურჩხულები მოღრიალებდნენ მისკენ. ელდა დაეცა, წამს გამოთაყვანდა. მიდამოს აყრუებდნენ ლითონის უზარმაზარი ცხვირმოღერებული გველეშაპები, მოგრუხუნებდნენ, ბდღვირს მოაკორიანტელებდნენ ბევრნი, ერთმანეთის კვალში ჩამდგარნი.

სამაგიეროდ პირჯვრის გადაწერაც ვერ მოახერხა უღმერთომ. იჯდა ასე კოფოზე მაღლა აშვერილი ქუდით. ისღა მოიფიქრა, მგზავრებს ცერად მოხედა. მოხუცები აღუშფოთებლად ისხდნენ და მიხვდა საბრალო ჯეელი, ეს საშინელება მხოლოდ მას რომ ელანდებოდა.

შემზარავნი იყვნენ მქროლავი, ღრიალა მოჩვენებანი. უშველებელი ნისკარტებით მიაპობდნენ ხვატს... ზურგებზე დაფჩენილი ხახებიდან თითოეულ ხახაში თითო გადაყლაპული ადამიანის თავი მოჩანდა. მუქმწვანე თავისქალები მზეზე საცოდავად ელავდნენ.

სამაგიეროდ, მეეტლეს უაზრო ტვინში გაუსხლტა ორი სიტყვა: თეთრი ცხელება. სმენოდა, გადაბმულმა ლოთობამ იცისო. ასე ჰქონდა გაგონილი, თორემ აბა რა იცოდა გაუნათლებელმა, რომ დელირიუმი არის ფსიქოზი ნაბახუსევზე, აბსტინენციური ალკოჰოლიზმით დაავადებულის მაპროვოცირებელი კოშმარები, ეშმაკები... ...კარგავს გარემოსა და დროში ორიენტირების უნარს... მეტყველება - გაურკვეველი...

ტრანკვილიზატორებით, ნეიროლეპტიკებითა და ბარბიტურატებით... "ხმები", რომლებიც საყვედურობენ, ემუქრებიან, კიცხავენ, ითხოვენ მის დასჯას და მოკვლასაც კი... პარანოია... ყოველ შემხვედრში მტერს ეძებს. ამის გამო შესაძლოა, მოულოდნელი რამ ჩაიდინოს.

განაგრძო გზა. ბალღობისეული „ბეყე, ბეყე თითონა ხარ" აეკვიატა. ბეყეს ეძახდნენ თანატოლები, ესეც ბეყე თითონა ხარ-ით პასუხობდა. რო მოიზარდა, თუ გუნებაზე არ იყო, დაეტაკებოდა ბეყეს მთქმელსა და სახეზე უკბენდა. ერთხელ მოძღვიაანთ მიტრას ცხვირიც კინაღამ მოაჭამა.

სამაგიეროდ, ახლაც მეგობრობენ. ეს დღეები ტფილისში სწორედ რომ მიტრასთან, მეეზოვე გორასა და ბრადიაგა ვიტალისთან არყის სმაში გაატარა. მერე კიდევ თან ისინიც დაადგნენ, მეთაურიც ნახა, დავალებაც მიიღო. მრავალ მიზეზთათვის მიიღო, უპირველესად, არმიღება რომ არ შეეძლო, იმიტომ...

თავს უხეთქავდა ახლახან ქუხილით ჩავლილი ურჩხულების ექო.

სამაგიეროდ, გზას განაგრძობდა ტარანტასი და ცოტა წინ წიოკით გამოქცეული ხალხი დაინახა, უცნაურად გამოწყობილები, მაგრამ მაინც უეჭველად ქართველები. ილტვოდნენ, გაურბოდნენ საფრთხეს და საშინელებას, ხანძარს და მტრის ტყვიას...

ბეყემ კვლავ გახედა მოხუცებს. არა, ისინი ათასობით კაცს, ქალსა და ბავშვს სულაც ვერ ხედავდნენ. ცხადია, ეს კვლავ თეთრი ცხელება იყო... უსასოობა ეხატათ ქანცმიხდილებს...

სამაგიეროდ, ზოგი მათგანი ავი, ზიზღიანი სახით უცქერდა და ჩავლისას, ბეყე, ბეყეო, მუქარით ეძახდა. გული გაუსკდა შიშისაგან, აუჩქარა ცხენებს. მაგრამ არ კი ილეოდნენ... იგრძნო, შემდგომ სწორედ ის ცეცხლი უნდა შემოყროდა გზაზე, რომელიც ამ უბედურებს მოსდევდა. ეგე, გაიხსნა ქვესკნელის კარიბჭეო, გაიფიქრა და ავი ხილვაც ტაატით გაქრა.

წყნარი გზა მოეშურებოდა შემხვედრად, თუმცა მეეტლეს შფოთვა თავს აღარ ანებებდა, მომდევნო ულუფას აგუმანებდა და აი, მართლაც გამოჩნდა საცოდავად მოლაპლაპე მუქმწვანე თავისქალიანი ჭინკების ლაშქარი. ავად, მრისხანედ თან მოჰქონდათ ნაძარცვ-ნაალაფევი, ნაპარავი, წანაგლეჯი...მათი სიტყვები რუსულს მოჰგავდა... მოკლე თოფები ჰქონდათ, ასეთი წინათ არსად ენახა. ან კი სად ნახავდა, თუ არა ცხელი აგვისტოს ამ თეთრ პაპანაქებაში.

სამაგიეროდ, გასცდა ამასაც და აჰა, მიიღო ნიშანი, მიაღწია დათქმულ ადგილს, გააჩერა ეტლი და ისინიც გადმოხტნენ ტყიდან შარაზე. მოხუცმა რაღაც თქვა, ქალმა შეჰკივლა. იმათ ისროლეს, ჩაარტყეს, ჩააკლეს, აიღეს, მოიპარეს, დაიმუქრნენ და წავიდნენ.

ეს იჯდა კოფოზე გაუნძრევლად, არხეინად, ვითომც არაფერი, ამ და იმ ქვეყნის ზღვარზე გაჭედილი, უნებლიე წინასწარჭვრეტის ეიფორიაში, ინფერნოსგან დაშინებულ-დატყვევებული, დაღდასმული თუ მონიშნული...

როგორც უბრძანეს, ვისმე უნდა დალოდებოდა. დაელოდა. მოვიდნენ, როგორც იქნა, მოურავი, ურიადნიკი და სტრაჟნიკები... ნახეს უბედურება, მიდგნენ, მოდგნენ, მერე ამას მოადგნენ, აბა, მოყევი, როგორ მოხდაო... შავგვრემნები იყვნენ, სომხებსა ჰგვანდნენ, სულ კონდახებით მცემესო... აუწიეს სამოსი, ნახეს, რო არ იყო ნაცემი და მიხვდნენ, რომ ტყუოდა... მიხვდნენ. ჰოდა, გამოძიებაც დაიწყოო! ორი წლის მერე, სარჩობელაზედ, სიკვდილის წინაც გაიფიქრებს ათასჯერ ნაფიქრს: ეს რამ მათქმევინა, ე რა მომივიდაო. იმჯერად ვეღარ მოასწრებს, თორემ უწინ თავსდატეხილ რისხვას ხშირად აგვისტოს თეთრ ცხელებას დააბრალებდა ხოლმე...

სამაგიეროდ... ■

თაკო ზექალაშვილი

ჟენევის წარუმატებელი მოლაპარაკებების შენარჩუნების მიზეზები

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შესაჩერებლად, ევროპის კავშირის მედიატორობით, 12 აგვისტოს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომელიც შედგება 6 პუნქტისაგან. ევროპის კავშირის სახელით, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის, შუამავლობის საფუძველზე მომზადებული გეგმის მე-6 პუნქტში გაწერილია „საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ“. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2008 წლის 15 ოქტომბერს შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი, რომლის მთავარი მიზანია: (1) უსაფრთხოება და სტაბილურობა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ და (2) დევნილების დაბრუნება. პირველი პუნქტი წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც კომბინაცია ორი თემისა: ძალის არგამოყენება და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები. ამ ფორმატის ორ მთავარ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმებზე შეთანხმება და დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა, ასევე, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის - დევნილებისა და გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანების ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრა და საჭიროებების დაკმაყოფილება.

2008 წელს, საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონის „დამოუკიდებლობის“ აღიარების შემდგომ, საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. მას შემდეგ, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი რჩება ერთადერთ საერთაშორისო პლატფორმად, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკება კონფლიქტის მხარე სახელმწიფოთა შორის. ეს ფორმატი უნიკალურია იმით, რომ, საქართველოსა და რუსეთის გარდა, მასში მონაწილეობენ სხვა დაინტერესებული მხარეები. დიალოგის ყველა მონაწილე წარმოდგენილია ინდივიდუალური სტატუსით. საქართველოსა და რუსეთის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობენ სოხუმისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, თანათავმჯდომარეები გაეროს, ევროპის კავშირის, ეუთოს მხრიდან, ასევე - აშშ-ის წარმომადგენელი.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა ფორმატს ასევე აქვს პლენარული სხდომის ფორმატი, რომელშიც მონაწილეობენ საქართველო, აშშ, რუსეთი, გაერო, ეუთო და ევროპის კავშირი. პლენარული სხდომის ფარგლებში შეხვედრა მხოლოდ ერთხელ, პირველი რაუნდის ჩატარებისას, გაიმართა და მას შემდეგ, დანარჩენი 56 რაუნდის განმავლობაში, არ ჩატარებულა.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია 2008 წლიდან უცვლელია. ჩვენი ქვეყნის ინტერესია, ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებას მეორე მხრიდან ხელი მოაწეროს რუსეთის ფედერაციამ, რომლის მიერ ოკუპირებულია ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონები. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების ხელმომწერები იქნებიან ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მთავრობები, ეს ნიშნავს საქართველოს მხრიდან მათ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების, აღიარებას და მათთვის პოლიტიკური ლეგიტიმაციის მინიჭებას. საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის ფაქტორი, რადგან, თუ ის არ იქნება ხელმომწერი ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების დოკუმენტზე, ეს ნიშნავს მისთვის პასუხისმგებლობის მოხსნას.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის შექმნიდან დღემდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებების მეშვეობით მუდმივად ფიქსირდება ქართული სახელმწიფოს პოზიცია, რომ ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში მიმდინარე დიალოგი ერთადერთი მექანიზმია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მისაღწევად, ამასთან, ქართული მხარე გამოხატავს მზაობას, კონსტრუქციულად ჩაერთოს ამ პროცესში. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველომ უკვე აიღო ძალის არგამოყენების ვალდებულება ცალმხრივ რეჟიმში 2010 წელს, რაც შემდეგ გაიმეორა 2013 წელს. ორივე შემთხვევაში ეს გაჟღერდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, მიერ საერთაშორისო დონეზე, ასევე, 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა იურიდიული ძალის მქონე ვალდებულების საპასუხოდ ცალმხრივი დოკუმენტიც მიიღო.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის პოზიციას (რომელსაც „იზიარებენ“ სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო წარმომადგენლები), იმ შემთხვევაში, თუ ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმება მიღწეული იქნება, იგი თავის თავს წარმოაჩენს, როგორც ძალის არგამოყენების გარანტორს ევროპის კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად. ეს პოზიცია წლების განმავლობაში უცვლელია. აღნიშნული რუსეთის ფედერაციის მიერ პირველი რაუნდის დაწყებამდე გაჟღერდა და დღემდე, ჟენევის მოლაპარაკებების 56 რაუნდის მიმდინარეობისას, უცვლელია.

2008 წლიდან 2022 წლის ჩათვლით ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში ჩატარებულია 56 რაუნდი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის შედეგები, რომელთა მიღწევა ამ რაუნდების წყალობით მოხერხდა. ერთ-ერთი მთავარია 2009 წელს მოლაპარაკებების მე-4 რაუნდზე მიღწეული შეთანხმება „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ შექმნის შესახებ, რომლის მიზანია ყოველდღიური ინციდენტების შესახებ უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ოპერატიული რეაგირება. ამ კონკრეტული მექანიზმის ფარგლებში მოქმედებს „ცხელი ხაზი“, რომელიც გულისხმობს ინციდენტების აღმოფხვრისათვის მყისიერ რეაგირებას. გარდა ცხელი ხაზისა, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი გულისხმობს შეხვედრების გამართვას პერიოდულად გალსა და ერგნეთში. ამ შეხვედრებში მონაწილეობენ თბილისის, ცხინვალისა და ადგილზე განლაგებული რუსული ჯარების წარმომადგენლები, ხოლო თავმჯდომარეები არიან გაეროს, ეუთოს წარმომადგენლები და საქართველოში ევროპის კავშირის მისიის ხელმძღვანელი.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შენარჩუნება, თითქმის 15-წლიანი წარუმატებელი ისტორიის მიუხედავად, განაპირობა იმან, რომ ამ ფორმატის არსებობა მასში მონაწილე თითოეული მხარის ინტერესია: რუსეთის ინტერესია მაქსიმალურად შეაფერხოს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და აღკვეთოს თბილისის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნებისმიერი მცდელობა. აღნიშნული ფორმატი კი კიდევ ერთი საშუალებაა, საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში დააფიქსიროს თავისი ეს პოზიცია. საქართველოს ინტერესია არა ერთი-ერთზე, არამედ დასავლელი მოკავშირეების ჩართულობით ესაუბროს რუსეთის ფედერაციას და მათი მხარდაჭერით აიძულოს რუსეთი, კონკრეტული საკითხები დათმოს.

სოხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმებისთვის ჟენევის მოლაპარაკებები მათი პრობლემების დასმის ერთადერთი ფორმატია. მოლაპარაკებების 45-ე რაუნდის მიმდინარეობისას მათ განაცხადეს კიდეც, რომ სურთ მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ფორუმებში. რაც შეეხება აშშ-ს, გაეროს, ეუთოსა და ევროპის კავშირს, მათი ძირითადი მოტივაცია კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტაა.

მოლაპარაკებების ფარგლებში ჩატარებული 56 რაუნდის ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ აღნიშნული პროცესი დროში შეგნებულადაა გაწელილი, ვერ თანხმდებიან მხარეები ისეთ მთავარ საკითხებზე, როგორებიცაა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციისათვის ჟენევის მოლაპარაკებები კიდევ ერთი პლატფორმაა, სადაც პირდაპირ გამოხატავს შეშფოთებას საქართველოს დასავლური ვექტორის მიმართულების გამო. მოლაპარაკებების დასრულების თანამდევი განცხადებები მიანიშნებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. რესპუბლიკები პირდაპირ ახმოვანებენ რუსეთის ფედერაციის პოზიციას. რუსეთის ფედერაციის მსგავსად, ისინი მუდმივად აპროტესტებენ მოლაპარაკებების მაგიდაზე საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობების გაძლიერების საკითხს. არა მხოლოდ ამ კონკრეტულ საკითხთან, არამედ ნებისმიერ სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის განცხადებების ანალოგიურია ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის წარმომადგენელთა პოზიციები, რაც ცხადჰყოფს, რომ რუსეთის ფედერაცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეჟიმებით მანიპულაციას განაგრძობს.

რომ შევაჯამოთ, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 15 წლის თავზე, ამ ფორმატის შექმნის ორი მთავარი მიზანი - უსაფრთხოება და სტაბილურობა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ და დევნილების დაბრუნება - ჯერ კიდევ მიუღწეველია. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დროში გაწელვა და უშედეგოდ ჩატარებული 58 რაუნდი ცხადჰყოფს, რომ მოლაპარაკებების ეს ფორმატი წარუმატებელია, თუმცა, მისი შენარჩუნება მოლაპარაკებებში ჩართული თითოეული მხარისათვის იმ ტიპის სარგებლის მომტანია, რომლებიც დისკუსიის მთავარ ორ მიზანს არანაირად არ უკავშირდება. ■

ლევან სებისკვერაძე

სპორტსმენების ბედი ოლიგარქიულ ქვეყანაში

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენ თვალწინ იმსხვრევა ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვენივე წარმოდგენა სპორტსმენებზე. ჩვენ ხომ ბავშვობიდან გვასწავლიდნენ, რომ სპორტსმენები გამორჩეული ადამიანები არიან, მსგავსნი ბერძნული ატლანტებისა, რომლებიც ადამიანური შესაძლებლობების მიღმა დგანან და ასეთი ძალმოსილებით ახერხებენ დიდი სპორტული წარმატებების მიღწევას. ჩვენ ვიცოდით, რომ სპორტსმენები მხოლოდ პატივისცემას იმსახურებენ, მათ მუდამ ტაშით უნდა შევხვდეთ, რადგან ეს ხალხი ჩვენი ქვეყნის სახეა. კიდევ ბევრი სტერილური და კლიშედ ქცეული იმ აბსურდის ჩამოთვლა შეიძლებოდა, რომლისაც გვჯეროდა და გვწამდა.

თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს წარმოდგენები ხუხულასავით გვენგრევა, რადგან თვალნათლივ ვხედავთ, რომ ხშირად ყოფილი - ან, რაც უარესია, მოქმედი - სპორტსმენები ქცეულან ჩვეულებრივ, არამ საშოვარზე გამოშვებულ მოძალადეებად ან ძალადობის აპოლოგეტებად, რომლებიც ძირითადად ხელისუფლებაში ჩაბუდებული შავრაზმული ძალების უკანონო ბრძანებას ასრულებენ და დევნიან ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებას არ მოსწონს და რომელთა ცემა ან დამცირება, როგორც ჩანს, მავანის პოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ მიზნებში შედის.

ცხადია, ყველა სპორტსმენი ვერ იქნება წარმატებული და სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ბევრი ვეტერანი სპორტსმენი რჩება ყოველგვარი დანაზოგისა და, ხშირად, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე. ეს სამწუხარო რეალობა უკლებლივ ყველა ქვეყანაშია და არავის უკვირს, მილიონერი ვეტერანი სპორტსმენის გვერდზე სრულ სიღარიბეში მცხოვრები მისი კოლეგის ნახვა, რადგან სპორტული კარიერა - ისევე, როგორც ადამიანის ცხოვრება - ხშირად, გამართლებაზეა. ბევრს კი, ცხადია, არ უმართლებს.

ვეტერანი და უფულო სპორტსმენების მასობრივად „დასაქმების“ ნოვაცია რუსეთს ეკუთვნის. 1990-იანებიდან მოყოლებული, რუსეთში ლამის ყველა მდიდრ ადამიანს თავისი შეიარაღებული ბანდა ჰყავს, რომელიც, როგორ წესი, ყოფილი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ამ ადამიანებს, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, ათასგვარი უკეთური მიზნებისთვის იყენებენ. როგორც ჩანს, რუსული მაგალითი შესანიშნავად გადმოიღო საქართველოს პრორუსულმა ხელისუფლებამ და ვეტერან სპორტსმენებს „საქმე“ გამოუნახა.

არჩევნების დროს ხალხის ცემა-ტყეპა ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. პოლიტიკოსების თუ აქტივისტების წინააღმდეგ ხშირად სწორედ ვეტერან სპორტსმენებს იყენებენ და ეს ლამის ერთგვარ სამარცხვინო ტრადიციადაც კი იქცა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ათწლეულებია მოქმედებს უსახსროდ დარჩენილი ვეტერანი სპორტსმენების

დახმარებაზე ორიენტირებული როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები ყოფილ სპორტსმენებს, პირველ ყოვლისა, ნორმალური სამსახურის პოვნაში ეხმარებიან და ამ ხალხის დასასაქმებლად ხშირად თავად შუამდგომლობენ სხვადასხვა სტრუქტურასთან. ასევე არსებობს სპეციალური ფონდები, რომლებშიც აკუმულირებული თანხებით ეხმარებიან მრავალშვილიან ანდა სპორტში მიღებული ტრავმის შედეგად ხეიბრად დარჩენილ სპორტსმენებს. ჩვენთან კი ამ ხალხს ძალადობრივი მიზნებით იყენებენ და საქართველოს ხელისუფლების მიერ სპორტსმენების „დახმარებაც“ სწორედ ესაა.

სიძულვილის არითმეტიკა (დათუნაშვილის ამბავი)

შორს წაგვიყვანს მოჩხუბარი, ქვასროლია, მაგინებელი აგრესიული მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონების ჩამოთვლა. ზოგმა მათგანმა პარლამენტის წევრის სკამიდანაც კი მოახერხა, ჩვეულებრივ მოძალადე კრიმინალად წარმოჩენილიყო და ერთიანად წყალში გადაეყარა ხალხის პატივისცემა და სიყვარული, რის შესახებაც დასაწყისშიც ვისაუბრეთ.

ქართველი სპორტსმენების მხრიდან მართული აგრესია და ძალადობა მხოლოდ პოლიტიკოსებზე არ ვრცელდება. საქართველოს ისტორიიდან ალბათ არასოდეს წაიშლება ის, რაც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილს გადახდა თავს. ჭიდაობის ფედერაციაში მოკალათებულმა და ხელისუფლებასთან შეზრდილმა გეგეშიძეების კლანმა მათთან დაპირისპირებული ახალგაზრდა სპორტსმენი (მაშინ დათუნაშვილი ნაკრების კაპიტანი იყო) უმკაცრესად დასაჯა: ჯერ საჯაროდ და სახალხოდ სცემეს და სახიდან სისხლი ადინეს, შემდეგ კი აიძულეს, ქვეყნიდან გაქცეულიყო და ახლა ზურა ჩემპიონის ტიტულებს სერბეთის სახელით იღებს, რაც განსაკუთრებით გულსატკენია.

ზურაბ დათუნაშვილი

სამწუხაროა, რომ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძესთან დაწყებული კონფლიქტი საზოგადოებამ მაშინ სათანადოდ ვერ შეაფასა და ვერც იმდენი შევძელით, რომ სპორტულ საზოგადოებას პასუხი მოეთხოვა ჭიდაობის მესვეურებისთვის. პატარა ამბავი ხომ არ არის, როდესაც ფედერაციის პირველი პირი ნაკრების კაპიტანს ასისხლიანებს და მერე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ასეთი წარმატებული სპორტსმენი საქართველოს ნაკრებს ჩამოშორდეს.

მსგავსი შემთხვევა სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო, სადაც კანონი კანონობს და სპორტის ფედერაციები თავს “ოჯახებად“ არ მიიჩნევენ, თავად პრეზიდენტი მიხვდებოდა მისი თანამდებობიდან წასვლის აუცილებლობას და ეს გარკვეულწილად გაანეიტრალებდა იმ რეპუტაციულ ზიანს, რომელიც ზემოაღნიშნული კონფლიქტის შედეგად ჭიდაობის ფედერაციას მიადგა. აქ კი ყველაფერი სულ სხვაგვარად მოხდა. გეგეშიძეს, როგორც ჩანს, ძლიერი მფარველი ჰყავდა, საზოგადოებაც ვერ დადგა სათანადო სიმაღლეზე, გადავყევით “ისტობას“ და ყველაფერი ქართული სპორტისთვის უკიდურესად ცუდად, ანუ ზურაბ დათუნაშვილის ქვეყნიდან წასვლით, დასრულდა.

დათუნაშვილის მიერ ევროპული ოქროს მოპოვების შემდეგ ბევრი წერდა, რომ სირცხვილის გრძნობა აწუხებს ამ ბიჭის გამო, რაც ღირსეული ადამიანების მხრიდან

ბუნებრივი და გასაგებია. წესით, ვისაც უნდა რცხვენოდეს, მათ მაგივრად ჩვენ გვრცხვენია მომხდარის გამო, ამხელა უსინდისობისა და უსამართლობის გამო, ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენის ქვეყნიდან გადახვეწის გამო და, რაც მთავარია, საქართველოსთვის დაკარგული ოქროს მედლების გამო. მართლაცდა, სად გვყავს ჩვენ დასაკარგი ოქროს ბიჭები და ოქროს მედლები?!

ალბათ გახსოვთ, რომ გეგა გეგეშიძე რამდენიმე წლის წინ პოლიტიკურ სკანდალშიც გაეხვია, როდესაც სამეგრელოს სოფელ კორცხელში გამართული ცემა-ტყეპის შემდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლები საარჩევნო უბანთან მომხდარი ჩხუბის მთავარ ავტორებად გეგეშიძესა და მის, ასევე მოჭიდავე, მეგობრებს ასახელებდნენ. იმ დროს გეგეშიძე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი არ იყო და, მიუხედავად ოპოზიციის ბრალდებებისა, ეს ადამიანი სწორედ კორცხელის ამბების შემდეგ აირჩიეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის ფედერაციის პრეზიდენტად, რაც მაშინვე ბადებდა დამატებით კითხვებს.

კაპიტნის ზიზღი (კაშიას ამბავი)

მიუხედავად იმისა, რომ სპორტი და, კონკრეტულად, ფეხბურთი თავისი არსით ძალადობისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ფენომენია (და ეს არაერთმა ფაქტმა დაადასტურა), სამწუხაროდ, ხშირად სწორედ ფეხბურთი იქცევა „ასპარეზად“ ათასი ყაიდისა და ჯურის ხალხისა, რომლებიც საკუთარი, უფრო სწორად კი, მავანთა მიერ თავსმოხვეული „დიადი ანტილიბერალური იდეების“ გამო მზად არიან, შეზღუდონ სხვათა თავისუფლება, შეურაცხყონ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მათსავით არ ფიქრობს, და ეს გააკეთონ პრინციპებისა და ღირებულებების სახელით.

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ვიცე-კაპიტანი გურამ კაშია, ცხადია, არც პირველი ფეხბურთელია და არც ბოლო იქნება, რომელმაც არ გაითვალისწინა

გურამ კაშია

არსებული „საზოგადო შეხედულებები“ და ხმამაღლა თქვა ის, რაც სწორად მიაჩნდა. ეს სიმტკიცე ევროპის ფეხბურთის მმართველმა ორგანომ, უეფამ, სათანადოდ დააფასა და გურამს სპეციალური ჯილდოც კი გადასცა, რაც ბევრ ცნობილ უცხოელ ფეხბურთელს არასოდეს მიუღია. ამ ჯილდოს მიცემა იყო და კაშიას წინააღმდეგ საქართველოში ისეთი საშინელება აგორდა, თითქოს მის კისერზე იყოს ყველა უბედურება, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირს. დიდი გამოცნობა არ სჭირდება, რომ ეს კამპანია ხელისუფლების მიერ ორგანიზებული და მართული პრორუსული ჯგუფების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა.

მხოლოდ სოციალური ქსელიც კმარა იმის გასაგებად, თუ რა რთულია, საქართველოში იყო სპორტსმენი, რომელსაც გაქვს შენი მოქალაქეობრივი პოზიცია და ეს პოზიცია ბოლომდე დაიცვა. საბედნიეროდ, მასობრივი „ჩაქოლვა“ არ შედგა. თუმცა ყველას კაშიასავით როდი უმართლებს...

მედეა იმერლიშვილის ფერწერა

მედეა იმერლიშვილის ფერწერა

მედეა იმერლიშვილის ფერწერა

გარეკანი - შოვი, 2023 წლის 4 აგვისტო
ზურაბ ცერცვაძის ფოტო

უკანა ყდა - ილუსტრაცია,
„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით
ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს
„ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2023 სექტემბერი, №2(4)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის № 20
0108, თბილისი, საქართველო

© ჭავჭავაძის ცენტრი, 2023

სექტემბერი 2023

ISSN 2720-8729
9 772720 872007